ევროკავშირი
საქართველოსთვის

EECG · ეეგს

მერების შეთანხმება
კლიმატისა და
ენერგეტიკისთვის
საქართველოში

ლიდერ

რჩეული მოთხრობები

თბილისი
2025 წ.

რედაქტორი

????? ??????????

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ტექსტი ინგლისურად თარგმნა ნინუცა ნადირაშვილმა

წიგნი მომზადდა და დაკაბადონდა და გამოიცა
https://www.facebook.com/designcentreKB

ISBN 978-9941-?-????-?

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

მიხო მოსულიშვილი

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე... 7

ჯავახეთის ფამფარულა, ჩემი.... 25

თამარ ფხაკაძე

სამი ბიჭი, სამი მამა 48

თამარ ბოლქვაძე

ნამჯის სახლი, წითელი კაბა და შავი შარვალი. 54

ნათია როსტიაშვილი

ღმერთის კაცი 60

ოქსიგენი 71

ლევან ლორია

ხანდახან ღმერთებიც ტირიან 80

გოჩა ღვინიაშვილი

ჩემი ყოფილი 92

წინასიტყვაობა

ლიტერატურული კონკურსი „ლილე“ უკვე 12 წელია აერთიანებს ადამიანებს, რომლებიც წერენ და ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ შეგვიძლია ერთად უკეთესად ვიზრუნოთ ჩვენს დედამიწაზე. კონკურსში მონაწილეობენ როგორც პროფესიონალი მწერლები, ისე მოყვარული ავტორები, რომლებიც ქმნიან საინტერესო ისტორიებს ენერგოეფექტურობზე, განახლებად ენერგიებზე, ენერგეტიკულ სიღარიბესა და კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციაზე.

„ლილე“ — თავად ეს სახელი შთაგონებულია სვანური მითოლოგიიდან და მზის ღვთაებას უკავშირდება, რომელიც სიცოცხლისა და სინათლის სიმბოლოა. სწორედ ამ სიმბოლიკით იმართება ჩვენი ლიტერატურული კონკურსიც: მწვანე იდეების შემოქმედებით ინსპირაციად ქცევა და მათი გავრცელება ლიტერატურის მეშვეობით.

ეს მოთხრობები ეყრდნობა რეალურ განცდებს — ზოგჯერ სევდიანი, ზოგჯერ კი იუმორით დაწერილი, მაგრამ ყოველთვის გულწრფელი. მათში წამოჭრილი თემები კი, დღეს უკვე ბევრი ქართველისთვის ყოველდღიურ გამოცდილებად იქცა: როგორ გავუმკლავდეთ ენერგორესურსების ხარჯებს, როგორ დავიცვათ ჩვენი სახლი სიცხისა თუ სიცივისგან, როგორ გადავდგათ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები კლიმატური რისკების შესამცირებლად.

წინამდებარე ბროშურაში წარმოდგენილია კონკურსი „ლილე“-ს 8 რჩეული მოთხრობა, რომლებიც 2022-2023 წლებში გამარჯვებულად დასახელდა და გამოქვეყნდა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ

ენაზე.

წარმოდგენილი ბროშურა განკუთვნილია ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც აინტერესებს, როგორ შეიძლება გადავიტანოთ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის პრაქტიკა ჩვენს ყოველდღიურობაში და როგორ შევქმნათ უფრო მდგრადი მომავალი კლიმატის ცვლილების პირობებში.

,,ლილე'' იწყება სიტყვით, მაგრამ ქმედებით გრძელდება — იქ, სადაც გარემოზე ზრუნვა ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულებრივ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან ნაწილად იქცევა. სწორედ ამას ასახავენ ის მოთხრობები, რომლებმაც მწვანე იდეებს ლიტერატურული სულისკვეთება მისცეს.

და აი, ჩვენი გამარჯვებული ,,ლილეს'' მოთხრობები:

,,ლილე 2022''

— ,,ზეცას ვიყავ ზეცა ნახე'' — ავტორი მიხო მოსულიშვილი

— ,,სამი ბიჭი, სამი მამა'' — ავტორი თამარ ფხაკაძე

— ,,ნამჯის სახლი, წითელი კაბა და შავი შარვალი'' — ავტორი თამარ ბოლქვაძე

— ,,ღმერთის კაცი''- ავტორი ნათია როსტიაშვილი

— ,,ხანდახან ღმერთებიც ტირიან''- ავტორი ლევან ლორია

,,ლილე 2023''

— ,,ოქსიგენი'' — ავტორი ნათია როსტიაშვილი

— ,,ჯავახეთის ფამფარულა ჩემი'' — ავტორი მიხო მოსულიშვილი

— ,,ჩემი ყოფილი'' — ავტორი გოჩა ღვინიაშვილი

ჟიჯო ჟოსულიშვილი

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე...

(მკვლის მოთხრობა)

1

ადე, ბიჭო, ლევანო, ადექი მეთქი. აი, წითელი კვერცხები გაგვიგორეს საფლავებზე. ჰო, ჰო, აღდგომა დღე გათენდა და მაგისი მადლითა. ესა, აქ რო მოხუცი გვიდგას, ეს არი ამ ღვთისმშობლის მონასტრის წინამძღვარი დედა კვირილა. ესენი კიდევა, წითელი კვერცხები რომ დაგვიგორესა და საფლავებს გვიწმენდენ, ანგელოზები ჯერ ვერა, აქაური მორჩილები არიან: ფილოთეა, სოფია, თაისია და ევანთია...

რა უნდა გითხრა და, რა ვიცი... რაც წამომაგონდება, ცოტ-ცოტაობით მოგიყვები, გრძლად რო არ გამოვიდეს მერე. დიდი ხანია არ მინახიხარ, თორემა მე ლაპარაკის ხამი კი არა ვარ.

აი, კავკასიონის მთაგრეხილის დაბლა, ორი ქედი რომ წამოვა აქეთ-იქიდანა და შუაში ერთდება, ჩადაბლებულში, მანდ მოდის ლიახვი.

ეგ მწვანე ტყე არი სარჩული დედამიწისა, მაგ გორებს რომ ჩამოსდევს აქეთა და აქეთ. მერე ხო ეს ვრცელი სერია, აქა-იქა ბუჩქებით და ისე კი სულ მწვანე მინდვრიანი, ძაან საძოვრიანი და ყვავილიანი. ჩამოდის ეგაცა ლიახვამდისა.

აქეთ კიდევ, ხანის მთის ტყიან ფერდობზე ხო ეს ჩვენი წმინდა ღვთისმშობლის დედათა მონასტერია, თავისი მწვანე

ეზოთი, შენი და ჩემი საფლავის ქვებით გალავანთანა, მუხების ძირში... მინდოდა დედაშენის გადმოსვენაბაი და არა მეთქი, იწვეს იქ, ჩვენი ეზოს კაკლის ძირში და ერთხელაც ხო მივალთ იქა...

აქვე ჩამოუდის ეს პატარა და ჩქარი მდინარე ხანისხევი. აგე, დაეშვება ხანისმთის კალთებიდანა, რომ აქ ჩამოგვირბინოს მხიარული რაკრაკითა და მერე ლიახვს მიუტანოს ჩვენი ამბავი ქვემოთა, როცა შეუერთდება...

საით იყურები, ბალღო? შორიდან იცი ეს ალაგები, ახლოდან ხო ეხლა ხედავ...

ვაი, მაგათი სახსენებლი გაწყდა მაგათი...

მოხირდებიან იმ თავიანთი ჯაყჯაყა მანქანებითა, ცხრა-ათი სამხედრო. ჯერ ძველ საზღვარს მოშლიან, დააძრობენ რკინის სარებსა. წამოვლენ, წამოვლენ მერე და აქეთ ჩაარჭობენ, გაუჭიმავენ მავთულხლართებსა და დაამაგრებენ რკინის აბრასა, საზღვარი აქ არიო და ახლოს არ გაეკაროთაო.

ატოცში, ხურვალეთში, ზემო ნიქოზში და რა ვიცი, სად აღარ მოაჩოჩებენ ეგრე. მერე იქით ვისაც მოატანენ, იტაცებენ და ითხოვენ გამოსასყიდსა. ჩვენი სოფლის ნახირი რომ დაუდის, ხო იცი „უჩხუბარი“, ადრე საქონლიანად გაიტაცეს ეგა და მერე ძლივს-ძლივს ფული შეუგროვებიათ, ეგრე გამოუხსნიათ ძლივსა.

მოტრილდება წელიწადი და გადმოსწევენ კიდე მავთულხლართებსა. კიდე და კიდე, მოდიან და მოდიან, სულ აქეთა და აქეთა.

იმათ მხარეს მოჰყვა სოფელ გუგუტიანთკარის რამდენიმე კომლი. ეგრევე გაიყო ზარდიანთკარი, ღოღეთი, დვანი, დიცი, ციცაგიანთკარი, აძვი, ქვეში. მერე ახლა ჯარიაშენი თითქმის მთლიანად მაგათი მავთულხლართებით შემოიღობა და საზღვრის იქით მოხვდა ისიცა...

ოცდათხუთმეტი ჰექტარი აქვთ წაღებული ესე, თორმეტი ათასი ფეხბურთის სტადიონის ტოლა მიწებიაო, ამბობენ.

აი, ვინა ხარ, შე ქვითსაქცევო, წუნკალო მამაძაღლო, ვინა?!

უნაცილო ნაცილი ხარ, უსაკლისა და უჭერ-მაჭერა, წადი და ეგდე იმ შენ სტეპებში, რა გინდა აქა, აქ რა დაგკარგვია, შენი რა არი?

მიიღებ, რასაც ეძებ...

ერთხელაც იქნება, გიკრიფავ ყველაფერსა და სოსიპატრე მარიამიძე არ ვიყო, მეფუტკრე ფილიმონას ბიჭი, თუ სულ წმინდათ არ მოგამკევინო, რაც ჩემთვინ დაგითესია...

2

ეს მაღალი ადგილია და აგე, გახედე, როგორ სჩანს აქედანა. აი, ამ ლიახვის აყოლებაზე ჯერ ხო ქვემო ხვითია, მერე ზემო ნიქოზი, ცხინვალი და ცხინვალზეით კიდევ ჯერ ფრისი და მერეა თამარაშენი. იყო, უფრო სწორედ. სადღაა ეხლა. ან ეგ, ან კეხვი, ან ავნევი, ან ნული...

აჩაბეთიდან თამარაშენამდე სულ ცეცხლში იყი გახვეული ყველა სოფელი...

შინ ვიყავი და უცაბედად იფეთქა. დედაშენი ეზოში ტრიალებდა, ქათმებს აჭმევდა და გავვარდი გარეთ მაშინათვე. ურემთან ეგდო. მუცლიდან ნაწლავები ჰქონდა გადმოყრილი, ორივე ხელის თითები კიდევ – მოგლეჯილი. მკლავებზე სულ ჭრილობები და მარცხენა მკლავი ცოტაოდენი ხორცითღა ეკიდა, თითქმის რა, თითქმის სუ მოწყვეტილი ჰქონდა.

აი, ამ ხელებში დალია სული...

ჩემს თავსღა ვჩიოდი?

მუხლებზე რომ ვცადე დაჩოქება მომაკვდავ დედაშენთანა, მეტკინა ძალიან, ველარ მოვხარე ფეხი. მარცხენა ბარძაყში მქონდა მოხვედრილი ჭურვის ნამსხვრევი, მარცხენა მკლავშიც და მარჯვენა ფეხის ოთხი თითიც მოგლეჯილი. გადავიხვიე ეს ჭრილობები და სახლი კიდე იწვოდა ისე, რომ ველარაფერს ვუშველიდი.

გაჭირვებით გავუთხარე საფლავი, დროებით იყოს მეთქი

აქა, სანამ მოვალ და გადავასვენებ...

მოვდივარ და იწვის მთელი სოფელი. ბურბურებს სულა. დაგვტრიალებენ მაგათი თვითმფრინვები მაღლიდანა და გვბომბავენ ისევა.

ბედად იმან გამოიარა, ვარიანელი „სწორე“ როა, ტაქსაობდა ხოლმე ეგა და, – დაჯექიო, ეხლა ხალხს ვეხმარები უფასოდ, რომ აქედან გაგიყვანოთო.

ორნი ესხდნენ მანქანაში, ასაკიანი ქალები და ჩამისვა მეცა, ვარიანამდე წაგიყვანო.

და – ტრა-ტა-ტა-ტა, ტრა-ტა-ტა-ტა... – რომ დაიწყო თედოწმინდის აღმართზე, მტრისას... გაღმიდან, გზისპირა იფნებიდან ისროდნენ. „სწორემა“ სცადა, მარცხენა მხარეს შეეტრიალებინა თავისი „ოპელი“, მაგრამ ისიც უკვე დაჭრილი იყო მხარში, ძალა აღარ ეყო და კლდეს შეეჯახა. ერთი ტყვია გულის მხარეს მოხვდა, მეორე კიდევ ჯერ მარჯვენა მხარში ეცა, დატრიალდა და სახის მარჯვენა მხარე გადაუსისხლა სულა. არის ეგეთი ძვლებში ბზრიალა ტყვიებიც, თურმე... ის კი მოვასწრი, რომ აქეთ კარები გამოვგლიჯე ფეხის რტყმევითა და როგორც კი გადმოვფოფხდი მიწაზე, მანქანას „მუხა“ ესროლეს, წინა კარებს მოხვდა, მარჯვნივა. აფეთქებამ ჰაერში ააგდო მანქანაი და ეს „სწორე“, უკვე მკვდარი, მიასკდა კლდესა.

მე კიდევა ისევ ჭურვის ნამსხვრევები მომხვდა სახეში, მარცხენა ხელშიც და აფეთქების ტალღამა მთელი ძალით დამაფერთხა გზაზე...

სროლები რომ შეწყდა, ძლივსღა წამოვწიე თავი, ბუნდად ვხედავდი ძალიანა.

სამხედროები დავინახე, იმ თავისი დაფოთლილი ფორმებითა და ავტომატებითა.

მანქანას კიდევა სულ გადაცხრილული იყო და იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ვაგდივარ ეგრე გზაზე, ვაგდივარ და სად რა მტკივა, რომ ვეღარ ვიგებ...

მოვიდა ამ დროს ერთი იმათი სამხედრო, იმასაც ის გაფოთლილი ფორმა აცვია, მაგრამ ტყავის ქამარზე მხარიღლივ თასმა აქვს გადაჭერილი, პორტუპეი რა. ხელებში ხო ავტომატი უჭირავს და მაკაროვის პისტოლეტიცა ჰკიდია ქამარზე.

იქნებოდა ეგრე შენი ტოლი, არა, შენზე დიდი. რახან საყელოზე ერთი დიდი ვარსკვლავი დავუნახე, ესე იგი, მაიორია. იყურება, როგორც იმ ჩვენმა მეზობელმა „გუდასისხლამ“ იცოდა ხოლმე მთვრალმა, აგდებულად და სულ ფეხებზე რომ კიდიხარ. ხო იცი „გუდასისხლა“, კაცისკვლა იმას არ ეზარებოდა და ვირის აბანოების ხეხვაი კიდევა.

ისევ ავწიე თავი, ვუყურებ ჭროღა თვალებში. ჯერ ავტომატი მომიშვირა. მერე გადაიფიქრა, შეტრიალდა და საიდანაც ისროდნენ, იქით გასძახა დაბეჟილი და უჟმური ხმითა, – ცოცხალი ვიპოვეო, – და გავიდა იქით. უკან დაბრუნდა სამ ჯარისკაცან ერთად, სიგარეტს ეწეოდა წკიპითა და გაიყურებოდა სულ სხვაგანა. ბოლოსა მკითხა, – ცოცვა შეგიძლიანო?

წავალ როგორმე, ოღონდ არ მესროლოთ მეთქი.

აბა, მიდი, დროზე, სანამ გადამიფიქრებიაო.

ამ ჯანსაღი ხელით დავეყრდენი მანქანასა და წამოვიწიე წვალებით, წამოვიწიე და წამოვდექი როგორც იქნა. მაინტერესებს, ის ქალები რა დღეში არიან. შევიხედე შიგნითა. ორივე სულ სისხლში ცურავენ. არც სუნთქვა ისმის მაგათი, არც კვნესა.

შიშმა ამიტანა. შემოვტრიალდი და რომ მოვდიოდი, იმისმა ჯარისკაცებმა, სულ კოთხუნჯებმა, ღრეცელბმა და ღრეჭლებმა, მობრეცილი ლაშებითა და მჭვიტაკა ხმებითა, მაგ ვირთამამებმა ეს დამადევნეს, – მადლობელი იყავი ტავარიშჩ მაიორ გლებ უსმანოვისაო, თორემა ვერც შენ გადგვირჩებოდიო...

რა ვიცი, აბა, ეგრე კი მითხრეს, მაგრამა შიგნი შიგან რა ჰქონდათ აზრადა, რას აპირებდნენ, განა ვიცოდი?..

უსასოობისგან გავხედე მაღლა შავ ღრუბლებში გახლართულ ჩრდილის მზესა და არა, სულაც არ მიყურებდა ავადა...

ყოყმანა და ნაყე-ნუყე ვინმე ეგება კაი ხანს ვერც დაძრულიყო იქიდანა, არ მესროლონო. ამისი შემთხვევებიც ხომ ბლომად იყო, ვითომ გაუშვესა და ზურგში მოაყოლეს კალაშნიკოვის ჯერები ბევრსა.

მაინც წამოვედი, მაინცა, რომ ერთი ამათიც და, ბოლობოლო, ოთხი ფიცარი სადღა გამექცევა მეთქი... როგორ მივედი ჩვენებამდე, აღარ მახსოვს, მაგრამა აი, ის მაიორი გლებ უსმანოვი, ეგ ვეძა-კაცი, ეგ, ეგ მაკვირია და სისხლისგუდა აღარ დამვიწყებია არც როდისა.

3

გზაზე ვუპოვივარ ჩვენებსა, გონდაკარგული და რაკი კიდევა ვსუნთქავდი, ჩავუსვივარ სასწრაფოს მანქანაში და გორში ჩავუყვანივარ.

ეს მარცხენა ხელიც გორის ჰოსპიტალში მომკვეთეს, განგრენა იყო დაწყებული. დანარჩენისა რა გითხრა, არა მიშავდა, მიმკურნალეს...

ბოლოს კი დავრჩი ეგრე, მარჯვენა ფეხითა ვკოჭლობ და მარცხენა ხელი აღარა მაქვს მხრამდე ლამისა.

ერთი დღეც არი, გამოვედი ჰოსპიტალიდან და ვეწევი ჩემთვის. ვფიქრობ, ვფიქრობ, ვერ გამიშვია დარდი, უკვე სულ გამოთხოვებული ვარ სიცოცხლესა და მგონია, რომ აღარც რო ცოცხალი ვარ საერთოდა.

შენ აღარ, ცოლი აღარ, სახლი აღარ... მეც აღარ...

ამ დროს მოვიდნენ შავებში ჩაცმული მონაზვნები. ქალებს კი არა, რომელი როგორა და, აი, სულ ანგელოზებსა ჰგავდნენ. არკი იყვნენ ჯერა, მაგრამა აღარაც რო არაფერი უკლდათ თითქოსა.

აბა, მაშინ რა ვიცოდი და, დიდი ჯვარი რომ ჰქონდა მკერდზე, ის გადამწლეულ-გალეული მოხუცი ამ ღვთისიმშობლის მონასტრის წინამძღოლი იყო, დედა კვირილა. თეთრი თმა მოუჩანდა სამონაზვნო თავსაფარის ქვეშა და სათნო, სათნოდ სანახავი იყო ძალიანა. ჯერ არ ვიცოდი და, ფეხასაც-

მელს არ იცმევდა, ფრატუნებით დადიოდა თურმე სულა, ზამთარ-ზაფხულსა. ეს გარჯილა მორჩილები ახლდნენ კიდევა, მეტ-ნაკლებად ახალგაზრდები უფრო: დედა ევთანია, დედა ფილოთეა, დედა თაისია და დედა სოფია.

ჰოსპიტალში ჩემი ქირურგი რომ იყო, ძალიან სახელიანი და დიდი კაცია ისა, პროფესორი მაისურაძეი, ბატონი მიშა, იმას ეთხოვნა, – წაიყვანეთ მონასტერში, რამე ცოდვა არ მოიწიოსო...

ის დღე იყო და ის დღე, რომ ღმერთთან ახლოს მეც ვიგრძენი თავი. რამდენი წელი გავიდა მაგ ომიდანა, თორმეტი თუ უფრო მეტი უკვე და სულ ეგრე ვარ. განა აღარ ვდარდობდი, მაგრამ ნელ-ნელა იმასაც მივხვდი, რომ რაც ხდება, ის უფლის ნებითაა და არა ჩვენითა. ამქვეყნიური გამოცდაა ეგენი სულა და როგორც შეგამთხვევს, ისე გადაგატანინებს. ეს ამ დროებით სოფელში და იქა, იმ მარადიულ სოფელში კიდევ, ზეცისა როა, ადგილსაც გიწყალობებს, თუ სწორად იცხოვრებ მანამდე.

ჰოდა, მეცა ვცდილობდი. მონასტერში მე ვიყავი დარაჯადაც, მებაღედაც, მეფუტკრედაც, ამ მორჩილების გალობის მსმენელადაც; ჩვენი წინამძღვარის, დედა კვირილას ძაან დამჯერადაც. ამათ კიდე ეს თავიანთი მორჩილებები განაწილებული აქვთ. დედა ევთანია სულ ლოცვით ხატავს ხატებსა, ისე არ დაიხატებაო. დედა ფილოთეა მორჩილად აკეთებს სანთლებსა, თუ მორჩილი არა ხარ, არც თავმდაბალი იქნები და თავმდაბლობის გარეშე კიდევ უფლის სიყვარული არ იქნებაო. დედა თაისია მგალობელია, ამათაც ასწავლის და კვირაობით რომ ბალღები მოდიან გაღმა სოფლის სკოლიდანა, იმათაც. დედა სოფია კიდევ სახარებასა სწერამს კალამ-მელნითა და ისეთი ასოებითა, სულ უფლის ჩიტები გეგონება.

ჩვენი წინაძღვარი დედა კვირილა გვასწავლის მორჩილებასა, რასაც კი ვაკეთებთ, უნდა იყვესო სადიდებლად ღვთისა და საცხონებლად სულისაო. ვაზსაო რომ სარი არა ჰქონდეს შეყენებული, ხომ წაიქცეოდა და გაფუჭდებოდაო. ესევე

ერიც, ბერ-მონაზვნობა რომ არა ჰყავდეს მშველელადა, წახდებოდა და გადაშენდებოდაო.

ვართ ესე, ლოცვაში და გარჯაში. ტრაპეზზე ვკითხულობთ სახარებასა, წმინდა მამების ცხოვრებასა, განმარტებებსა. ამ მონასტერსა თავისი განაწესი აქვს, ცისკრის ლოცვა შვიდ საათზე იწყება, საღამოს ლოცვა რვაზედა. შუალედში კიდევ პარაკლისია ხოლმე წმინდა ღვთისმშობელ მარიამის სახელზედა.

ხატწერის ოთახია, გადამწერისა, სატრაპეზოი, სამლოცველოი... იქით ბოსტანი, სკებია კიდევა და რა ვიცი... აბა, მაშ, როგორ? მეფუტკრე ფილიმონას ბიჭი არ მოუვლიდა ფუტკარსა? ვუმატებდი და ვუმატებდი სკებსა. სატრაპეზოდ ბაღჩეულიც მომყავდა ისე, რომ ცალი ხელითა ვბარავდი და ცალი ხელითვე ვთხონიდი. აგე აყვირებული სიმინდია უკვე და ჩემი მოყვანილიც მასეთი იყო ხოლმე.

არც მორჩილებს ეზარებოდათ შრომა და კარგად მოვლილი მონასტერი გვქონდა უფლის მადლითა და სიყვარულით, გვქონდა, გვაქვს და სულ გვექნება კიდევაცა.

ახლა როგორი გალობა იციან ამ მორჩილებმა, სულ განაბულები ვუსმენთ ხოლმე მე და დედა კვირილაი.

ღმერთო, შენითა და არა ჩვენითაო... – აი, ეგრეა აქა და ისედაც, ყველაგანა...

4

მარიამობას იციან ხოლმე აქ ამოსვლა და ერთხელაც ჩემი სამხედროები იყვნენ, სულ ტალიკ-ტალიკი ბიჭები, ვენაცვალე, მაგათ ამომასვენებინეს შენი თავი და დამამარხინეს აქა... მაშინ ერთი ვიდეო მაჩვენეს მაგათა. ჰო, ეხლა რო ტელეფონებია, ეგეთითა...

ვუყურებ, ვუყურებ და ვაჰმე, როგორ ცუდათა ვარ ამისი მნახველი...

დატყვევებულ ქართველ ჯარისკაცსა აწამენებ ოსი „ბოევიკები“ და რუსი ოკუპანტები. შვიდი-რვა სამხედროა. ორი

კაცია რუსული საველე ფორმებით და ეს ოსი „ბოევიკები“ კიდევ, რაც ხელში მოხვდათ, იმ ფორმებით არიან. ერთი ჯინსის შარვლითაც არის. მიმწყვდეულია ეს საწყალი ტყვე ღობესთანა და სულ ფეხებით ურტყამენ. მერე გამოათრევენ მოშორებით...

ღია ნაცრისფერი, უდაბნოსთან შეხამებული ამერიკული ლაქებიანი ფორმა და ღია ფერის მაღალყელიანი ფეხასმელები აცვია ტყვესა, მიწაზე ზის. სამხედრო ხალათი ნახევრად გაუხდიათ, მხრები და წელი მოუჩანს. სახე ბევრი ცემისგან სულ გაშავებია და პირიდან სისხლი სდის. ძნელია ამისი ცნობაი, ძნელი...

„შენი პრეზიდენტი ვინ არი? ბოზი არი. ჰა? არ არი?.. არი, არი, არი!.. იკოცე. იკოცე. იკოცე ეხლა. იკოცე. იკოცე მიწა. შენი დედა შენი. იკოცე, შენი გამზრდელი შენი!“ – დალბობილი და უგემური ქართულით დასძახის ვიღაცაი და არ შემეშლება ეს ლაპარაკი, ოსები ლაპარაკობენ ეგეთ ქართულს აქა.

ზურგზე შეადგება შავი ბათინკებით ვიღაცა, კადრში სახე არ უჩანს. აიწევა და დაიწევა, მთელი ძალით აწვება, ხერხემალს მიწამდე ახრევინებს, რომ მიწისთვის აკოცნინოს. ეს ტყვე კიდევა წამოწევასა ცდილობს და ამ ქანაობაში გადმოაგდებს მტანჯველსა.

ლაპარაკობენ ოსურადაც და შიგადაშიგ რუსულადაც.

მარჯვნიდან რუსული „ბათინკით“ ტყვეს ისევ კისერზე აწვება ვიღაცა, რომ მიწას აკოცნინოს. დაახრევინებს თავს, მაგრამ ეს ურჩი თავი მიიწევს, მოიწევს და სწორდება ისევა, მტარვალის ფეხს გადაიგდებს კისრიდანა. ახლა მარცხნიდან ცდილობს სხვა იგივეს. ახლა სხვა და ყოველთვის სწორდება ნაწამები სამხედრო. ქვის ნატეხია, ვინ არი, ვერა ვცნობ. არ უჩანს კარგად ის გაშავებული და გასისხლული სახეი.

ისმის ოსური ლაპარაკი. რუსული ბრძანებები ერევა. და ისევ მოფამფალებული ქართულით ეკითხება ვიღაცა:

„გუშინ რა ადგილას იყავი, ლევან?“

„არ ვიცი... აზრზე არა ვარ...“ – ამოილუღლუღებს ტყვე და...

მე ეს ხმა არ შემეშლება, არა... შენ იყავი, ლევანო, შვილო...

„როდის იქნები აზრზე ეხლა?“ – ისევ ოსური ქართულით გეკითხება ვიღაცა მტარვალი.

პლასტმასის ბოთლიდან თავზე და კისერზე გასხამენ წყალსა. ჩამოგდის წყალი სახეზე, ცხვირზე, პირზე და სულ სისხლიანი აღწევს მიწამდინა.

„ლევან, გუშინ სად იყავი, გუშინ?“ – ისევ გიმეორებს ის ცბიერი ხმაი, ისევა...

ეს მტარვალები რიგრიგობით ზურგზე გახტებიან, ლევანო, შვილო... ადი-ჩადიან და ბუქნაობენ შენ ზურგზე, რა არი, რომ როგორმე გაკოცნინონ მიწისთვისა.

ხო როგორ შავ დღეში ხარ, ლევანო, სისხლი მოგდის პირიდანა, ლუღლუღითა ლაპარაკობ, მაგრამა ვერ გიმორჩილებენ, ვერა! ბოლომდე მაინც არ იხრები მიწისკენა...

და აქ ისმის მაგ ბრეცელა და ბღენძი მაიორის, გლებ უსმანოვის დაბეჟილი ხმაი რუსულადა – კიდე შეეკითხეთ, სად ეგდო გუშინაო...

აბა, მაგის ხმას რა დამავიწყებს...

5

წამო, წამო, ეხლა ამ ჩვენი მდინარისა გითხრა.

წყალია მდინარე, ოღონდ მიმავალი.

თუ მიმავალი არაა, ჭაობია მაშინ და გველ-ბაყაყების ბუდეი.

და რომ მიდის, მდინარეა.

წავა, წავა, მზითა, მივა მიწასთანა და გაახარებს ბალახ-ყვავილებითა, ბუჩქებითა და ხე-ხილითა.

წავა, წავა, ისევ მზითა, ცაში ავა, ღრუბელთან მივა და ისევ აქ ჩამოვა წვიმადა თუ თოვლადა.

აი, ეგრე დაატარებს მდინარესა მზეი.

ჰოდა, რაღაცა ის იმის დათბობის ხალხი იყო აქ მოსული სამი წლის წინა, ენერგო იმისაო, სარგებლიანობისაო, მაგის ცენტრის ხალხი, რაღაცეები მოგვიყვნენ და მე ჩემი სიტყვებით ესე გეტყვი, ეს ტემპერატურაი რომ მატულობს, გვალვა რომ სჭამს დედამიწასა და ვაშლი ვეღარ მოგვიყვანია წესივრადა, რისი ბრალია?

რისი და იმისი, რომ ვწვავთ ნავთობსა, ქვანახშირსა თუ შეშასა. იმ დამწვარსა ხო გაზი აქვს, ადის ცაში და იქ ათხელებს ოზონის ფენასა. ეს ოზონი კიდევა ისეთი რამეა, რომ მზის ცუდი სხივები უნდა დაიჭიროს და კარგები გამოატაროს აქა, მაგრამა ვეღარ ატარებს ისიცა და აჰა, ეს ღვარცოფები, ტყის ხანძრები, წყალდიდოდბები, გვალვები და ეგეთი უცნაური ცვლილებები ამ ერთი ციდა დედამიწაზე.

უყურე ეხლა, რა მასწავლეს იმათა:

ამ ხანისხევის წყალი ხან იკლებს, ხან იმატებს, მაგრამა იმას კი ჰყოფნის, რომ ერთ-ნახევარ კილოვატიანი მიკროჰესი აამუშაოს და გადიქცეს უფასო დენადა. იმათი ნაჩუქარი ბროშურაცა მქონდა აქა სადღაცა და იქ ეწერა, – ერთი მეტრი სიმაღლიდანაო ყოველ ერთ წამში ვარდნილ ერთ ლიტრ წყალსაო მიკროჰესში შეუძლიაო, რომ გამოიმუშაოს ოცი-ოცდაათი კილოვატსაათი ელექტროენერგიაი წელიწადშიო.

ჰოდა, სამი წლის წინ მოვაწყეთ ეს მიკროჰესი „ლევანო“. ლევანო რატო და შენი სახელი დაარქვა დედა კვირილამა, შვილო. მორჩილების თანხმობითა, განა ისე...

ამისი სიმძლავრე კილოვატნახევარია და მშვენივრად ჰყოფნის მთელ ამ ჩვენ ღვთისმშობლის მონასტერსა. ასიოდე მეტრშია აქედანა და დენი კიდევ კაბელით არის გაყვანილი-გადაჭიმული ათ ბოძზედა. ეს ბოძები და კაბელი გორის უნივერისტეტიდან იყვნენ სტუდენები, იმათი დაფინანსებითა და შრომით არის გაკეთებული.

ეს დენი რომ დაზოგვით მოვიხმაროთ, მონასტერში გვინთია ხოლმე თორმეტი ეკონომიური ნათურაი და დენი სხვა რამეებისთვისაცა გვყოფნის, მაცივარი გინდა, უთოი თუ რა ვიცი, რაც იქნება.

მორჩილი დედა სოფია იტყვის ხოლმე, – ადრე განათება რომ არ იყო, ფანარებით ანდა სანთებელას გასანთებელი რომ არის, მაგით დავბორძიკობდით ხოლმეო.

მორჩილი დედა ფილოთეა დასძენს, – ჰესის ამუშავებამდე სენაკებს ჭრაქით ან დიზელის გენერატორით გამომუშავებული დენით ვანათებდითო.

მორჩილი დედა თაისია ამბობს, – ის გამონაბოლქვი ხომ გარემოსაც აბინძურებდა, ჯანმრთელობასაც ხომ ვნებდა და ვნებდაო...

და მონასტრის ბიუჯეტსაც ტვირთად აწვებოდაო, – ჩივის მორჩილი დედა ევანთია, რომელიც ხარჯების სწორად განაწილებასაც ცდილობს ხოლმე...

მოძღვარი დედა კვირილა შეაჯამებს ხოლმე, – ჰაერიც იწამლება ისე, რომ საშიში ხდება ძალიანო.

სულ ბოლოს, გავბედავდი და მეც ვიტყოდი ხოლმე ცოტასა, – ამ კიბოთი დაავადებულების რაოდენობა რომ მატულობს და მატულობს, ნეტავი, რადა? რადა და იმადა, რომ მოწამულილი ჰაერითა სუნთქავენ სულა. განა შეიძლება, რომ ვიღაცეები, თან ბევრნი, ხსნიდნენ მანქანებს კატალიზატორებს და ყიდიდნენ წაღმა-უკუღმა? ემაგ კატალიზატორმა თუ არ დაიჭირა და გაფილტრა, მანქანის მაყუჩიდან გამოსული გამონაბოლქვი ძალიან საშიშ აირებს შეიცავს და რამდენმა ადამიანმა, ბავშვმა და ქალმა უნდა ისუნთქონ იმითა? მერე უკვირთ, საიდან სიმსივნეო. საიდანა და, მოწამლული ჰაერიდანა მეთქი...

აი, მოდი, მივიდეთ ამ მიკროჰეს „ლევანოსთანა“. ეს როგორაა და, მიკროჰესის სადაწნევო მილიდან გამომავალი წყალი ატრიალებს პელტონის ტიპის ტურბინასა, ეს ტურბინა კიდევ გენერატორს გადასცემს ბრუნვასა... გენერეტორი კი გამოიმუშავებს დენსა. სწორედ ეგეთი პელტონის ტიპის ტურბინებია გამოყენებული დიდ ჰესებზეც, ხრამჰესი-ერთი გინდა, შაორის ჰესი, ბჟუჟჰესი და ასე.

„ზრრ-ზრრ-ზრრ...“ – ეგე, როგორ დასძახის ეს ტურბინაი, იმისი, რა ჰქვია, კაცო... ჰო, პელტონი... პელტონის ტურბი-

ნაი... აი, შენ კი გენაცვალე მაგ ხმაში...

მოდი, ბარემ კარგად გითხრა, როგორ არის ესა: მაღალი წნევისას წყალსა აქვს დიდი სიჩქარეი. ეს სადაწნევო მილსადენი უერთდება აი, ამ საქშენსა. ამას ცალ მხარესა აქვს წვრილი კვეთი და ამ წვრილ კვეთში წყლის სიჩქარე ძალიან დიდია მეთქი.

ამ პელტონის ტურბინის დისკზე კიდევ დამაგრებული არის ჩამჩასავით ფრთები. აი, როგორც რომ ეს ჩემი პეშვი, სულ ეგეთები. წყალს რომ მიუშვებ, ბრუნავს და ბზრიალებს სულა...

სანამ ჰესის კეთებას შევუდგებოდი, წყლის ხარჯი გავზომე ჯერა. ისე გავზომე, როგორც მაგ ენერგო იმის, სარგებლის ცენტრის ხალხმა მასწავლა...

როგორა და, ეს აუცილებლივ ზაფხულში უნდა გაკეთდეს, როცა წყალი ყველაზე ნაკლები მოდის, სხვა დროს არა, რახან ზუსტი არ გამოვა გათვლაი. წყლის ხარჯის ანგარიშია ესა, რა რაოდენობის წყალი მოდის მდინარეში.

აი, დავინიშნე საათზე დრო, რამდენ წამში გაივსება ეს პლასტმასის წითელი ვედრო. შვიდი წამია, არა? ეხლა კიდევა ლიტრიანით ამოწყოთ ვედროდანა წყალი, – ერთანამ, ორი... ორანამ, სამი... სამანამ, ოთხი... ოთხანამ, ხუთი და ესეც ნახევარი ლიტრი კიდევა. ხუთ-ნახევარი.

ახლა ეს ვედროს ტევადობა, ხუთ-ნახევარი ლიტრი გავყოთ იმ შვიდ წამზე და, უკვე თავისთავად, გამოვა ისა, რაც ჩვენ გვაინტერესებს – ნული მთელი, ცხრა მეათედი ლიტრი წამში.

ეს კი იოლია და, მერე უნდა უფრო ძნელი გამოთვლები, რომ ზუსტად დადგინდეს ჰესის მოსაწყობად საჭირო თითოეული დეტალი – ტურბინა გინდა, მილსადენის სიგრძეი თუ იმისი კვეთი კიდევა...

ამაშიც იმ ენერგო იმის ცენტრის ხალხმა გაგვიწია დახმარება. ჩამოვიდნენ, ხაზეს და ხაზეს, რაღაცა საბუთები წერეს, ისე გაზომეს და ასე გამოზომესა, დაიანგარიშეს და ისე გამოვიდა, რომ ეგეთი იოლად გასაკეთებლი პატარა ჰეს-

ის მოწყობა, დიდი-დიდი, ათას ხუთასი დოლარი ჯდებოდა...

უკვე რამდენი წელიწადი იყო, რომ ფუტკარი გვყავდა, მოტრიალდებოდა წელი და ემატებოდა სკები და ემატებოდა, თაფლი ხო თაფლადა და ცვილითა კიდევ სანთლებს აკეთებდნენ ჩვენი მორჩილები, აქაცა ვხმარობდით და საეპისკოპოსოშიც მიგვქონდა გასასყიდადა. ზოგჯერ კიდე ბოსტნეულიც, ხან რაი და ხან რაი. ესენი ხო გროვდებოდა სულა და იმდენი თანხა კი არ იყო, მაგრამა ჩვენი მოძღვარი, დედა კვირილა იყო ეპისკოპოსთანა, მეუფე ისაიასთან, იმან შეგვივსო დანაჩენი, მოვაგროვეთ ეგ ფული და იმისი ლოცვა-კურთხევითა... და, უფლითა და არა ჩვენითა, გავაკეთეთ ეს მიკროჰესი.

მოვიდნენ იმ ენერგოს ცენტრის ხალხი ისევა, იანგარიშეს, გამოთვალესა და გამოვიდა, რომ რაც ეხლა ენერგიასა ვხარჯავთ ამ მონასტრში, ამას რომ ვყიდულობდეთ ჩვენა, წელიწადში გამოვივდოდა ორი ათასი ლარი გადასახადი. სამი წელია ეს მიკროჰესი მუშაობს და ექვსი ათასი ლარი ხო დაიზოგა უკვე, ხო აანაზღაურა ის ათასხუთასი დოლარი, ამ მოწყობილობებში რომ დაგვჭირდა და მოგებაზეც გავიდა უკვე.

მორჩილი დედა ფილოთეა ჩახედავს იმ თავის საანგარიშო ფურცლებსა, ხარჯებისასა და იტყვის, – სწორედ ამდენი იქნებოდა მონასტრის ხარჯი, დიზელგენერატორისა და ჭრაქის გამოყენება რომ გაგვეგრძელებინაო.

მორჩილი დედა სოფია უფრო შორს მიდის, – თუ გავითვალისწინებთ, რომ საწვავისა და, ზოგადად, ენერგომატარებლების ფასი სულ უფრო და უფრო იზრდება, მონასტრის დანაზოგიც ხომ უფრო და უფრო მატულობსო.

მორჩილი თაისიას კიდევ უხარია, – მავნე გამონაბოლქვით აღარ დაბინძურდება გარემო, სენაკებში კიდევ ჰაერიო.

მორჩილი დედა ევანთია კიდევ მიუგალობებს, – ისეთი კარგი განათებაა, ხატებს ღამითაც ვხატავ უკვეო.

მოღვაწე კი, დედა კვირილა დაასკვნის ხოლმე, – საღვთოდ კეთილი საქმეა ეს, სიცოცხლის დასაცავად და მადლი ვუთხრათ ყველას, ვინც ამ მიკროჰესის მოწყობაში ხელი გაგვიმართა და

ვინც მოაწყოო. უფალო, შენითა და არა ჩვენითაო.

აი, ხო, ხედავთ, როგორ გამოვიდა...

ეგეთი პატარა ხევებითა და მდინარეებით ძალიან მდიდარია ეს ჩვენი ქვეყანაი და წყალი კიდევა, თუ დინებას მიუშვი, თავის გზას არ დაკარგავს და თუ არა და, გადააქცევ უფასო ელექტროენერგიად და ეგაა. თან არცა წყდება, სულ არის და არის. ჰოდა, როგორც მამაჩემი იტყოდა ხოლმე, მეფუტკრე ფილიმონაი, – დარდი გაუშვი შენა...

მეც ახლა იმ ენერგო იმის ცენტრის ხალხივით ვეტყვი ხოლმე აქ მომსვლელებსა:

გამოიყენეთ წყლის უფასო ენერგიაი! გაუფრთხილდით გარემოსა და გაუფრთხილდებით სიცოცხელსაცა და გაუფრთხილდებით თქვენ ჯანმრთელობასაც!

ერთი ბეწო პლანეტაა ეს ჩვენი დედამიწაი და აი, რატომ ვერ უნდა მოვუაროთ, რატომა?

6

მიიღებ, რასაც ეძებ მეთქი და...

ისე გამოვიდა, როგორც დაგიბარებია.

ერთხელაც, მოვედი აქა და სადღაა ჩემი გენერატორი? პელტონის ტურბინა ამოუღიათ, მოუგლეჯიათ სამაგრიდან და აგდია ოხრადა. ეს ქოხიც სულ მილეწ-მოლეწილია, კაბელებია გადაჭრილი და მიმღებ-გამანაწილებელი დაფა ჩამომტვრეულია, ერთი ჩამრთველი აღარა აქვს ზედა.

გამოვვარდი გარეთ, ამ ამაღლებაზე ამოვედი, ვიყურები დურბინდში და საზღვარი მაშინ აქვე, ამ გორაკის ძირასა ჰქონდათ და იქ მიაცუხცუხებს ორი ჯარისკაცი ჩვენ გენერატორსა, მერე შვიდი, რვა სული მისდევს და სულ უკან ვიღაცა ოფიცერი მიიზლაზნება გაჯგიმული. მიდიან ეგრე გეზადა, რუსული ბლოკ-პოსტისკენა. ვუყურებ ამ დურბინდში და ის ოფიცერი რამდენიმე წლის წინანდელ მაიორ გლებ უსმანოვსა ჰგავს სიფათზე.

აბა, მივვარდი მონასტერში, ვუთხარი ეს ამბავი და დედა

კვირილამ არავინ გაიყოლა, ჯერ ჩვენს ეპისკოპოსს, მერე საპატრიარქოს შეატყობინა, ვინ აღარ ჩარიეს, მაგრამ ველარ დავიბრუნეთ ის ჩვენი გენერატორი. დაგვტოვეს უდენოდა...

სად აღარ ვიარეთ, ძლივს მოვაგროვეთ ფული, ისევ ვიყიდეთ ყველაფერი, რაც გაგვიოხრეს და თავიდან გავმართეთ მიკროჰესი.

მაგ ოფიცრის ოხტში უნდა ამოვიდე მეთქი, ჯერ ჩვენ სამხედროებში ვიშოვე იარაღი, რაც საჭირო იყო და ვუარე ეული მგელივითა მაგათ ბლოკ-პოსტსა რამდენიმე დღე შორითა, ვათვალიერე დურბინდითა და გლებ უსმანოვია ნამდვილადა, ოღონდ მაიორი აღარ არი, კაპიტნად ჩამოუქვეიებიათ.

ერთ დღესაც წასული ვიყავი, თაფლი წავუღეთ ჩვენს შემსყიდველს, ვერ ახერხებდა ამოსლასა. უკან რომ ამოვედი, უკვე საღმოდვება და რასა ვხედავ, რასა?!

ის მავთულხლართები, იქით, გორისძირში რომ გადიოდა, ახლა აქ გადმოუტანიათ და ზედ მიკროჰესზე გადაუტარებიათ. ისე, რომ აქეთ მხარეს მარტო ჰესის საგუბარიღაა დარჩენილი, სადაწნევო ავზი და მთელი დანარჩენი ჰესი, – წყალმიმღები გინდა, სადერივაციო არხი, სადაწნეო მილსადენი, სადგურის შენობაი, ჰიდროაგრეგატი, თავისი ტურბინაგენერატორითა და ეს წყალგამყვანი არხიც, – ყველა საზღვარს იქით, დაპყრობილ სამაჩაბლოშია.

ავდექი და, ამ მავთულხლართებზე სულ გადავიგლიჯე ეს ცალი ხელი, მაგრამა მაინც გადავიტანე საზღვარი გადაღმა, ისევ ჩვენსკენ მოვაყოლე მიკროჰესი.

ხო ვიცი, რომ მოვლენ. მაგრამ მორჩა. აღარ მეშინია მე მაგათი. აღარა.

მოვიდნენ თუ არა და, აბა, გიყვარდეს, შევუკეთე და შევუკეთე ეს „ლიმონკები“ ამ ცალი ხელითა. აბა, აქედან და აბა, იქიდან! აბა, ფხაჭი! და აბა, გლეჯი! ვინც გადარჩა, ხომ გარბის თავქუდმოგლეჯილი და ვინც ვერა, აგდია იქა, მავთულხლართთანა და გაჰყვირის ვედრების სიტყვებსა.

ავიღე ეს ჩემი მაკაროვის პისტოლეტი, მივირბინე და

მაიორი გლებ უსმანოვი, ოღონდ კაპიტნის ოთხი პატარა ვარსკვლავითა!.. დაჭრილა ფეხში და იკრუნჩხება ტკივილისგან, გასდის სისხლი, მაგრამა ქამარი შეუხსნია უკვე და იჭერს ჭრილობის მაღლა...

ჩემს თვალწინ რომ ის ქალები ამოხოცე ტაქსიში, თავის შოფრიანადა, ეგეც ხომ მახსოვს მეთქი და მე რომ გამიშვი, ეგ კი ახლაც გამკვირვებია.

სიკეთე ვქენი და იმიტომ გაგიშვიო.

მერე ხო ჯერ ჩვენი გენერატორი მოიპარე და გაყიდე თუ გაცვალე სასმელში მეთქი...

არა, არა, ეგ ჩემი ბრალი არ იყო, უფროსმა დამავალაო.

ახლა ისევ იქით მოაყოლე ჩვენი მიკროჰესი, რომ ამ ღვთისმშობლის მონასტერსა დენი წაართვა მეთქი და ღმერთისა მაინც არ გეშინია?..

მეშინია, მაგრამ ისევ ბრძანება შევასრულე, პატარა კაცი ვარ, რა მექნაო?

ჩემს შვილსა ხომ შენი ბრძანებით ადგებოდნენ კისერზე, ხერხელმალში ამტვრევდნენ და მიწას აკოცეო, დაჰყვიროდნენ და ეგეთი წამებით რომ მოაკვლევინე, მაშინა მეთქი?

ეგეცა ბრძანებაი იყო, ბრძანებაიო...

რა ვქნათ ეხლა? ჩემი შვილის მკვლელი ხარ და შენ მითხარი, აბა, რა ვქნათ მეთქი? – მაკაროვს ვუმიზნებ შუბლში.

ვუმიზნებ, ვუმიზნებ და დამიდგა გონი, გული და ხელიცა. თვალწინ წარმომიდგნენ ღვთისიმშობლის მონასტრის წინამძღოლი, დედა კვირილა, მორჩილები: ფილოთეა, სოფია, თაისია, ევანთია... ღმერთო, შენითა და არა ჩვენითაო. მიგალობდნენ ამასა. მიგალობდნენ და...

მაიორო, ხოხვა შეგიძლია მეთქი? ხოხვაი?

შენ ნუ მესვრიო და შემიძლიანო.

წადი მაშინ, სანამ გადამიფიქრებია მეთქი.

ჰოდა, დაიწყო და დაიწყო ხოხვით წასვლა, მიიყოლებდა სისხლის კვალსა...

მერე ვთქვი, როდემდე გიყურო, შენი პატრონის ცოცხალ-მკვდარის დედაცა მეთქი და რომ გამოვბრუნდი, ორი

ნაბიჯი არა მქონდა გავლილი და ჯერ ზურგი ამეწვა, მერე გავიგონე სროლის ხმაი. მოვისვი ხელი მკერდზე და სულ სისხლიანია...

მივუტრიალდი და უსმანოვმა მეორედაც მესროლა, მესამედაცა... პირზე შემაშრა სიტყვები, – მომკალი, შე შობელძაღლო შენა?

პისტოლეტისკენაც ვცადე ხელის გაქნევა, მაგრამ ვეღარ...

აი, როგორც ძირში გადაჭრილი დიდი მუხა დაიძახებს ერთ მაგარ ჭახანსა, კვნესით შებრუნდება ოდნავა და დაასკდება მერე თავის მშობლიურ მიწასა, მეც სწორედ ეგრე...

ჰოდა, როგორც პატრაობაში ალილოზე ვმღეროდით ხოლმე „ჭონასა“, ისევ ის სიმღერა მომესმა სულ ბოლოსა:

„ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე, ვარსკვლავებსა დავენახე,
მთვარემ კაცი მომიგზავნა: – თუ აქ იყავ, რათ არ მნახე?!“

7

წლევანდელი მარტის თვრამეტი იყო, უკრაინულმა გაზეთებმა დაწერეს ჯერა, მერე აქაც გადამოთარგმნეს, რომ რუსეთ-უკრაინის ომში მოკლეს მაიორი გლებ უსმანოვი და რუსეთის გმირის წოდებაც მიანიჭესო. ისევ მაიორი გამხდარა იქა, კიევის აღებაში მონაწილეობდა მაგისი ნაწილი და უკრაინის ქალაქებში: ბუჩაში, ირპენში და გოსტომელში რომ შეაჩერეს, მერე უდანაშაულო ქალებს და ბავშვებს აწამებდა, აუპატიურებდა და ხვრეტდა თურმე. სწორდ ეგ მეთაურობდა კოსტრომის საჰაერო-სადესანტო პოლკსა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში და მათ შორის, კაპრალ ლევან სოსიპატრეს ძე მარიამიძის წამებაშიც ღებულობდა მონაწილეობასო.

აჰა, ურმით დადის და მაინც მოგაკითხავსო, სამართალი. აკი მეც ვიმეორებ ხოლმე, შვილო ლევანო, რომა, – ღმერთო, შენითა და არა ჩვენითა მეთქი...

ეს ჩემი არეულ-დარეული ამბავიც ეგ არი...

2022

ჯავახეთის ფამფარულა, ჩემი...

„ცა და ქვეყანა დაღრუბლა, სულ დედამიწა ღვარაო...“

ხალხური

რაღაც წარმოუდგენელ და სრულიად ფანტასტიკურ ჯავახეთში, კერძოდ კი თეთრობის აღკვეთილის რეინჯერების სახლზე რომ დავამონტაჟეთ ავტონომიური მზის ფოტოელექტრული სადგური, იქ ერთი ბუჩქივით ყვავილი იდგა, ის მომეწონა და ერთმა რეინჯერმა ამიხსნა, – ეს ჯავახეთის ფამფარულაა, კევის ბალახი, იგივე Scorzonera dzhawakhetica-ო, – ამ ერთ ბუჩქზე ოცდაათამდე მაინც იქნებოდა ყვითელი ყვავილი, თანაც იმ თავისი ლაღად ხასხასა, მიმოხვეულად წაგრძელებული, ღია მწვანე ფოთლებით, – ამ ჩემს ცოლს და შვილს რომ თვალები აქვთ, ზუსტად ისეთი ფერის ფოთლებით. ჰოდა, ნებართვა ავიღე, ამოვთხარე, ფესვები სველი მიწითა და ცელოფანით შევუფუთე, გზაში რომ არ დამჭკნობოდა და სახლში წამოვიღე, – მეთქი, ეგება გაიხაროს. სწორედ ამ ფამფარულას ვრგავდი ვეებერთელა ქოთანში, სამსახურიდან რომ დამირეკეს, – მეორე მემონტაჟეს, სანდროს სოფელში მოუწია სასწრაფოდ წასვლა, დედა უნდა დააწვინოს საავადმყოფოში და ისევ შენ უნდა გვიშველო, – შოვში, ერთ-ერთ კოტეჯზე ისეთსავე სადგურს ვამონტაჟებთ დღეს, როგორიც თეთრობის რეინჯერების სახლზე დავაყენეთო. წამოდი შენი მანქანით და ბენზინი ჩვენგან მოდისო.

მეთქი, ამ ჯავახეთის ფამფარულას ჩარგავ და ეგრევე გამოვდივარ. დაახლოებით სამ-ოთხ საათში მანდ ვარ და დამელოდეთ.

გაიგეს ამ ჩემმა ცოლმა, მარიკამ და ხუთი წლის ნატომ, რომ შოვში მივდივარ და, – ჩვენც წამოვალთ, ცოტას დავისვენებთ და ვიპიკნიკებთ კიდეცო...

მოკლედ, ცხრა საათი იქნებოდა, ჩავალაგეთ ბარგი ჩემს „სუძუკი გრანდ ვიტარა“ 2008 წლის ჯიპში და დავაწექით.

სადღაც პირველი საათისკენ ავედით შოვში, სადაც ფესტივალი ტარდება, იქ გავჩერდით – მდინარე ჭანჭახის ხეობაა, მწვანედ ხასხასა ტყე გადმოგვყურებს ფერდობებიდან, ლურჯად კამკამებს ჰაერი, ჩიტები თავ-თავისებურად გალობენ, აქა-იქ ადამიანების გადაძახილებია...

თეთრი ღრუბლებიც მოჩანს ზემოთ, შოდა-კედელას ქედის თავზე, თორემ ისე ცა ლურჯადაა გადახატული და მხიარული მზე ანათებს, ცხელა კიდეც და ჰაერი არის სასწაულად სუფთა, ამას მაშინვე გრძნობს იქ ასული ადამიანი.

მარიკამ და ნატომ მუსიკას მოუსმინეს, ფოტოები გადაიღეს, კარგადაც გაერთნენ.

ამასობაში მე იმ კოტეჯზე 1380 ვატიანი მზის ფოტოელექტრული ორი პანელი დავამონტაჟე, თავისი ორ კილოვატიანი სინუსოიდალური ინვერტორით, ორ-ნახევარ კილოვატ/საათიანი ჟელეიანი აკუმულატორით, ოცდაათამპერიანი მზის დამუხტვის კონტროლერით. მოკლედ, გავმართე სისტემა, ჩავრთე და დენი არის, – გარეთ მზეა და კარგად მუშაობს, თუმცა ამ აპარატურას სინათლეზეც შეუძლია მუშაობა, ღრუბლიან ამინდში. აკუმულატორი რაღად უნდაო, იქ მკითხეს მასპინძლებმა და ავუხსენი, რომ ეს აკუმულატორი დღისით დენს აგროვებს და ღამით უნდა ჩართო. თორმეტ ვოლტიანი და ერთ კილოვატ/საათიანი აკუმულატორი ჰყოფნის: ერთ ორმოც ვატიან ნათურას, მაცივარს, კომპიუტერს, ტელევიზორს და ტელეფონის დატენვას ღრუბლიან ამინდში ორი დღის განმავლობაში და ეს ორ-ნახევარ კილოვატ-საა-

თიანი აკუმულატორი, რაც აქ დავაყენე, წესით, ხუთი დღე უნდა ეყოს იმ ყველაფერს, რაც ჩამოგითვალეთ მეთქი... მერე სხვა რამეებიც ავუხსენი და, ბოლოს, უკვე რომ ჩაიბარეს ჩვენი სამკაციანი ბრიგადის ნამუშევარი, იქ პატარა სუფრა გაშალეს და, – მეთქი, ბოდიში, ვერ დავრჩები, ცოლ-შვილი მყავს წამოყვანილი, – და წამოვედი.

მერე მოვიარეთ მთელი შოვი, ერთგან, ტყისპირში გემრიელად ვიპიკნიკეთ კიდეც და სადღაც ოთხი საათი ხდებოდა, მინერლურ წყაროზე რომ ჩავედით, „კალცის წყაროს“ ეძახიან იქაურები.

ისეთი ღრუბლები მატულობს, გარშემო თეთრი რომაა და შიგნით მუქი, ტყვიისფერი ჭარბობს. ჩიტების გალობაც აღარ ისმის, თითქოს მზეც ალმაცერად იყურება ღრუბლებიდან და რაღაცა გაყურსულია მთელი გარემო.

მინერალური წყალი რომ დავლიეთ, – მოდი, მთის თაფლი ვიყიდოთო, – მარიკამ მითხრა.

ათიოდე გამყიდველია წყაროსთან, წინ დადგმულ, გასაყიდი პროდუქტით სავსე მაგიდებთან სხედან.

აგერ, მა, აი, იმ ფუტკრის კაცთან მივიდეთო, – ნატო ხელს იშვერს ერთი მათგანისკენ, – სულ ჭაღარა თმა-წვერიან კაცს თავის მანქანის კაპოტზე უწყვია თაფლის, ფუტკრის მტვრის ბურთულებისა და ფიჭიანი თაფლის ლიტრიანი თუ ნახევარლიტრიანი ქილები, და ფასები ქვეშ ამოდებულ ქაღალდებზე უწერია, ოცი-ოცდაათი ლარი ღირს თითო ქილა და მეთქი, შუადღე მშვიდობისა, ფუტკრის კაცო, მაგრამ ეს შენი გასაყიდი ქილები თავნაკლულად რატომ არის.

სიკეთე მოგცეს ღმერთმაო, – თეთრ წვერში შეუმჩნევლად ეღიმება იმას, – ანდის ჩეთვერი მანდის ჩარექია და მანდის ჩარექი ანდის ჩეთვერიაო. ანდის გირვანქა მანდის უზალთუნია და მანდის უზალთუნი ანდის გირვანქაო.

ბატონო, ბატონო მეთქი? – ვერაფერი გავიგე.

ანდის ერთი ლიტრი მანდის ერთი კილოგრამია და მიტომო.

„მანდის“ – მანდაური, ეგ კი გავიგე და „ანდის“ რაღაა მეთქი?

„ანდის“ არის აქოური, ბოშო, ამას რავა ვერ მიხვდი შენეო, – უკვე დაუფარავად ეცინება ფუტკრის კაცს, – ბაბუაჩემი ისიდორე ლაპარაკობდა ამისთანებს და იმის წინეთ კიდო იმისი ბაბუა, კონდრატე და იმის უფრო წინეთ, იმისი ბაბუის ბაბუა, სახელი აღარ ვიცი მისი და ასე, შორის შორით შორამდეო.

და მეთქი, – მაშინ მანდის ოცდაათი ლარი კი არა, ანდის ოცდახუთი ლარი რომ მოგცე აი, მაგ ლიტრიანი ქილაში, მოსულა?

ეგერ ე ემაგ ბარის ქალბატონს მიეცი მაი ფარაო, – ერთი სათვალიანი მოხუცისკენ მიმანიშნა, – დაბლობის თაფლი აქვს მაგას. ეს თაფლი კიდევ მთისაა, ჩემი ფუტკარი ალპურ ყვავილზეა ნამუშევარი და ვერაფერს დავაკლებო.

მარიკამ და ნატომ აღარ გამიშვეს იქ ბარის ქალბატონთან, ამისი თაფლი მაყიდინეს.

ამასობაში ცა და ქვეყანა უფრო მეტად დაღრუბლა, თან მზე მაინც არის და რაღაცა რეჩხს მიშვრება გული, მაგრამ არ ვიმჩნევ...

აქედან ზემოთ ხიდი მოჩანს და იქ გაჩერებული მანქანიდან ვიღაცა კაცია გადმოსული, ხელებს მიქნევს და ქუთაისურად მიყვირის, – ჩქარა, ბუჯო, ჩქარა წამოდი აქითო...

მეთქი, რა ხდება ნეტავი და თან შენი „ბუჯო“ ვინაა, შე ჩემა, – და რაც შემეძლო, ყველანაირად დავუჩქარე, რომ, – აბა, ქალბატონო მარიკა და აბა, ქალბატონო ნატო, მორჩით ფუტკრის კაცთან სურათების გადაღებას და ანდის მანქანაში მობრძანდით მანდით, თუ შეიძლება.

და ეგრევე დავიძარი. მივუახლოვდი, შევედი ხიდზე და რომ გადმოვედი, მეც გავიხედე და რაღაის „ბუჯოზე“ შედავება, მეთქი, – აუ, ეს რა ხდება...

წინა მხარე, შოვი, ნახევარი შოვი, სადაც ეს კოტეჯებია, – ქვა-ლოდებიანი ტალახის მდინარეს მიაქვს, ანგრევს, სიღ-

რმეში ითრევს და კარგავს ყველაფერს.

მტვერი ავარდება ხოლმე ზემოთ ხეობაში, მერე რაღაცა ავი ხმები და ხმაურებია, მტრისას, უცხო და დამანგრეველი, – გუგუნია, გრუხუნია, ზანზარია, შხრიალია, ლოდის ლოდზე მირტყმის ჭახანი დგას საზარლად. დიდი ხეები კიდევ ფესვებიანად იგლიჯება, ღვარცოფს მოაქვს და ზოგჯერ ერთიმეორესაც ეჯახებიან ხოლმე დიდი ზათქით...

ჯერ მარტო ეს საზარელი ხმაური წაახდენს კაცს, ისეთი ვაი-ვიში და უბედურება დგას.

უცებ დავიზაფრეთ, – რა უნდა ვქნათ, წინ ველარ მივდივართ, სახლისკენ.

უკან რომ გავიხედე, იქაც ეს მთელი ამხელა ტალახი მოგრუხუნებს, შიგ არეული ლოდებითა და ქვებით, ფესვებიანად მოგლეჯილი ხეები და ბუჩქები მოაქვს...

ჯერ ხომ კოტეჯებს დაარტყა ღვარცოფმა, ახლა უკანა მხრიდან შემოგვიარა და გადავიდა უფრო იქით, ტყისკენ. იქაც რომ მოასუფთავა ყველაფერი, მერე უცებ შეთქაფუნდა იმ ადგილას, სადაც რამდენიმე წუთის წინ თაფლს ვყიდულობდით და წამებში გაასწორა მიწასთან ყველაფერი.

არადა, იქ, „კალცის წყალთან“ ძალიან ბევრი ადამიანია. ხიდიდან გაოგნებული მივჩერებივარ იმათ, როგორ იბრძვიან გადასარჩენად...

ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავო, – მარიკა ტირის, გულში იხუტებს ნატოს. ის კიდევ მოთქვამს, – ღმერთო, ოღონდ გადამარჩინე და ოპერაციასაც კი გავიკეთებო. გლანდების ოპერაციის ეშინოდა და ახლა ისე დაფრთხა, თანახმა იყო უკვე...

და იმათზე ძალიან მე შემეშინდა, ჩემი კი არა, ამათი სიკვდილის შიშმა გამთანგა და მომიღო ბოლო.

ვართ ამ პანიკაში. მანქანაში ვზივართ და ვერაფერს ვაკეთებ, სულ ვერაფერს...

და უცებ ვხვდები, – ჩვენ რომ ამ მანქანიანად წაგვიღოს, ხელს აღარ გაგაქნევინებს, ეგრევე ჩაგვმარხავს სამუდამოდ.

ჩქარა, გადმოდით! ჩქარა! – მარიკას ვუყვირი...

მოვასწარით მანქანიდან გადმოსვლა და ხიდზე ვართ მომწყვდეულები. წინ ხომ ვეღარ მივდივართ, ვეღაც უკან და ქვემოთ სულ ვეღარ ჩავდივართ, მინერალური წყლისკენ.

ისმის საშინელი გრუხუნ-გრიალი, – იმნაირი ხმაა, დედამიწა რომ ინგრეოდეს, აი, ეგეთი...

ამ ხიდზე ჩაიკეტა სამი მანქანა: ჩვენ სამნი, ჩემი „სუძუკით“, ერთი ოჯახი „მერსედესით“ – ცოლი, ქმარი და პატარა ბავშვი ჰყავთ მაგათაც და კიდევ ორი ახალგაზრდაა „ნისანის“ შავი ჯიპით, – ქართველი ბიჭი და ვიღაც სლავი გოგო, – „ოი, მამოჩკი!“ და „ოი, მამოჩკიო!“, – გაჰკივის ისიც თავისებურად.

მერე და მერე კიდევ შემორბიან ხიდზე სხვებიც, და არც ეს შემომატებული ქალები აკლებენ, – კივიან, ქვითინებენ და ტირიან მოთქმით. კაცები ჩუმად ვართ, მაგრამ ჩვენც მაგარი დაზაფრულები.

ზემოდან ისევ ისმის დამანგრეველი, ძლიერი ხმაური. ისეთი, ისეთი, რომ... ჭკუიდან გადაგიყვანს.

და ვხედავთ, რომ ტალახის მაღალი ტალღა მოდის, მთელი მთაა ლამის, ავად სველი და დაუნდობლად მკვლელი მთა. მოდის, მოექანება ეგრევე დაგეზებული და გვემიზნება პირდაპირ ჩვენ, ხიდზე მდგომებს.

ჩვენ კიდევ გასაქცევი არსაით გვაქვს. ღმერთის იმედადღა ვართ, მაგრამ იმანაც რა უნდა გააკეთოს ამ დროს, ვერ ვხვდები...

მოკლედ, განწირულები ვართ და ვუყვირით ერთმანეთს, რომ ხიდს მოვშორდეთ, თორემ წაიღებსო.

მოვშორდეთ, მოვშორდეთ ხიდსო, – ვიმეორებთ ისევ, რადგან ისეთი გრიალი და უბედურებაა, რომ არ ისმის ჩვენი ყვირილი.

ძალიან სიცივე მოჰქონდა ამ ტალახის, ხეებისა და ლოდების მდინარეს.

და ისევ ვყვირით, რომ – ხიდს მოვშორდეთ, ხიდს მოვშორდეთო, – და, – გავიქცეთ, გავიქცეთო, – მაგრამ სად უნდა გავიქცეთ, არ ვიცით.

ხიდიდან ჩვენი გადმოსვლა იყო და ეს დიდი ტალღა მოვარდა, მოგრიალდა და რომ გლიჯა ამ „კალცის ხიდს“, ჯერ ხომ დააზანზარა და...

ხიდმა თავ-ბოლო აიშვა, ათამაშდა ჰაერში და ქანაობს უბედურად, – სულ მოირყა და მოფამფალდა იმხელა ხიდი, ბეტონით და რკინით ნაშენი საგულდაგულოდ. ხომ წარმოდგიდგენია, რამხელა ძალა აქვს ამ ღვარფოცს...

დაბლა რომ ვიღაცეები იყვნენ მინერალურ წყალთან, იმათგან ზოგიერთმა მიატოვა, რაც გასაყიდად ჰქონდა გამოტანილი, გაიქცა და შეასწრო ფერდობზე, ტყეში. ვინც ადგილზე დარჩა, ამ ღვარცოფში მოყვნენ...

ჩემი თვალით დავინახე, როგორ აწყდებოდა ხიდზე დარჩენილი მოხუცი ქალი აქეთ-იქით, მერე როგორ წაიღო ტალახის ნაკადმა ისიც და ზედ მიაყოლა ერთმანეთზე ჩაბღაუჭებული ქალი, კაცი და პატარა ბავშვი, ჩაითრია და აქა-იქ ამოაგდო ცოტა ხნით კაცის მხარ-მკლავი თუ ქალის უფეხსაცმლო ფეხი და ისევ ჩაიხვია, გააუჩინარა თავის მგრგვინავ წიაღში...

მანამდე დავინახე ნაძვის ხეზე ამძვრალი გოგო და ბიჭი, ღვარცოფმა იმათიანად მოგლიჯა ის ხე და წაიღო...

ის ჩვენი ფუტკრის კაცი ვერ შევნიშნე და გამიელვა, – ნეტავი, თუ გადარჩა მეთქი...

წამებში ხდება ეს ყველაფერი და ყველაფრის დანახვას ვერც ვასწრებ.

და ამ მოვარდნილმა ტალღამ რომ აისროლა სამივე მანქანა ჰაერში, სულ ტრიალ-ბზრიალით გადაყარა ხიდიდან და მიითრევს თავისი ქვა-ლოდებით სავსე ტალახის დიდ ნაკადში.

იმ ორმა, ქართველმა ბიჭმა და სლავმა გოგომ ვერ უშველეს თავს, – „ნისანის“ ჯიპში დარჩნენ შიშისგან... და წარმოვიდგინე, მანქანა რომ ტალახში იძირება და ვერც კარს აღებ, ვეღარც მინები გამოგიმტვრევია, რომ ეგებ ზემოთ ამოხვიდე როგორმე... სადაც ამ წყვილის ჯიპი ჩაიძირა, იქიდან მოგუდული ყვირილი გვესმის კაი ხანს, მაგრამ ვერაფერს ვშველით, კაი დიდი სიღრმე მაინც ექნება ღვარცოფს აქ, – სანამ იმათ ჯიპს

წაიღებდა, ზოგიერთი ხის კენწეროებიღა მოჩანდა წელან...

ღმერთო, ყველას აშორე ეგეთი საზარელი სიკვდილი...

მერე თავად ეს მოყანყალებული ხიდიც აიტაცა და მიაქვს, ბუმბულს რომ წაიღებს მდინარის ტალღა, აი, ეგრე.

ყველაფერი გაანადგურა იქ, სულ ყველაფერი და ჩვენ კიდევ ამ ნაკადს მივყავართ ქვემოთ.

მე ხელში შემრჩა ეს ჩემი ნატო და მეთქი, ეს ვინ მიჭირავს ნეტავი...

სად მოვასწარი, როდის და როგორ ავიყვანე ხელში, ვერ ვიხსენებ...

მეთქი, – მარიკა!.. მარიკა!.. – ვყვირი და მარიკას ბეჭდიან ხელსღა ვხედავ კარგა მოშორებით, გადარჩენილი ნაძვების მიღმა, ზურმუხტის ბეჭდი უკეთია არათითზე და ისღა ჩანს...

ვფართხალებ, მივიბრძვი, მაგრამ ფეხს ვერ ვდგამ ვერსად და ხელს ვერ ვანძრევ, მივყავარ ღვარცოფს და ვერაფერს ვშველი, სულ ვერაფერს...

და ჩემი მარიკას ხელიც გაქრა...

ღმერთო, მე რატომღა უნდა გადავრჩე, ღმერთო...

მაგ გოგოცუნას მიხედე, ბოშო, მაგასო, – ტალახიანი და სახედასისხლიანებული ფუტკრის კაცი მიყვირის, მოიქნევს ხელ-ფეხს, მოუყვება ნაკადს და თითქოს მოცურავს, მერე ისიც იძირება მორევად დატრიალებულ ტალახის მასაში...

გვატარა იმ ღვარცოფმა, მერე სადღაც გვერდით წაგვიღო, წაგვიღო, ცოტა გაიშალა, სიღრმე დაკარგა და ფეხზე დადგომა შევძელი.

იმ თხუთმეტი ადამიანიდან, ვინც ხიდზე ვიდექით, ამ გაშლილ და გვერდზე წასულ ღვარცოფში შვიდნიღა დავრჩით.

ვართ ერთად, მაგრამ ცოტა დაშორიშორებით, წელამდე ლაფში. ვერ ვინძრევით, ვერც დავდივართ.

ეს ჩემი ნატო ხელში მიჭირავს. ვუყურებ და ჩაუბღუჯავს წელან ნაყიდი ლიტრიანი ქილა, თაფლის, – არ უშვებს ხელებს...

და წინ, სადღაც ათ მეტრში... ჰო, ახლოს იყო ის ხეები,

ნაძვის ხეები იდგა, ხუთი-ექვსი.

და მეთქი, ნატო, თუ გვინდა, რომ გადავრჩეთ, აი, იმ ხეებამდე უნდა მივიდეთ როგორმე.

თავიდან შეეშინდა, – ვერაო, ვერ მივალთო. არ შემიძლია. დედა მინდა, დედა სად არიო.

მეთქი, დედა, ალბათ, მოშორებით წაიღო და გამოჩნდება, ნუ გეშინია, – ვუთხარი და ცოტა შვებით ამოვისუნთქე, რომ ამან, ეტყობა, ვერ დაინახა მარიკას ხელი როგორ იძირებოდა...

გავუმეორე და გავუმეორე, რომ ჩვენ უნდა გადავრჩეთ, უნდა გადავრჩეთ და აი, იმ ხემდე უნდა მივიდეთ. თან, მეთქი, – გოგო, გადააგდე ეგ თაფლის ქილა, რაღად გინდა.

და როგორც იქნა, დავითანხმე იმ ნაძვებამდე წამოსასვლელად, ოღონდ იმ პირობით, რომ, – ეს მთის თაფლი უნდა წამოვიღო, მე და დედას გვიყვარსო...

მივდივართ, მხრებზე მაზის ნატო, იმ თავისი თაფლის ქილიანად და არაფრით შეიძლება, არ უნდა მოვკვდე, ეს ბალღი უნდა გადავარჩინო...

მივდივარ, მივდივარ და ვეღარ მივდივარ. ერთ ნაბიჯს რომ წინ ვდგამ, ხუთს უკან მადგმევინებს ეს ღვარცოფი.

და მეთქი, – ღმერთო, აი, ეს ბალღი გამაყვანინე სამშვიდობოზე და მერე სადაც გინდა, იქ წამოვალ, – აგუგუნებულ ტალახს და ლოდებს ვეუბნები...

მივდივარ იმ ხეებისკენ, მივდივარ, მივდივარ და როგორც იქნა, მივედი შუამდე...

და მეთქი, – ჰო, რა, ღმერთო, გთხოვ...

და შუას რომ გავცდი, ვფიქრობ, – შეისმინა ჩემი ნათქვამი თუ რა არის...

ამის გაფიქრება იყო და ზემოდან ისევ ჩამოდის დამანგრეველი ხმაური. ისმის რაღაცა გუგუნი, ზათქი თუ გრიალია თუ რა ვიცი... რაღაცა უბედურების ხმაურია და მოაქვს ძალიან მურტალი გამყინვარება, რაღაც უბედურის ერთი სიცივე.

ზუსტად აქეთ მოდის, ჩვენკენაა დაგეზებული ისევ...

და მე ამ დროს ვერაფერს ვაკეთებ.

იმასღა ვფიქრობ, რომ მეთქი, – აქ ვერ გადავრჩებით, მორჩა. ეს არის ჩემი ბოლო და სანამ მარიკასთან წავალ, სიცოცხლის ბოლო წუთებს, ალბათ, აქ გავატარებ და ეგებ ეს ბალღი გადავარჩინო როგორმე...

ნატო მივიხუტე და შევტრიალდი ზურგით ღვარცოფისგან, რომ ამ ბალღის სიკვდილს მაინც ნუ მანახებ, ღმერთო და ჯერ მე ვიყო, ჯერ მე...

და რომ დაგვეტაკა ცოფიანი ხარივით... დაგვეტაკა და გადაგვაგდო, გვისროლა ძალიან შორს და დიდი სისწრაფით...

ამ დარტყმის მომენტში მე ხომ დამაბორიალა და ნატო კიდევ ცოტა მოშორებით ისროლა... გამტაცა, ხელიდან გამტაცა ბალღი...

მაგრამ შორს არ წასულა, ცოტა გამცდა...

მივდივარ, მივიბრძვი ნატოსკენ, რომ მეთქი, – ხელი უნდა მოვკიდო, ხელი უნდა მოვკიდო, თორემ ვეღარასოდეს ვნახავ...

და ამ დროს, ამ ფიქრ-ყვირილის დროს ცოტა მეც აზრზე მოვედი.

თან ცოტა შენელდა ეს დაძრული მასა და რომ გავიხედე ნატოსკენ, იმისი ხელი მაგრად მიჭირავს და ბალღი მთელი სხეულით ღვარცოფშია. მარტო გაფითრებული სახე მოუჩანს, ზემოთ ამოყოფილი თეთრი ცხვირით, მეტი არაფერი და იმ სახეზე კიდევ დიდი და ფამფარულას ფოთლებისფერი, კრიალა თვალები მიყურებენ ვედრებით, – ამ ბალღს სულ მარიკას გამოხედვა აქვს, ჩემი მარიკასი...

და რა ვქნა, რა გავაკეთო... თან მივყავარ ღვარცოფს, მომტვრეულ ქვა-ლოდებს მირტყამს, ფეხებს და ტანს მისერავს მტკივნეულად. ოღონდ ნელი დინებით მივყავართ უკვე, ისეთი დიდი ძალით აღარ.

მეთქი, – უნდა გადავრჩეთ როგორმე, ნატო, ხმა ამოიღე, ნატო...

და მეუბნება, – ამომიყვანე ამ საძაგელი ტლაპოდანო.

რაც ძალა მქონდა, მოვიკრიბე და ხელი ამოვარტყი ქვემოდან. ჩავწვდი, რომ ზურგამდე მიმეტანა ხელი და იქნებ ამოვაგდო ამ ლაფიდან. იქნებ ამოვაგდო, იქნებ...

ამას ვფიქრობ, თან ვყვირი, თან ბალღის ტალახიდან ამოწევას ვცდილობ და მესამე, მეოთხე ცდაზე უკვე ხელში მიჭირავს.

ეს ჩემი ნატო ხომ ჩიტივით მსუბუქია ისე და ახლა უკვე ძალიან მძიმეა, ისეთი მძიმე, რომ მეც მძირავს.

ვიხრჩობით ორივე, მოკლედ...

და ვფიქრობ, რა გავაკეთო, რა გავაკეთო, რა გავაკეთო...

ძლივს მივხვდი, რომ ძალიან ტალახიანი იყო, იმიტომ იყო დამძიმებული.

და ვყვირი, რომ უნდა გავასუფთაო, გავასუფთაო, გავასუფთაო, და თან ვწმენდ, ვაცილებ ტალახს...

ვწმენდ, ვწმენდ, ვწმენდ და ცოტა გამსუბუქდა ნატო. საკვირველი ის არის, რომ ის თაფლის ქილა ისევ ხელში უჭირავს...

შორს კი გადაგვაგდო ამ უშველებელმა ტალღამ და მივყავართ, მაგრამ სწორედ იმ ადგილას აღმოვჩნდით, სადაც მინდოდა, რომ მივსულიყავით. იმ გადარჩენილ ხეებთან ძალიან ახლოს გაგვრიყა...

ვიწვალე, ვიწვალე და, როგორც იქნა, ნატო მივიყვანე და თავისი თაფლის ქილიანად შემოვსვი ხეზე.

მე მთლიანად ტალახში ვარ, წელს ქვემოთ. ვერაფრით ამოვდივარ. ისევ მივყავარ ამ დინებს, თან მეშინია, – კიდევ არ დაგვარტყას, კიდევ არ დაგვარტყას.

და ფეხების ამოტანა მინდა, მაგრამ საყრდენი არა მაქვს. სულ ლაფში ვარ ირგვლივ. არაფერი არაა მყარი, რომ ხელი მოვკიდო ან ფეხით დავეყრდნო.

მერე ძლივს ერთი ფეხი ამოვწიე, ამოვწიე მეორე ფეხიც და ვიქნევ ხელებს, – ვიბრძვი, რომ მივიდე ნატომდე.

და როგორც იქნა, ესე ძლივ-ძლივობით მივედი.

ავედი მეც იმ ხეზე და რაღაცას მეუბნება ბალღი.

ძლივს გავიგონე, – ძალიან მცივაო, – სულ სველია და ტალახიანი, – მცივა, მცივაო და...

არადა, უსაფრთხო ადგილას, ხეზე ვსხედვართ ორივე და თითქოს აქ აღარაფერი გვემუქრება. მეთქი, წესით ისეთი დიდი ტალღა აღარ მოვა, რადგან „კალცის ხიდი“ რომ დაანგრია და წაიღო, ღვარცოფის მთელი მასა ხომ იქით წავიდა.

მოკლედ, თავს ვიიმედებ, რომ მეთქი, – აქ გადარჩენილები ვართ.

ახლა იმაზე ვნერვიულობ, რომ ძალიან სცივა ნატოს, სულ აკანკალებს უკვე და ცუდად არ გამიხდეს. გამოვართვი თაფლის ქილა, საიმედოდ დავდგი იმ ხეზე და დავუზილე ხელფეხი, ცოტა აუმოძრავდა სისხლი და ფერიც დაუბრუნდა სახეზე...

და მეთქი, აქ დამელოდე.

მაინტერესებს, ზემოთ რა ხდება. იქით ხომ ვერ ვხედავ, საერთოდ, რა ამბავია.

კარგიო, – დამიჯერა, – დაგელოდები აქ, ოღონდ ჩემი თაფლი მომეციო.

დავუბრუნე თაფლის ქილა, ჩამოვედი იმ ხიდან და რაღაცა დახრილად არის მეორე მხრიდან, იმას ავუყევი ზემოთ, ავფოფხდი, ავფოფხდი როგორც იყო, თან ფეხსაცმელები უკვე დაკარგული მაქვს, ფეხებში სულ წვეტიანი ქვები მერჭობა. წამოვდექი ამ სიმაღლეზე და რას ვხედავ!..

ვერაფერს! სულ ვერაფერს!

მთელი შოვი, მთელი კოტეჯები ამ ღვარცოფშია მოყოლილი.

აღარაფერი აღარ არის, საერთოდ.

ყველაფერი, სულ ყველაფერი განადგურებულია.

აღარც კოტეჯი დგას, აღარც ხე არის, აღარც მინდორია.

აღარაფერი აღარ არის ამ ღვარცოფის გარდა.

აი, საერთოდ აღარაფერი...

ყველაფერი აღგვილია პირისაგან მიწისა...

მეთქი, – რა გავაკეთო, რა გავაკეთო, რა გავაკეთო.

ვფიქრობ. ვფიქრობ, ვფიქრობ.

გავიხედე მარჯვნივ, გავიხედე მარცხნივ.

ვერაფერს ვხედავ. სულ ვერაფერს.

მარტო ტყე მოჩანს ძალიან შორს. იქამდე ვერანაირად მივალ.

შემდეგ გამოვიხედე ცოტა ქვემოთ მხარეს. დავინახე სასტუმრო „სანსეტ შოვი“ გადარჩენილა და კიდევ ერთი კოტეჯი მოჩანს იმის ზემოთ, დაცერებული დგას უკვე, წაქცევას აღარაფერი უკლია. ამ კოტეჯსა და სასტუმროს, ეტყობა, ერთი დიდ ტალღა დაეჯახა, მაგრამ ვერ დაანგრია... და იქ ადამიანებს ვხედავ, გადი-გამოდიან, მაგრამ იქამდე ასვლა შეუძლებელია, აღმართი არის აქეთ და ამ ტალახის მასას კიდევ ფსკერისკენ ჩავყავარ. თან, მით უმეტეს, ნატო უნდა ვატარო.

გავიხედე შემდეგ ქვემოთ, – ონისკენ რა. და ამ ვრცელი ღვარცოფის გაღმა, ფერდობზე დავინახე სამსართულიანი სასტუმრო და იმ სასტუმროსთან – ძალიან შორს ვიყავით ჩვენ და, – ვხედავ, რომ ვიღაც-ვიღაცეები დადიან იქაც, წერტილებივით მოჩანან აქედან...

და მეთქი, – ვაითუ, ისევ მოსცხოს უფრო დიდი ტალღა და ეს ხე ვეღარ გვიშველის, იმ სასტუმრომდე უნდა მივიდე როგორმე, – ჩემს თავს ვეუბნები, – იქამდე უნდა მივიყვანო ეს ბალღი, რომ მართლა გადავარჩინო.

აი, ამ ტალახში გარეულ ლოდებში, ქვებში და ხეებში ფეხშიშველა უნდა წავიდე წვალებ-წვალებით, ფეხების დასისხლვით და სადმე თუ ღრმა ადგილი შემხვდა, იქ ჩაძირვის შიშით. ჩემი თავი ჯანდაბას, ნატოს არ მოუვიდეს რამე...

უკვე სულ დაღრუბლულია ცა და ქვეყანა, წვიმას აპირებს თუ ზემოთ, მთაში წვიმს უკვე და ვაითუ, ახალი ტალღა მოაქვს კიდევ ამ ღვარცოფს, – მოკლედ, ეს ჯოჯოხეთის გზა უნდა გავიაროთ აუცილებლად მე და ნატომ...

ძალიან დიდი, ალბათ, რამდენიმე ასეული მეტრი მაინც იქნება იმ სასტუმრომდე, მაგრამ მეტი გზა არაა...

თავისი თაფლის ქილიანად შემოვისვი კისერზე ნატო და

მივდივარ, მივდივარ, მივდივარ. მიმყავს, მიმყავს და ეს წვეტიანი ქვები ფეხებს მისერავენ.

ალბათ, ძალიან ცოტა მაქვს გავლილი. აი, ძალიან ცოტა და უკვე აღარ შემიძლია სიარული, სულ გამომეცალა ძალა. წყალი მინდა, პირი მიშრება. ტუჩები დამისკდა, მთლიანად ტალახში ვარ, ძალიან დამძიმებული, ეს ბალღი ზურგზე მაზის და მაინც არ ვჩერდები, მაინც არა.

უნდა ვიარო, ვიარო, ვიარო, ვიარო! – ხმამაღლა ვყვირი.

საკუთარ თავს ვუყვირი, – უნდა ვიარო!

თან ზემოთ ვიხედები, მეთქი, – ახალი ტალღა თუ მოდის და, დამთავრებულია ჩვენი ამბავი, – ყველაფერი გადასწორებულია, ვერაფერი გაგვაჩერებს.

უკვე აღარ შემიძლია სიარული და ნატოს ვეუბნები...

წინ დავინახე ერთი დიდი ხე, ამ ღვარცოფისგან მოტანილი, სულ გაშავებული და მივხვდი, რომ ხე იყო ის და ნატოს ვეუბნები, – აი, იმ წაქცეულ ხეს ხომ ხედავ?

ვხედავ, გეთაყვაო, – მეუბნება.

ამ „გეთაყვამ“ ხომ იქვე მომიღო ბოლო, – მარიკა ასწავლიდა ხოლმე ეგეთ სიტყვებს და სიმწრით ენა მოვიკვნიტე.

ვხედავ იმ ხეს, მამა, ვხედავო, – გამიმეორა.

ჰოდა, მეთქი, იმ ხემდე შენით უნდა მიხვიდე.

და შეცბუნდა ძალიან, – იქამდე მე ვერ მივალ, ბატონო ნიკოლოზო, – მეუბნება. კიდევ საიდან შერჩა ამ ბალღს ესეთი იუმორი ამ უბედურებაში, არ ვიცი რა...

მეთქი, შენ ხომ მაგარი გოგო ხარ და უნდა მიხვიდე, თორემ მე აღარ შემიძლია, როგორმე იქამდე უნდა მიაღწიო შენი ფეხით.

როგორც იქნა, დავითანხმე, – რა გაეწყობა, წავალო...

ახლა ეს „რა გაეწყობაო“, – და ეგრევე გამიელვა, – მოგიკვდეს, შვილო, იდიოტი მამა, აქ სად წამოგიყვანე...

მეთქი, – გოგო, გადააგდე ეგ თაფლის ქილა, აქ ხელს შეგიშლის და მერე უკეთეს თაფლს გიყიდი...

არა, არაო, – ჯიუტად გააქნია თავი და მიდის ეგრე, წვალებ-წვალებით, ხან დაჯდება, ხან დაწვება, ცალი ხელით ცურვასაც ცდილობს იმ უბედურის ერთ ლაფში, თან იმ ქილას ხელს არ უშვებს და მერე, – ფეხსაცმელები წამართვაო, – მეძახის.

ეგ არაფერი, ნატო! აი, ცოტაღა დარჩა, ცოტაღა დარჩა! – ვუყვირი აქედან.

მე ველარ მივდივარ და ის მაინც გადარჩეს. აღარ შემიძლია, ჩაფლული ვარ წელამდე ტალახში კამეჩივით.

ცოტაღა დარჩა, ნატო, ცოტაღა დარჩა, ცოტაღა, – ვუყვირი, თან ველარც ვუყურებ, წვალებით რომ მიდის ეს პატარა გოგო და წვეტიანი ქვები ეჯახება, მაგრამ არ ტირის, უძლებს მაინც...

თან ზემოთ ვიყურები, – აბა, კიდევ ხომ არ მოდის ტალღა...

მეთქი, – ცოტაღა დარჩა, ნატო, ცოტაღა დარჩა, – და უცებ შორიდან, სადღაციდან მესმის იმისი ხმა, – მივედი უკვე, გეთაყვა, მივედიო...

გავიხედე და უკვე იმ წაქცეულ ხეზეა ასული და თაფლის ქილა ისევ საიმედოდ ჩაუბღუჯავს...

მერე მეც იმისკენ მივდივარ ნელ-ნელა, ცრემლები მომდის და მეთქი, – ღმერთო, მადლობა, ჩემს შვილს რომ უშველე...

მივედი მეც იმ ხესთან, მოვუჯექი ნატოს გვერდით. ამოვიქაქანე ცოტა, გავიხედე და ნახევარი გზა გამოგვივლია. უკვე ის ადამიანებიც კარგად მოჩანან, გაღმა ფერდობის სასტუმროდან ვინც გვიყურებენ. ჯერ ვერავინ ბედავს ღვარცოფში შემოსვლას და დახმარებას, ძალიან შორს ვართ მაინც.

ამ ტალახით თმაგაწებილ ნატოს კიდევ სულ გაშავებია დედამისივით ქერა თმა, თან სისხლი მოსდის ფეხებიდან და ეს კიდევ ცალკე მკალვს...

აღარ ვგავართ ადამიანებს, სულ სისხლიან-ტალახიანები ვართ.

ფეხებზე წვეტიანი ქვები მეჯახებოდაო, – შემომჩივის.

მეთქი, – არა უშავს, უკვე დავისვენე და ისევ მე უნდა წაგიყვანო, ერთად მივალთ იმ სასტუმრომდე.

ეს ხე, რომელზეც ვდგავართ, ცოტა გრძელია და ხომ ვიცი, რომ ისევ ლაფის გადავლა მომიწევს და მეთქი, – ამ ხეზე უნდა გავიქცე და შორს მაინც გადავხტე, რომ რაღაც მანძილი მოვიგო.

მოვიკრიბე უკანასკნელი ძალები, შემოვისვი ნატო, გავექანე, გავექანე, ვისკუპე და ჩავხტი შუა ტალახში.

ჩავხტი და ჯერ რაღაც ლოდი მეჯახება ეგრევე, ხელებით იმის მოცილებას ვცდილობ, ამ ჯაჯგურში ცოტა ჩამოშორდა ლაფი და რას ვხედავ, – ყინულია, ყინულის ლოდია. ეტყობა, მყინვარი ჩამოიმსხვრა, ღვარცოფმა ეს მონატეხებიც წამოიღო და ეს სიცივეც ამიტომაა...

ეს ყინულის ლოდი კი მოვიშორე, მაგრამ ახლა ვიძირები, მე ხომ წელამდე ჩავედი და ჩემს კისერზე შემოსკუპებულ ნატოს კიდევ მარტო ფეხები ჩაეფლო.

ნელ-ნელა ჩავდივარ ტალახში და მეთქი, – ნატო, ფსკერზე არ ვდგავარ, უნდა გადმოხვიდე, თორემ ჩავიძირები.

გადმოვსვი ნატო, დავსვი გვერდით და ისიც ჩაეფლო, მაგრამ ნელ-ნელა დავუშვი და არ ჩადის ეგრე იოლად.

მერე ვიქნიე ხელ-ფეხი, რაც შემეძლო, ძლივს გამოვედი, გამოვაღწიე ამ წებოვანი ნაკადის სიღმიდან და ნატოც გამოვიყვანე, – წვალებ-წვალებით გავცდით იმ ღრმა ადგილს. გავცდით, ფეხები ფსკერზე დავდგი, ცოტა გაიოლდა სიარული.

შემოვისვი ისევ ნატო და ამნაირად მივაღწიეთ კიდევ ერთ ხემდე.

ბევრი აღარაა დარჩენილი სასტუმრომდე და ვხედავ, ერთი ბიჭი მოდის, ჩვენს დასახმარებლად მოტოპავს ღვარცოფში.

მეთქი, – აგერ, იმედიც მოდის, ნატო, აღარ შეგეშინდეს.

ის თავგადაპარსული ბიჭია იმედიო? – მეკითხება.

უფრო დაკვირვებით გავხედე და მართლა პირწმინდად

თავგადაპასული ბიჭია და მეთქი, – ჰო, ეგაა იმედი და რა ვიცი, ეგებ ღმერთიც კია...

ესე იგი, ღმერთსაც სცხელა და თავს იპასავს ხოლმეო, – ნატო ამბობს...

ცოტა კიდევ გავიარეთ, იქ ბევრი ხეები იყო მოტანილი და ეს ხეები გვეხმარებოდა, რომ ძალიან ღრმად არ ჩავსულიყავით ტალახში.

გადამყავს ერთი ხიდან მეორეზე, მეორედან მესამეზე... ზურგზე მყავს მოკიდებული ნატო, თან ის თავგადაპასული მოდის აქეთ და ეს უფრო მამაშვიდებს, რომ მე თუ ვეღარ, ეს ბიჭი მაინც გადაარჩენს ამ ბალღს.

და მართლაც, მოვიდა ჩვენამდე, გამომართვა ნატო და თავისი თაფლის ქილიანად გაიყვანა სამშვიდობოზე.

მეც მოვიკრიბე ძალა, გავედი როგორც იქნა ფერდობის მდელოზე და ნაპირთან ვხედავ, ჩემი დამონტაჟებული ორ კილოვატიანი სინუსოიდალური ინვერტორი მოუგლეჯია ღვარცოფს გაღმა კოტეჯიდან, სადენებიც სულ დაუწყვეტია, უტარებია ეგრე ტალახ-ტალახ და საიდან სად გამოუტანია. ავიღე ხელში ის ინვერტორი, ჩამოვჯექი ერთ დიდ ქვაზე, სინანულით დავყურებ და მეთქი, – აფსუს, ჩემო გაკეთებულო მზის პანელების სადგურო...

იქ ერთი ჩიტივით მოხუცი ქალი დაგვხვდა, ტირილ-ტირილით ეუბნება ნატოს, – ვაიმე, შვილო, შვილო, შვილოოო!.. მერე დაუძახა სხვა ქალებს, წაიყვანეს ეგრეევე, აბანავეს, ფეხებიც დაუმუშავეს, რაღაც მალამოები წაუსვეს, რომ ინფექცია არ შეჭროდა.

ზის ახლა სკამზე ნატო, ხელებში თაფლის ქილა უჭირავს და ღვარცოფის გაღმა იყურება...

მეც ავდექი, ძლივს მოვიფიქრე, იმ ქვაზე დავდე ეს ინვერტორი და ჯერ წყალი ვითხოვე, – მაღალი ჭიქა და დიდი გრაფინით მომიტანეს, და მესამეც რომ დავლიე, ცოტა დავწყნარდისავით მაშინ.

მეთქი, – სადაც ამდენი ხანი გაძლო და ახალი ტალღა არ

წამოვიდა, სამშვიდობოს ვარ გამოსული და იმედია, კიდევ არაფერი წამოვა, და რა დროს ინვერტორი და კონტროლერია...

გავყურებ ამ ღვარცოფს თან და მიკვირს, რომ ნეტავ, აქ როგორ გადმოვედი, როგორ...

მიყურებს ნატო, მიყურებს და მეკითხება, – ნეტავ, დედა სად იქნებაო?..

და უცებ ჩემი მარიკას ზურმუხტის ბეჭდიანი ხელს ვხედავ, გაქანებულ ტალახში რომ იძირება და ცრემლებს ვმალავ...

ღმერთო, ჩემი მარიკა როგორ დავკარგე, რატომ ვერ მივეხმარე, რატომ...

მეთქი, – ეგრე როგორ შეგეშინდა, – საკუთარ თავს ვამუნათებ, მაგრამ გამართლებასაც იქვე ვპოულობ, – ეს ამხელა გზა ხომ უნდა გამომევლო, ნატო რომ გადამერჩინა... სამი-ოთხი საათი ხომ მაინც ვიარე, თუ მეტი არა...

ვფქირობ, ვფიქრობ და...

უცებ მახსენდება, რომ იქ დავტოვე ადამიანები, იმათში პატარა ბალღებიც ერივნენ...

და მეთქი, – ნატო, წავალ, მარიკას მოვძებნი, შენ კიდევ აქ იყავი და ეგ თაფლი კარგად შეუნახე, ხომ იცი, როგორ უყვარს.

კი, კიო, – მეთანხმება და იმედიანი თვალებით მიყურებს...

იმ თავგადაპარსულს დავუბარე, იმისი სახელი აღარ მახსოვს, რომ მეთქი, – ვერტმფრენი რომ მოვა, ნატო შენთან იყოს, შენ გადაიყვანე სამშვიდობოს.

შენ რატომ არა, შენ ხომ ამ ბავშვის მამა ხარო?

მანამდე იქ ვთქვი, რომ მამა ვიყავი და იქიდან იცოდა.

მეთქი, მამა კი ვარ, მაგრამ ისევ უკან უნდა დავბრუნდე, იქ ხალხია და ბალღებიც არიან...

შენებიო?

მეთქი, – ჰო, აბა რა, ჩემები...

ჩემები, რადგან იქ ჩემი თუ ვერა და, – ჩემიანი მაინც ხომ არის ყველა პატარა...

და გადაირივნენ ეგეც, ის ჩიტივით მოხუცი ქალიც, დედამისი ყოფილა, სხვებიც, არ მიშვებდნენ არაფრით, – ჩაგითრევს და ჩაგმარხავს ეს ღვარცოფი სადმე და ვეღარ გიპოვნიანო.

მე უკვე მოვშორდი, ბუნდოვნად მომდის ამათი ძახილი და რომ გავიაზრე, სადა ვარ, შუა ღვარცოფში ვყოფილვარ ისევ შემოსული.

და მივდივარ, მივდივარ. არა ვჩერდები ისევ. თან მეშინია, კიდევ არაფერი წამოვიდეს...

მეორედ გადავიარე მთელი ღვარცოფი, მაგრამ უკვე მარტო ვიყავი, თან დასვენებულიც, წყალიც დავლიე და თითქოს ძალ-ღონე დამიბრუნდა ისევ.

ალბათ, ერთი საათის მერე მივედი იქამდე, საიდანაც წამოვედით მე და ნატო. იქ კიდევ ღვარცოფზე სხედან სახეშეშლილი ადამიანები, ფეხები ტალახში აქვთ ჩაფლული მუხლებამდე.

და ვართ ეგრე ამ უბედურის ერთ ალაგას, ამ შუა ღვარცოფში. ნებისმიერ დროს შეიძლება, დაგვარტყას კიდევ, ახალი ტალღა წამოვიდეს და ჩვენ არ აგვცდება.

მეთქი, – ახლა რაღა ვქნა, რა გავაკეთო...

ესენი ამბობენ, დამხვდურები, რომ სამაშველო სამსახურში დავრეკეთ, მაშველები მოდიან და ჰელიკოპტერიც მოფრინავსო.

ჰო, კარგი, მოდის ვერტმფრენი, რამე რუსული „ვერტიაჩკა“ იქნება, კაი მოძველებული და ლამის სამუზეუმო უკვე, სადღა ჰყავთ ამათ უცხოური ჰელიკოპტერები, მოდის, მოდის, მოდის და ღამდება უკვე ლამის, კაი დიდი ხანია, ველოდებით. თან ეს ოხერი დრო აღარც გადის, თითოეული წუთი ლამის ერთ საათად გვეწელება.

მეთქი, – ერთი რომელიმე ბალღი გამატანეთ, რომ ისიც გადავიყვანო სამშვიდობოს.

სად უნდა გაგატანოთ, ისედაც მაგარი სიგიჟე გააკეთე, იქ სად გაიარე და ან როგორ გადარჩიო, – მომკივის ვიღაცა სახეშეშლილი ქალი და გულში იხუტებს თავის პატარა გოგონას.

ეს ბალღებიც მაგარ პანიკაში არიან და წამითაც არ შორდებიან მშობლებს.

ცოტა ხანი გავიდა, ერთმა მოხუცმა კაცმა გამომიწოდა პატარა ბიჭი, – აჰა, ეს ჩემი გიო გადამირჩინეო.

ავიყვანე ხელში ის ბალღი და მეთქი, – მე და შენ უნდა გადავიდეთ ახლა, ვაჟკაც...

არა, არაო, – არ მომყვება.

მეთქი, – ჩემი შვილი შენხელაა და იმასთან უნდა გადაგიყვანო, აგერ, გაღმა სასტუმროში. გადაგიყვან და იქ გაბანავებენ, კაი კანფეტებს გაჭმევენ და ტორტსაც, ხომ გიყვარს...

ველაპარაკე, ველაპარაკე და დავაჯერე, რომ იქ კარგი იყო, იქ სულ მაგარი რამე-რუმეები და რაღაც-რუღაცეები ხდებოდა.

ავიყვანე ეს გიო ხელში და, ალბათ, რამდენიმე მეტრიღა გავიარე და დავვარდი, აღარ შემიძლია უკვე, – ფეხებს ვეღარ ვგრძნობ.

დავჯექი ამ ღვარცოფზე და მე რაღა უნდა გავაკეთო, ვეღარ ვმოძრაობ.

ძლივს მოვიდა ჩემამადე გიოს ბაბუა, გამომართვა ბალღი და წაიყვანა ისევ მოშორებით. იმისი წასვლა იყო და...

უცებ მთელი ძალით დამარტყა თავში მარიკას ზურმუხტისბეჭდიანმა ხელმა, აგერ იმ ხეების იქით ჩაიძირა...

მეთქი, ნატო ხომ გადავარჩინე იმ თავისი თაფლის ქილიანად!

და იმის შეკითხვას, – დედა სად არისო? – პასუხი ხომ უნდა გავცე...

ჰოდა, უნდა წავიდე და ცოცხალი იქნება თუ მკვდარი, მაინც უნდა ამოვიყვანო მარიკა! რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა ამოვიყვანო!..

დავიძარი იქით, ხეების გაღმისკენ და მიყვირიან, – მანდ ღრმაა, სად მიდიხარ, სადო...

მე არ ვუსმენ, მივდივარ და მივდივარ, ჩემი მარიკასკენ მივდივარ...

***

ვარდისფრად განათებული ციდან მოალერსე წვიმა მოდის, – თბილი, კეთილი წვიმა ასხამს და ერთ მწვანე მდელოზე, ხესავით დიდი, უშველებელი ჯავახეთის ფამფარულას ყვავილის ძირში ოცდაათზე ცოტა მეტი ადამიანი გროვდება ნელა-ნელა, – ჯერ ბალღებს აბანავებენ ამ წვიმაში, მერე თავადაც იბანან და ყვავილის ძირში რომ შედიან, იქ ღიმილიანი და გამჭვირვალე ვიღაცეები ხვდებიან, რომლებიც კი არ დადიან, ჰაერში დაფრინავენ, – გასამშრალებელ ზეწრებს ურიგებენ და მერე, გამშრალებულებს თეთრ ანაფორებსაც აძლევენ.

ჰოდა, იმ ჯავახეთის ფამფარულას ყვავილის ძირიდან იყურება თეთრად გადანათებული ხალხი.

იმას ხომ ხედავო, – მიღიმის ჩემთან მოფრენილი ერთ-ერთი გამჭვირვალე და ჭაღარაწვერიანი კაცისკენ მახედებს, – ფუკტრის კაცია, თაფლი რომ მოგყიდაო...

და მეთქი, – ვიცი, როგორ არ ვიცი...

ის თეთრ თმა-წვერიანი და თეთრივე ანაფორიანი ფუტკრის კაციც ხელს მიქნევს, თან თავის საფირმო ფრაზას მიმეორებს ისევ, – ანდის ჩეთვერი მანდის ჩარექია და მანდის ჩარექი ანდის ჩეთვერია. ანდის გირვანქა მანდის უზალთუნია და მანდის უზალთუნი ანდის გირვანქაო.

და მეთქი, – ვახ, ფუტკრის კაცო, ისევ ვერაფერი გავიგე...

რაფრა ვერ ხვდება ამას ახლა შენისთანა განათლებული კაციო?! – ეღიმება იმას, – ანდით სიხარულია და შვება, მანდით უბედურება და ტკივილი, ანდით წამოი, ბოშო, ანდითო...

ვუღიმი მეც და მერე ვუყურებ, ვუყურებ, გაფაციცებით ვათვალიერებ თეთრანაფორიანებს, – იქაა დაბლობის თაფლის გამყიდველი სათვალიანი ქალბატონი, იქაა მამა, დედა და შვილი „მერსედესიდან“, იქაა ახალგაზრდა ბიჭი და სლავი გოგო „ნისანის“ ჯიპიდან, იქ არიან ხიანად წაღებული გოგო და ბიჭიც, სხვებიც, ვინც ვერ დავინახე ღვარცოფის მოვარდნისას...

და სულ ბოლოს ჩემს მარიკას ვპოულობ...

კი, კი, ვხედავ, ზუსტად ისაა, ფამფარულას ძირს მიყრდნობია.

ატირებული ვიჩოქებ და ვუყვირი, – მარიკა, მე ვარ, მე!.. ნატო გადავარჩინე! ჩვენი ნატუკა! და იმან კიდევ თაფლის ქილა გადაარჩინა!

მარიკა შორიდან ხელს მიქნევს და მეძახის, – ვიცი, ნიკო, ვიციო... მაგრამ რატომ მიატოვე ნატო, რატომო?

და მეთქი, – კარგი რა, მარიკა, ჯერ ის თავგადაპარსული ბიჭი და ჩიტივით დედამისი მიხედავენ და მერე კიდევ მამიდა და დეიდები, უპატრონოდ არ დამიტოვია...

მერე აცრემლებულ თვალებს ვხუჭავ და ჯერ ის ტალახის, ხეების და ქვა-ლოდების ტალღები მახსენდება, ის ზაფრა და მოთქმა-ტირილი, ის ღვარცოფში ჩათრეული ადამიანები, გადარჩენილების გოდება. ისიც, ტალახის სიღრმიდან რომ ადამიანების მოგუდული ყვირილი ისმოდა... ის მტვრევის ხმა, ის გუგუნი და ზათქი...

მერე ეს ყველაფერი უკან მიდის, ბუნდოვანდება და იმ საზარელ და გამაოგნებელ სიჩუმეს ვუსმენ, ღვარცოფის მოვარდნამდე რომ იყო, სწორედ მაშინ, როცა ცა და ქვეყანა დაღრუბლა და მთელი დედამიწა ღვარა, – ჩიტები რომ აღარ გალობდნენ, ხეებიც აღარ შრიალებდნენ, – მთელი ბუნება რომ დადუმებულიყო და მარტო ადამიანების ხმებიღა ისმოდა...

ეს იყო აუტანელი, სრულიად აუტანელი სიჩუმე და უნდა გვეგრძნო ადამიანებსაც, უნდა გვცდონოდა ყველას, რომ გლობალურმა დათბობამ, ანუ ერთ-ნახევარი გრადუსით ტემპერატურის მომატებამ მთელ დედამიწაზე კლიმატის შეცვლა, მყინვარების დნობა, ღვარცოფების მოვარდნა და სხვაც უამრავი კატასტროფა გამოიწვია უკვე, უფრო მეტიც მოხდებოდა, თუ არ ვიზრუნებდით ბუნებაზე, თუ უარს არ ვიყოდით ნავთობის, გაზის, ქვანახშირის გამოყენებაზე და მზის, წყლის, ქარის ენერგიების მოხმარებს არ ვისწავლიდით...

და მეთქი, – ეჰ, მე რაღა შემიძლია, ფიქრიღა დამრჩა... თუმცა, ის მაინც შევძელი, რომ ნატო გადავარჩინე...

და როგორ გადავარჩინე, მეც ხომ ძალიან მიკვირს და ჩემზე მეტად ეს გამჭვირვალე და ღიმილიანი ვიღაცეები არიან გაოცებულები, – გვესმის მთელი ეგ შენი ფიქრები და გავიგეთ ეგ ყველაფერი, ერთი რამის გარდაო.

და მეთქი, – აბა, რისი?

მთამსვლელები გავიგონიაო და აი, ღვარცოფმსვლელი ახლაღა გავიგეთო, – ეცინებათ იმათ და თბილ წვიმაში უკვე განბანილს, ზეწარს მიწვდიან შესამშრალებლად, რომ შემდეგ მეც გადმომცენ თეთრი ანაფორა...

მერე ვდგავარ მარიკას გვერდით, მიჭირავს იმისი მსუბუქად ფარფატა ხელი, ვიყურები შორს და ვხვდები, რომ ჰაერშია დაკიდებული ეს უშველებელი ჯავახეთის ფამფარულა, თავისი მდელოიანად და მთელი ამ ხალხიანად.

მარიკა ქვემოთ მანიშნებს, მეც გადავიხედავ და ვხედავ კავკასიონს, შოდა-კედელას ქედს, მერე ვპოულობ ზღვის დონიდან 4462 მეტრზე მდებარე მწვერვალ ჭანჭახის მყინვარიდან გამომავალ მდინარე ჭანჭახის მიმოხვეულ ხეობას, მდინარე ბუბასწყალი რომ უერთდება მარჯვნიდან და იმ ადგილზე მოჩანს ლამაზად განათებული შოვი, მოფენილი ისეთი კოტეჯებით, სასტუმროებითა და სახლებით, რომელთა სახურავებზე მზის ფოტოელექტრული სადგურის პანელებია დამონტაჟებული...

ერთ-ერთ განათებულ კოტეჯთან, სწორედ იმასთან, სადაც მზის ფოტოელექტრული სადგური დავამონტაჟე, ჩემი ნატო დგას, გვიღიმის და ცალ ხელს გვიქნევს, რადგან მეორეში თაფლის ქილა უჭირავს ისევ...

ჯავახეთის ფამფარულა, ჩემი, – ჩემი და მარიკასი...

2023

ᲛᲐᲨᲐᲠ ᲭᲙᲘᲫᲘᲫᲔ

სამი ბიჭი, სამი მამა

სამი ბიჭი სოფლის აღმართს მიუყვება. თერთმეტ-თორმეტი წლისანი. ერთნაირად გაკნაჭულები, აღერილები, სუფსის ტალღებივით ერთნაირად გამკვრივებულ-გაპრიალებულები, გურიის მზით ერთანირად გარუჯულები. მარჯვედ, გაჩვეულად ახტებიან ღელე-ღულეებს, ეკლიანებს გაჩვეულად არიდებენ შიშველ წვივებს. ალაგ შემწიფებულ მაყვალს წაეტანებიან, ალაგ ვინმეს ღობიდან გადმოზნექილ ტოტს ტყემალს შეაწყვეტენ. სველ ტანზე ჩაცმული, გახუნებული შარვალ-მაისურები ზედვე აშრებათ. მდინარეში დგაფუნით დაღლილები, არაქათგამოცლილები სოფლის ფურნიდან მონაქროლ, ახლადამოყრილი პურის სუნელს ხარბად ყნოსავენ ერთნაირად მზეჩამკვდარი, დაჭორფლილი ცხვირებით. შიათ, აბა, რა! მდინარე აშიებს. მდინარე ცხელ მჭადს, ყველს, ლობიოს და კიტრს განდომებს! კარგი პირის გემო აქვს მდინარეს! არც ნიორწყალში ჩალაგებულ ბარკალ-კუტუმოზე გათქმევინებს უარს! სულ უბრალო, – აი, ამ ახლადამოყრილ, ცხელ პურს გაგალეჯიებს შუაზე და მის ოხშივარში დამშეულად ჩაგარგვევიებს ცხვირს! ჭის წყალიც თუ იქვეა და, – შეეწიოს ყველას მდინარის, ცხელი პურის და ჭის კამკამა წყლის მადლი!

მოდიან, მოუყვებიან თაკარა მზით გახურებულ ბალახ-ბულახს ბიჭები. ერთს, რეზიკიეს, ჯოხი წაუტეხია სადღაც, მოდის ბალახ-ბულახის ჩხრეკით, იქნება გველი დაუხვდეს სადმე, მყუდროდ მოგრაგნილ-მთვლემარე! არ მოკლავს, ცოტას

გაეთამაშება და გაუშვებს მისი გზით. არაა გველის მოკვლა კარგი, – ასე იცის, – მისი წყევლა არ მოგცემს მერე საშველს, გიპოვის. იცის ეს რეზიკიემ, წყნარი სტვენით უჩხიკინებს ჯოხს ბალახს.

ორნი ჩუმად მოდიან, დიდი კაცებივით ფიქრებში წასულები.

– შაბათს სოკოზე წავიდეთ, – ამბობს რეზიკიე, – მანჭვალაო ბევრი, ნაზიკიემ. ყოფილა გუშინ.

– შაბათს ვერა, – ამბობს დათუნი, ყველაზე ჭორფლიანი, ყველაზე გაჩხიკული, – მამაჩემი მიდის შაბათს. არ იცი ვითომ.

– მაი კი ვიცი, – ამბობს რეზიკიე. – მარა დამავიწყდა... თურქრთში მიდის, მაი კი ვიცი.

– რიზეში. პლანტაციებში. – ამბობს დათუნი, – ჩაის საპუტად! – რაღაცნაირად, ბრაზიანად ამბობს.

– რას მოჯღუნულხარ მერე, ბიჭო, კაია, ბევრ ფულს ჩამეიტანს! დოლარებს! – ამბობს რეზიკიე.

– არ მინდა მე მაგისი დოლარები! – ამბობს დათუნი, – აქანე იყოს, ის მინდა! აქანე მინდა მამაჩემი!

– მაი მეც მინდა, მარა სადაა. – ამბობს მესამე, ზურიკო-ტუჩა (ზედა ტუჩი ოდნავ მსუქანა აქვს, ფუტკრის ნაკბენივით. უხდება, ხატავს), – მამაჩემიც მიდის სამშბათს ესპანეთში, კი იცით, მშენებლობა იქნება, ხე-ტყე იქნება, რაცხა იქნება, ვიმუშავებო. ვეუბნები, მეექვსე კლასში ერთ დაბალ ნიშანს არ დევიწერ, ერთი საყვედურიზა არ დეიბარებენ დედაჩემს, ისე წესივრად მევიქცევი-თქვა, მარა მაინც მიდის. ისე უხარია, გეგონება გურიას სჯობს ესპანეთი! ფულს გამოგიგზავნითო. კაი ბოტასს იყიდიო. დახეულ მეცვას და მამაჩემი აქ იყოს!

სიჩუმე ჩამოვარდა. დასიცხული ჩიტები უხალისოდ სტვენენ, ჟღურტულებენ. ნიავს მთის სურნელი და ოხშივარი მოაქვს. სოფლისკენ გადაუხვიეს ოღრო-ჩოღრო ბილიკიდან.

– აბა, შენ წამოდი სოკოზე, – უთხრა რეზიკიემ ზურიკო-ტუჩას, – თუ სამშაბათს მიდის.

– არ მინდა. არ ვარ ხასიათზე, – თქვა ზურიკო-ტუჩამ, რეზიკიეს ჯოხი გამოართვა და მოისროლა.

– რეიზა გადამიგდე! – გაუკვირდა ბიჭს.

– რეიზა და იმიზა! მამაშენიც ხო მიდის საბერძნეთში. ხო მიდის მაგიც!

– აღარ მიდის. – თქვა რეზიკიემ, – რჩება.

წამით გაოცებით დამუხტული სიჩუმე ჩამოდგა.

– რეიზა აღარ მიდის, ბიჭო! – ბოლოს, როგორც კენჭი შურდულიდან, ისე ისროლა კითხვა დათუნიმ.

– რეიზა რჩება?! – მიაყოლა მეორე კენჭი ზურიკო-ტუჩამ.

– რეიზა და იმიზა! – წეღანდელი შეუტრიალა რეზიკიემ ძმობილს, – ბიზნესმენი ხდება!

წყაროსთან მისულიყვნენ.

შეჩერდნენ.

საღამოობით წყაროსთან „ბირჟა“ ეწყობა ხოლმე. ბავშვები, მოზარდები აქ იყრიან თავს. მაგრამ ახლა ცხელა, ჯერ არ აგრილებულა, ყველა ჩრდილსაა შეფარებული.

– რაის ბიზნესმენი, ბიჭო?! – დათუნიმ ორივე პეშვით წყალი შეისხა სახეზე და ქვაზე ჩამოჯდა.

– თუ არ გოუშვენ, თქვი მართალი! – თვალები ეშაკურად მოჭუტა ზურიკო-ტუჩამ.

– არ გოუშვენ კი არა, ეხვეწებიან იქედან! მარა არ უნდა, რჩება-თქვა! ბიზნესს იწყებს.

– რაის ბიზნესს, ბიჭო, თქვი!

რეზიკიემ პეშვი წყაროს შეუშვირა, წყალი მოსვა, ქოჩორზეც აისვა სველი ხელი და თქვა:

– ლანჩხუთში იყო რაცხა დიდ შეკრებაზე. ლადო ბიძიესთან იყო მისული და იმას, რომ იწყებოდა, მამაჩემიც შეუყვანია. ვინცხა დიდი ხალხი არიენ ჩამოსულები, საინტერესოებს ილაპარაკებენ და შემოდიო. შესულა მამაჩემი. მაგარი ამბავი ყოფილა. სახლში რო მოვიდა საღამოზე, აღარსად აღარ მივალ მეო, თქვა. გაღმა ნაკვეთს გავყდი, ძროხებსაცო, კიდევ ევიღებ რაცხა კრედიტს და სამ ბიზნესს დევიწყებო. ერთი მაინც ხო გაამართლებსო.

– სამს? – თვალები ჭყიტეს ბიჭებმა.

– კი, სამს.

– ასეთი რა თქვეს იქ? – უკვირს დათუნის.

– კარგად ვერ გევიგე ჯერ ვერც მე, მარა გლობალურ დათბობას ვებრძოლოთ უნდაო, უთქვამთ.

– ჩვენ რანეირად?

– რანეირად, და... რეიზა დნება აისბერგები არქტიკაშიო?

– რეიზა და, დაცხა მზისგან, ალბათ, – ამბობს ზურიკო-ტუჩა, – აბა, თეთრი დათვი ბუხარს არ დაანთებდა იქ...

გაიცინეს.

– ბრაზილიის ტყე რამ დაწვა? ავსტრალიის ტყე რამ დაწვაო?

– მზემ, ბიჭო, მზემ, – ახლა დათუნი ამბობს, – აბა, ბრაზილიის პრეზიდენტმა უთო ხო არ დატია ჩართული!

ისევ გაიცინეს.

– ჰოდა, ულაპარაკიათ იქ, რეიზა დაცხა ასე ძალიან, რო ყინულები დნება და ხანძრები მისით ჩნდება! გლობალურ დათბობაზე, ამაზე, იმაზე... ბენზინი გლახაა. გამონაბოლქვი კლავსო. ჰაერი დაბინძურდა და ბუნება აღარ ვარგა არაფრადო.

– მაგას ბუნების მასწავლებელიც კი გვეუბნეოდა, ნათიე მასი. შენ ბიზნესს რაფერ იწყებს მამაშენი, იგი თქვი! – თქვა დათუნიმ, სადღაც, გზად წაწყვეტილი შავქლიავი ამოიღო ჯიბიდან და პირში იტკუცა.

– იქ უთქვამთ, მზე, წყალი და ქარი უნდა მეიხმარონ აწი ადამიანებმაო. ჩვენ აქ ვართ, თქვენ დეიწყეთ და ჩვენ ხელს შეგიწყოფთო.

– მერე?

– მამაჩემი სამივეს აპირებს.

– რანაირათ, ბიჭო?!

– სუფსის ტოტზე პატარა ჰესს ჩავდგამო, კაციგორაზე ქარის ელექტროსადგურს დავდამო და მზის იმასაც გავაკეთებო... კორექტორიო... თუ კონვენტორიო... თუ რაცხა, აღარ მახსოვს! ცხელი წყალი მზიდან ექნება სოფელსო.

– ზამთრშიც, ბიჭო?! – ისევ თავისებურად მოჭუტა თვალები ზურიკო-ტუჩამ.

– კი, ზამთრშიც, – თქვა რეზიკიემ, – მზის ენერგიაა მაგიო.

სიჩუმე ჩამოდგა.

– კარგია... – თქვა ბოლოს დათუნიმ, – აქ გეყოლება მამა.

– კი, კარგია, – თქვა ზურიკო-ტუჩამ, – აქ როა მამა, მაგი ყველაფერზე კარგია.

გულდაწყვეტილობა გამოსჭვიოდა ბიჭების ხმაში.

რეზიკიეს გუნება წაუხდა. რაღცნაირად, შერცხვასავით. სახეც წამოუწითლდა, ყელში კი ბურთივით გაეჩხირა რაღაც... ბიჭი დაიძაბა, შუბლზე ძარღვი ამოებერა, მუშტებიც კი მოკუმშა უცნაური, ბავშვურ-კაცური სიმწრით, და უცებ სახე გაუნათდა.

– მევიფიქრე! – შესძახა.

– რა მეიფიქრე, ბიჭო?! – გაუკვირდათ ძმობილებს.

– მევიფიქრე! მამაჩემს დაველაპარაკები. ვეტყვი, სამი ბიზნესი რად გინდა. აგერ, ზურიკიეს და დათუნის მამებიც ხომ არიენ! აგერ წასასვლელად არიენ დამზადებულები! ერთი ესპანეთში მიდის, მეორე – თურქეთში. დათუნი და ზურიკიე კიდე, დარდობენ მამების წასვალს, აღარც ბოტასი უნდათ ახალი და აღარ იმათი დოლარები! მამები უნდათ სახლში, როგორც შენ დარჩი-თქვა აქ. ჰოდა, თუ ჩემი კარგი მამა ხარ, შეიამხანაგე, მარტო კაცი ჭამაში რომ ცოდვაა, ბიზნესშიც ცოდვაა! ერთი ბიზნესი დეიტიე შენთვის, მეორე დათუნის მამას დუუთმე, მესამე – ზურიკიეს მამას! გახდებიან ბიზნესმენები, გამდიდრდებიან და გადაგიხდიან მაგიერს! აღარ წავლენ! აქანე დარჩებიან!

– მართლა ეტყვი მასე, რეზიკიე, ბიჭო? – აღტაცებისაგან მხარში მაგარი მუშტი მოარტყა ძმობილს დათუნიმ, – მართლა ეტყვი, ბიჭო?!

– მართლა! მოვა თუ არა!

– მართლა, ბიჭო?! – ახლა ზურიკიე-ტუჩა შეაცქერდა სახეში მოუთმენლად.

– მართლა-თქვა, მართლა!

– იტყვის მერე კის, ბიჭო?!

– იტყვის!

– არ გეტყვის მამაშენი შენ უარს!

– არ მეტყვის!

– აუფ, რა მაგარი იქნება, ბიჭო?!

– ქარი, მზეი და წყალი ყველასია, მარტო მამაჩემის კი არა, – ამბობს რეზიკიე.

ხალისიანად გაუდგნენ გზას.

იმედიანად.

კეთილი მოლოდინებით...

ლეკვს გაეთამაშნენ. კატას დაუცაცხანეს. გოჭი ააჭყვიტინეს...

გზაგასაყარზე, რეზიკიეს სახლთან შედგნენ.

– ეტყვი?

– ვეტყვი.

– უთხარი.

და თავთავის გზას დაადგა სამივე. თავთავის პატარა დიდი გზას.

2022

ᲛᲐᲩᲣᲠᲘ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ

ᲜᲐᲛᲯᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲙᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲚᲘ

გადაღება უკვე დანიშნული იყო! თემა, ლოკაცია და რესპოდენტი – შერჩეული! მთავარ პრობლემად წამყვანის ჩაცმულობა რჩებოდა. არც ძალიან გაპრანჭული უნდა ყოფილიყო და არც ძალიან ჩვეულებრივი, რეჟისორმა სახეირო ვერაფერი ურჩია, ცოტა მოიკოჭლებდა ფორმისა და სტილის შერჩევაში... თამთამ ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა ის ჩაეცვა, რაც თვითონ მოსწონდა: წითელი სარაფანი, თეთრი ლენტებით გაწყობილი ჩალის ქუდი და სქელძირიანი ბათინკები...

აგვისტოს სიცხე იდგა, კახეთში ორგზის გაპაპაპანაქებული. ველისციხელი ფერმერი გულის ბაგაბუგით ელოდა გადამღებ ჯგუფს თბილისიდან. გოგის მეურნეთა საძმაკაცო უმშვენებდა მხარს, მთავარ როლში ცნობისმოყვარეობა იყო, მერე მეგობრის მხარდაჭერა, ხუმრობა ხომ არ იყო, ტელევიზორში, მთელი საქართველოს გასაგონ-დასანახად მათი ძმაკაცის წარმოჩენა. გოგის ფანტაზიას მთელი ღამე დიდი ეკრანი ჰქონდა ჩართული და იმ სასიამოვნო ხმის ჟურნალისტს, ტელეფონით რომ ესაუბრა, ყველაზე ლამაზ ფერებში უზავებდა წარმოსახვის ფუნჯი...

„ოქრო“ გოგია ერთი გამრჯე, მიზანდასახული, ბუნებასთან მომეგობრე და კარგი მეურნეობის შექმნაზე მეოცნებე ბიჭი იყო. მამა ადრე გარდაეცვალა და ოჯახის თავკაცობაც ადრეული ასაკიდან იკისრა. დღე და ღამე შრომობდა, თელავ-

ში არსებული აგრარული კოლეჯიც დაამთავრა, გურჯაანში ჩატარებულ აგროტრენინგებს ხშირად ესწრებოდა, საჭირო ცოდნაც დააგროვა, ზოგიც გამოცდილ ფერმერებს დაეკითხა და მამაპაპის დანატოვარი არც თუ მცირე მიწა მალე მომგებიან მეურნეობად აქცია.

პირველი ბარაქიანი მოსავლის ამონაგებიდან, მერსედესის საყიდლად კი არ გავარდა, პატარა ტრაქტორი შეიძინა, სულ სხვასთან საღრიტინო რომ არ ჰქონოდა, ერთი სიტყვით, კარგი მეურნეს სახელი გაუვარდა ველისციხეში. კახეთში მეტსახელს ისე არ დაგარქმევენ, თუ არ ამართლებ! მართლაც „ოქრო“ გოგია იყო, გულითაც და საქმითაც. ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან, სახლის მშენებლობიდან დაწყებული, ხეზე კვეთით დამთავრებული. პაპა ხის ოსტატი ჰყავდა და ბავშვობიდან შეაყვარა ეს საქმე.

არხისა და გადაცემის ლოგოთი მოხატული მანქანა შუაგულ მინდორში გაჩერდა, პირველი თამთა გადმოვიდა, წითელი კაბით, მოდელის ტანფეხით და ჰოლივუდური ღიმილით უშუალოდ მიესალმა მასპინძელს. გოგი ისე დაიბნა, ჯერ წინ გადადგა ნაბიჯი, მერე უკან დაიხია და ფეხსაცმლის ჭვინტს დაჩერებულმა -გამარჯობა, მობრძანდითო! -უთხრა. გადმოვიდა გადამღები ჯგუფიც, სატელევიზიო ტექნიკაც გადმოალაგეს. დამხვდურების დიდი ყურადღება დრონმა მიიპყრო. -ეს რკინის კალიას რომ ჰგავს, რის მაქნისიაო-იკითხეს ველისციხელებმა. რა აჯამურ კითხვასა სვამთ, დრონი როგო არ გაგიგიათ, აგე, ნახავთ, ცაში აფრინდება, ფუტკარივით იზუზუნებს და ჩემს ფერმას იქედან გადაიღებსო, – საქმეში ჩახედული კაცივით უპასუხა გოგიმ. -ცოტა ახლოდან ვერ გადაგვიღებს, აემ ცის სიმაღლიდან როგო გამოვჩნდებითო – დაინტერესდნენ კახელები. -ის „კალია“ არც ერთს არ გამოგტოვებთ, ყურზე ხალი თუ გაქვთ, იმასაც გამოგიჩენთო, – გაეხუმრნენ ოპერატორები.

ამასობაში თამთამ გარემოს დათვალიერება დაიწყო, ბიჭებმა ძეგლად ქცეულ გოგის ხელი ჰკრეს, – მიდი, ბიჭო, გაჰყე

მაგ მარწყვივით გოგოს, ე, მანდ შენი ბუღა არ გამაენთოს, იგეთი წითელი კაბა აცვია, მარცხი არაფერი მაიწიოსო. გოგი უცებ გამოერკვა, დაუბრუნდა მასპინძლის შესაფერ მდგომარეობას და თამთასკენ გაიჩქარა გზა.

ისე, დიდი მეურნეობა კი ჰქონდა, აგროენაზე მრავალპროფილურს რომ უწოდებენ. რაღა არ იყო აქ: კარგად მოვლილი ვენახი, სპარტელებივით გამწკრივებული რქაწითელითა და საფერავით, ბატებით, იხვებით და თევზებით სავსე ტბა, თხილის პლანტაციები, საზამთროთი სავსე ბაღჩა, ბაღ-ბოსტანი, ცხვარ-ძროხა, ცხენები და რაც მთავარია, ნამჯის სახლი! ამ ფერმერულ ავლა-დიდებას ბომბორა კავკასიური ნაგაზები დარაჯობდნენ. ამხელა ტერიტორიის დათვალიერებას დიდი დროც დაჭირდა. გოგიმ, როგორც იქნა, დაბნეულ თავს თავი მოუყარა და ცოტა გაუშინაურდა მის ფერმაში მოფრენილ უცხო ჩიტს... ყველაფერი აუხსნა, ცად აზიდული ქარსაცავი ზოლიც აჩვენა. უამბო, მეგობრებთან ერთად როგორ დარგო წლების წინ ფიჭვები, რომელთაც არც ბევრი მორწყვა ჭირდებოდა, არც შინაური ცხოველები აზიანებდნენ და რაც მთავარია, ქარსაც არ აპარპაშებდნენ მის ბაღ-ვენახში და ნიადაგსაც იცავდნენ ეროზიისგან.

– როგორც ვიცი, ქალაქში სულ გაგხმობიათ ფიჭვები, აქ კი, ღვთის მადლით, დგანან მწვანე კედლად და როგორც ხნოვანი კაცები ამბობენ , კიდევ ორი საუკუნე იდგებიანო! – თქვა გოგიმ და კოვბოური ქუდი შეისწორა, თავზე დახურვის კახური აქცენტით ... თამთას თვალში თანდათან იზრდებოდა რესპოდენტის რეიტინგი...

ამდენი სიარულით ქანცგაწყვეტილ ჟურნალისტს მწიფე საზამთროც გაასინჯა, თხილის გულიც გაუყო (გულში თავისიც...) და ბოლოს გამოუტყდა -კამერის წინ პირველად უნდა დავდგე და ცოტა ვნერვიულობო. – რამე ისე რომ ვერ ვთქვა და ვქნა, რა ეშველება ამ საქმესო? – თამთამ კარგი ფსიქოლოგივით დაამშვიდა, აუხსნა, რომ ეს არ იყო პირდაპირი ეთერი და თუ რამე შეეშლებოდა, კიდევ ერთ დუბლს ჩაწერდნენ,

თან დააყოლა, – მე შენთან ახლოს ვიდგები და მაქსიმალურად დაგეხმარებიო. რა იცოდა თამთამ, რომ რესპოდენტ გოგის სწორედ მისი“ ახლოს დგომა“ ანერვიულებდა ყველაზე მეტად...

გადაწყდა – გადაღება ნამჯის სახლიდან უნდა დაეწყოთ! გადამღები ჯგუფის ველისციხეში ჩამოსვლის მთავარი მიზანი ჯერ ეს სახლი, შემდეგ კი ფერმერული მეურნეობა იყო. სახლი გოგის თავის ხელით ჰქონდა ნაშენი, ორად ორი მეგობრის დახმარებით.

კამერა ჩაირთო თუ არა, გოგის დაძაბულობა სადღაც გაქრა და ისე მიასხაპასხუპა, რა, როდის და როგორ გააკეთა, რომ თამთა გაოცებას ვერ მალავდა... პირველი ეპიზოდის ჩაწერის შემდეგ შეაქო კიდეც რესპოდენტი, -ამას ნამდვილად არ ველოდიო...

– მოიცა, ისა, რატო ავაშენე, ეგ რომ არ გიკითხავსო, – გათამამადა გოგი. – ჰოდა, განვაგრძოთ ჩაწერა და დაწვრილებით მომიყევი, ნამჯის სახლის ისტორიაო.

გულმოცემული გოგი ოპერატორებს კამერის ჩართვას აღარ აცლიდა. წვრილად მოყვა, რატომ იყო ნამჯის სახლი ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოეფექტური. რამდენი ლერწამი, ნამჯა, მატყლი, რა რაოდენობის თიხა და კირი დაჭირდა მის აშენებას, როგორ შეარჩია ვაკე ადგილი, ტყისგან ცოტა მოშორებით, ღამით როგორ ესმოდა მგლების ყმუილიც და სამი მეგობარი სამი გოჭივით, როგორი გულმოდგინებით აშენებდა ამ ზღაპრულ სახლს, მერე როგორ იქცა ეს სახლი ველისციხელების ქილიკისა და ჭორაობის საგნად. თუმცა, ერთი ორმა ახალგაზრდა ფერმერმა მაინც გადაიღო მისგან მაგალითი და ააშენა, მთლად ისეთი ვერა, გოგის რომ ჰქონდა, მაგრამ, მიმდევარ-მიმბაძველი ხომ გაიჩინა კარგ საქმეში...

– აბა, ნახე, როგორ თავისუფლად სუნთქავ, ზაფხულში გრილია და ზამთარში თბილი. მეგობრები მეხუმრებიან, შენი სახლი თერმოსივითააო. ნამჯა და ის ბუნებრივი მასალა, რაც

გამოვიყენე, კარგად ინარჩუნებს სითბოს, თბოიზოლაციაც კარგი მაქვს, ერთ ჭუჭრუტანასაც ვერსად ნახავ, ღუმელსაც ვანთებ, მაგრამ შეშას კი არა, ჩემი ვენახიდან მორჩენილ წალამს ვიყენებ, იმდენი მაქვს, მწვადზეც მეყოს და ღუმელის საგუზგუზოდაცო. მეგობრებსაც უყვართ აქ მოსვლა, ამ სახლში სულ დიდი სტუმრიანობაა, ველისციხეში კი იგეთი კარგი ბუნება გვაქვს, რომ მეცა და ჩემი სახლიც ამ ბუნების ნაწილად ვიქეცით. ბუნებას როგორც მოექცევი, ისე მოგექცევა, მე არასდროს ვაზიანებ, ისიც სიკეთით მპასუხობს! განა არ ეტყობა ჩემს ფერმას, რო ეგრეა?.. ისე, თუ გინდა თავი ბედნიერად იგრძნო, კვირაში ერთხელ ბუნებასთან პაემანზე უნდა წახვიდეო – დააყოლა და იგრძნო როგორ გადაჰკრა სახეზე სიწითლემ...

სახლიდან გადამღებმა ჯგუფმა ტბისკენ გადაინაცვლა. ტბაში ერთი ადამკუკუს დროინდელი ჟანგიანი ნავი იდგა, ცალი ნიჩბით. ბატები და იხვები საპარადე მწკრივით დაცურავდნენ, ოპერატორები თითოეული იხვის ან ბატის აფრენას „აუ, რა კადრია-ს“ შეძახილით იღებდნენ, ცაზე დრონი ზუზუნებდა...

მიზანსცენა ასეთი იყო: თამთას მარტოს უნდა გაეცურა ნავით, ფეხზე უნდა წამომდგარიყო, ტელეფონით გაპრანჭული სელფი გადაეღო (ვებგვერდისთვის), კამერისკენ უცებ შემობრუნებულიყო და ჩაეწერა სიუჟეტის შესავალი, ე.წ. სთენდაფი. თამთა ცოტა კი შეყოყმანდა, მარტო, ცალი ნიჩბით როგორ გავცურაო, მაგრამ შიში არ შეიმჩნია, წითელი კაბის კალთა აიკეცა და შველივით გადახტა ნავში, რის ვაი ვაგლახით გაცურა შუა ტბამდე, ლურჯი ცისა და მწვანე ტბის ფონზე ლამაზი სელფიც გადაიღო, ნავში ფეხზე წამოდგა და ისე მკვეთრად შემობრუნდა, რომ თავი ვეღარ შეიმაგრა და წყალში გადავარდა... თამთას თეთრლენტიანი ჩალის ქუდი ლამაზად ატივტივდა ტბის ზედაპირზე. გოგი დაუფიქრებლად გადახტა წყალში, ალაზანზე გაზრდილს, ტბა რას დააბრკოლებდა, მკლავები ღონიერად მოიქნია და წუთში

გაჩნდა თამთასთან. ნაპირზე წყალნაყლაპი და ლამის გულწასული ამოიყვანა.

ესეც „თიზერი“ ანუ კურიოზული კადრი! – თქვა ერთმა ოპერატორმა. -თქვენა, ბიჭო, ხომ არა გძმარავთ, რა თიზერ– მიზერი აგიტყდათ, ქალი დახრჩობას ძლივს გადავარჩინეთ, თქვენა კიდე, დაგიჭერიათ ხელში კამერები და სეირს უყურებთ, მე რომ მაგ გოგოს ადგილზე ვიყო, თქვენთან ერთად აღარსად წავიდოდიო! – ხმამაღლა გამოთქვეს გულისწყრომა გოგის ძმაკაცებმა.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, იმ ღამეს ნამჯის სახლმა თამთას გასათბობად ღუმელი ააგიზგიზა, წალამზე მწვადი შეიწვა, რქაწითელმა დალოცა სტუმარ-მასპინძელი, თამთას გადარჩენისა ყანწით შეისვა და ტელეწამყვანის წითელი კაბა ფერმერის შავი შარვლის გვერდით გაიკიდა თოკზე.

გოგიმ გადამღები ჯგუფი ნამჯის სახლში დააბინავა. უკვე მოსულიერებული და ხასიათზე მოსული თამთა ფანჯრიდან გაჰყურებდა ვეებერთელა მთვარეს და მეგობარს ტელეფონით უამბობდა მომხდარს. გოგი სახლის კიბეზე ჩამოჯდა, მასთან მორბენილ, კუდმოქიცინე ნაგაზს ცოტა წაეთამაშა და ოცნებებში წარგო თავი...

სავსე მთვარე ადგა ველისციხეს. გოგის ფერმაში ყველა სულიერი უკვე დაბინავებულიყო, ბომბორა ნაგაზები კარმიდამოს შემოვლაზე გამოსულიყვნენ, მათ ყეფას ჭრიჭინების ქორო ერთვოდა, შიგა და შიგ ცხენის ფრუტუნსაც გაიგონებდი. გოგის მიწა-წყალზე საიდანღაცა გაჩენილ წყაროს ძილი არ ეკარებოდა, ცაზე იასამნისფერ-ვარდისფრად დაგოფრილი ღრუბელი ნამჯის სახლიდან ამოსულ კვამლზე გაწოლილიყო. სახლის ფანჯრებს უკვე თვალები ელულებოდათ, გოგის თვალში კი სავსე მთვარე თამთას კაბის ფერი იყო მხოლოდ...

ნანა ჩოსტიაშვილი

ღმერთის კაცი

1

– თუთიყუში ბოლავს, ქალო!

ჯერ ხეირიანად გათენებული არც იყო, გულგახეთქილმა ბათუმ ეს ფრაზა რომ წამოიძახა და ბოლო დროს კოშმარებშემოჩვეულ, ახლა კი, ძლივს, სასიამოვნო სიზმრის ცქერაში მინაბულ ცოლს მხარი გაჰკრა. „თუთიყუში ბოლავს, ქალო!“ – ეს უცნაური ფრაზა გახდა ბათუს საშვი ახალ ცხოვრებაში, ათვლის წერტილი. ოღონდ ჯერ თვითონაც არ იცის, რომ ამ წამიდან სულ სხვანაირი ცხოვრების წამზომი ჩაურთო ღმერთმა, სულ სხვა თვალიდან გამოახედა.

ორი დღეა, ცოლთან ერთად თბილისში, შვილთანაა ჩამოსული. ორი დღეა, ძილის წინ, სანამ ცოლი კოჭებამდე ჩამოგრძელებულ შავ კაბას იხდის და ჩამომჭკნარ სხეულზე ახლა კოჭებამდე თეთრ საღამურს გადაიცვამს, გული ეწურება ბათუს. განა ცოლის ჩამობერებაზე? იმაზე, რომ აი, ახლა თმასაც გაიშლის და დაიწყებს თავის ახალი „ძილისწინა რიტუალური ტექსტის“ წარმოთქმას. წუხელაც ეგრე იყო, გაიშალა და დაიწყო:

– კაცო, რამდენჯერ გითხრა, შენი სულელური ლაპარაკით ყურებს ნუ უჭედავ ბიჭს და რძალს-მეთქი?! ან თითონ ვერა ხვდები, რო სულელურად ლაპარაკობ?!

ორი დღეა, ბათუსაც ახალი ძილისწინა რიტუალი აქვს – თუთიყუშს აკვირდება. მისჩერებია, თვალს არ აცილებს. განა მოსწონს, ან უყვარს? უბრალოდ, ყურადღება გადააქვს,

რომ ცოლის სიტყვებს მნიშვნელობა არ მიანიჭოს, არც ეწყინოს, არც გაბრაზდეს.

ისე კი, ბათუს მართლა სჩვევია ერთი შეხედვით, აბსურდული რამეების ლაპარაკი. ოღონდ, განა უაზროდ ლაპარაკობს? ლაპარაკამდე გამოთვლა უყვარს, ფიქრი, დაკვირვება. აი, მაგალითად, ხუთი წლის წინ შვილიშვილი რომ ეყოლათ, სამშობიაროს ეზოში ცოლს გადაულაპარაკა:

– ჩვენი რძალი მეორე ბავშვის გამჩენი არაა, თუ გინდა დავნაძლევდეთ!

– რას დაითარსები ხოლმე, კაცო, ცოტა ენა დაიტკბე! – გაუბრაზდა ცოლი, რომელსაც, სხვათა შორის, ბათუს არცთუ დაშაქრული ენის გამო შერჩა სახელად „ქალო“. დაოჯახების დღიდან ქალოთი მიმართავდა და დღეს უკვე ქალოს ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვს.

– ხო იცი, მე ზეპირად არაფერზე ვლაპარაკობ! – ამაყად უპასუხა სამშობიაროს ეზოს ბაღში ჩამომჯდარმა ახალგამომცხვარმა პაპამ, – მაგათ ყველაფერი ერთი უყვართ, მაგათი ბედისწერა ეგ არი. ესეც დედისერთაა, ისიც. სახლიც ერთოთახიანი იყიდეს, ჩვენი ბიჭი ერთ ჯერზე ერთ ბოთლზე მეტ ლუდს არა სვამს. ჩვენი რძალი კიდე ქლიავი რო ქლიავია, იმასაც ერთ კილოს ყიდულობს, მეტს არა. რაღა შვილს გააჩენენ ორს? დაკვირვებული ვარ ყველაფერს, ჰაერზე კი არ ვლაპარაკობ!

– მიწა დაგაყარე, – წყნარად, ღიმილით უთხრა ქალომ.

წყნარად და ღიმილით იმიტომ, რომ რძლისიანებს არ გაეგოთ, არ ეთქვათ, ეს რა ხალხია, პირველი შვილიშვილი შეეძინათ და იმის მაგივრად, უხაროდეთ, ერთმანეთის წყევლაში არიანო.

არადა, განა ბათუს შვილიშვილის დაბადება არ უხაროდა? უბრალოდ, სხვანაირი კაცი იყო, ფიქრის სხვებისგან გაუკვალავ გზებზე უყვარდა სიარული. ეს ფიქრი კიდე ისეთი რამე იყო, მხოლოდ სიხარულს, ან მხოლოდ მწუხარებას არ აცლიდა, ხან რომელ გზაზე წაიყვანდა ამ თავის სიხარულიან-მწუხარებიანად, ხან – რომელზე. სამწუხაროდ, ამ

თავის უცნაური ფიქრების გამზიარებელსაც სთხოვდა ბათუს გული. არჩევანი რომ ჰქონოდა, გულის გადასაშლელად განა ქალოს აირჩევდა? ვინ ოხერი?!

აგერ, ხუთი წლის გახდა პაპას მოსახელე ბათუნა და მეორე შვილი მართლაც არ გაუჩენია დედამისს. სამაგიეროდ, თუთიყუში იყიდეს, რა თქმა უნდა – ერთი თუთიყუში. ბათუს თითქოსდა სულელურ ლოგიკაზე აწყობილი გამოთვლები, თითქმის ყოველთვის ამართლებდა, მაგრამ ქალოს ამის გაგონებაც არ უნდოდა.

შვილის ოჯახში სტუმრად ჩამოსულ ცოლ-ქმარს ტახტზე, ზუსტად ერთი ტახტის ჩადგმა სიგანის ლოჯიაში სძინავთ. კედლის მხარეს (სახითაც კედლისკენ შეტრიალებულს) – ცოლს. ბათუსაც, სამაგიეროს გადასახდელად, იმის ზურგისთვის ზურგი აქვს მიშვერილი.

ლოჯია-სამზარეულოს გამყოფი კარი რაკი ჩამოხსნილია. ახალგაღვიძებული ბათუ პირველად სამზარეულოს მაგიდაზე შემოდგმულ გალიას და შიგ გამოკეტილ თუთიყუშს ხედავს.

–თუთიყუში ბოლავს, ქალო!

ქალო ბუზღუნით გადმობრუნდა ბათუსკენ, გალიას გახედა. ჯერ ნამძინარევი, მოჭუტული თვალებით, მერე – დაჭყეტილით, ბოლოს წინ წამოიწია და დარჩა ორი-სამი წამი ეგრე, თუთიყუშს მიშტერებული.

– შენ აგიბოლდა ეგ თავი! – თქვა ბოლოს და ისევ კედლისკენ გადაბრუნდა.

გადაბრუნება ჰო, მაგრამ ძილის შებრუნება და გაწყვეტილი სიზმრის გადაბმა აღარ გამოუვიდა. ბათუ ფეხშიშველი გავარდა სამზარეულოში, გალიას სულის შებერვა დაუწყო და თან ყვირის: „ბოლავს, ბოლავს!“

შვილი და რძალი შეშინებულები შემოცვივდნენ სამზარეულოში. ბიჭი შორტით, რძალი – თხელი, ჰაერისფერი პენუარით.

„აბა უყურე, ხალათი თუ შემოიცვას მამამთილთან!“ – გულში გაბრაზდა ქალო და რძლისთვის ოჯახში ქცევის

კლასის საჩვენებლად, ცერემონიულად, საწოლშივე გადაიცვა თავის ჩამოფართხუნებული შავი კაბა, მაგრამ რძალს მისკენ არც გაუხედავს.

– რა ბოლავს, მამა, რეები გეჩვენება, მეტისმეტია უკვე მართლადამართლა! – ბიჭმა სივრცის იმ ნაწილს, სადაც წესით სამზარეულოსა და ლოჯიის გამყოფი კარი უნდა ყოფილიყო, ფეხი მოუქნია. რა თქმა უნდა, არ სტკენია. იქნებ ადრე რომ ეტკინა, მაგიტომაც ჩამოხსნა. ამას, სხვა დროს აუცილებლად გაიფიქრებდა ბათუ, მაგრამ ახლა არ სცალია, თუთიყუშის გადარჩენას ცდილობს. თან უკვირს:

– რანაირად ვერა ხედავთ, კაცო, ამოდენა ბოლს?!

დღემ ისე ჩაიარა, ბათუსთვის ხმა აღარავის გაუცია. მარტო პატარა ბათუნა დაელაპარაკა ერთადერთხელ (მშობლების გენზე წავიდა ეგეც). დაელაპარაკა რაა, ეს ჰკითხა:

– ცეცხლი ვინ წაუკიდა ჩემჩიტს?!

ბათუს გული მიეცა, ესე იგი, არ მომჩვენებიაო, თორემ უკვე დარდობდა, რა დროს ჩემი გაგიჟება იყო ახლა, როცა ჯერ საგარეჯოში საქათმე მაქვს კრამიტით გადასახურიო.

შემდეგი დილა რომ გათენდა, თუთიყუში მკვდარი ეგდო თავის გალიაში. ბათუს ცოლი აღარ გაუღვიძებია, ხმა არ ამოუღია. ადგა, ჩაიცვა, გაზზე ჩაიდანი შემოდგა და რძალიც შემოვიდა, მკვდარი თუთიყუშის დანახვაზე ახლა ამან მორთო ყვირილი. ისტერიკაში ჩავარდნილი ცოლი ბიჭმა საძინებელში შეიყვანა, რომ მამამისს იმის ნათქვამი „მაგ დამპალი მამაშენის ბრალია“ არ გაეგო. მაინც გაიგო ბათუმ. ქალომაც.

უსიტყვოდ ჩაალაგეს ტანსაცმელი დიდ, ცარიელ ჩანთაში, რომელიც სოფლიდან პროდუქტებით გაბერილი ჩამოიტანეს. ეგრე უთქმელად გამოვიდნენ სახლიდანაც. სართული, რა თქმა უნდა, პირველი იყო, დიდი დრო არ დასჭირვებიათ ქუჩაში გამოსასვლელად.

წამოვიდნენ უხმოდ, დადგნენ გაჩერებაზე და ხედავს ბათუ, ცაში, ტრასის გასწვრივ, სქელშავი ნისლია გაწოლილი. ისე ნათლად ხედავს, როგორც იქვე მდგარი ქალოს სევდით ჩამომღვალ სახეს.

– შავი ნისლია ყველგან, ქალო...

ისეთი მოტეხილი, უხერხემლო ხმით თქვა, ქალოს ენა არ მოუბრუნდა დასაწყევლად. მიხვდა, რომ კი არ იგონებს, მართლა ხედავს ამეებს ამის უცნაური ქმარი.

მძიმე იყო ახალი ნიჭის ჯვარი. გამონაბოლქვის ყველასთვის უხილავი შხამის ტალღები მხოლოდ ბათუსთვის გამხდარიყო ხილული. სამყაროს არასაღი მხარე, რომელიც, როგორც წესი, გამჭვირვალეობით ინიღბება, ბათუს დასანახად მკვეთრდებოდა, ფორმას იძენდა. ძნელი იყო ზღვა ინფორმაციის ნაკადისთვის ხილვის კარის ასე ერთბაშად გამოღება.

მოცინარი ადამიანის შიგნით ჩაშლილ რომელიმე ორგანოზე ადენილ დამპლისფერსაც მარტო ბათუ ხედავდა. თავიდან ვერავის აჯერებდა, რომ განა ამის მწარე ენის გამო მოკვდა სოფლის კოლორიტი იოსები (ბევრი დღე არ უწერიაო, თქვა), ავად იყო, ავად და ბათუ უბრალოდ ამ ავად ყოფნის უხილავად ადენილ ოხშივარს ხედავდა. იოსების ამბავი საგარეჯოში დაბრუნების მერე იყო. ახლა ჯერ გაჩერებაზე დგანან, სადგურამდე წამსვლელ ავტობუსს ელოდებიან, დიდი დიღმის საფირმო ქარის ქროლვას აყურადებენ.

უსმენს ბათუ ქარს, უყურებს ბათუ ქარს და ფითრდება. თითქოს ვიღაც ჯან-ღონით სავსე მებრძოლი წამოადგა თავზე. ქარის ძალას ისე ხელშესახებად გრძნობს, გეგონება ქვებივით მძიმე კუნთებს ხელით უსინჯავდეს. ქალომ ქმრის გაფითრებას რომ გახედა, შიშისგან ყელი ისე გაუშრა, თითქოს ეს მშრალი ქარი პირში შეუძვრა და წამში ამოაშრო იქაურობა.

აქ, ამ გაჩერებაზე დგომისას მიხვდა ბათუ, რომ აღარაფერი აღარაა ძველებურად. სუნთქვითაც კი, ძველებურად კი არ სუნთქავს, თითქოს კერძისთვის მარილი გაესინჯოს, ისე უსინჯავს გემოს ჰაერს და აჰა, ამჟავებულია, მწკლარტე, შხამგარეული.

– ბაბუ! – უცხო ბავშვი ეძახის ბათუს. დედას აჰყავს ავტობუსში, ხელჩაკიდებული.

ბავშვს წითლად მობრაწული ლოყები აქვს, თითქოს ჯანმრთელია, მაგრამ ბათუ ხედავს, როგორ შესდის პაწუა ნესტოებში შავი კვამლის ორი ვიწრო ზოლი, როგორ უვსებს პაწია ფილტვებს გამონაბოლქვით მოწამლული ჰაერი და ზედ ეკრობა, ლაქებს უტოვებს ამოსუნთქვის მერეც. სავსეა ავტობუსი შავად დალაქული ფილტვ-ბრონქებიანი ხალხით.

– რა გატირებს, კაცო, ნუ მაშინებ! – ქალო ეუბნება და თვითონაც ტირილს იწყებს. განა ბათუსავით უხმოს? განა თავის პირივით გამშრალს? – ხმამაღალს, ნაღდს, ცრემლიანს.

2

საგარეჯოში ხმა გავარდა, ბათუ ღმერთის კაცი გამხდარაო. ეზოში ჩამოკრეფილი პამიდვრით სავსე ათი ვედრო რომ დაულაგო და მარტო ერთი ნიტრატებიანი იდოს რომელიმეს ძირში, ზემოდან თვალის გადავლებისთანავე გეტყვის რომელშია ის ერთიო.

ბათუს ღმერთის კაცობაზე სოფელს ჯერ ეცინებოდა, მერე გაოცდნენ, ბოლოს ნაცნობ-უცნობი ისეთი მოწიწებით ელაპარაკებოდა, ქალომ კედლისკენ გადატრიალებას, ბათუსთან ზურგშექცევით ძილის ჩვევას თავი ანება და ყოველღამ ქმრის ხმელ მკერდზე თავჩამოდებული იძინებდა. ერთი ეგაა, ბათუსთვის უკვე სულერთი იყო. სულერთი იყო ტელეფონზე რძლის ბოდიშების მოსმენაც. ყველაფერი წვრილმანი გახდა. სხვაგან იყო ბათუ. აღარც ძილი აინტერესებდა, აღარც თავის უცნაური აზრების ვინმესთვის გაზიარება, აღარც ჭამა. მხოლოდ ჰაერს უსინჯავდა გემოს, ხეებს ელაპარაკებოდა და საითაც არ უნდა გაეხედა, სიზმრისნაირ ცხადს ხედავდა.

– გვალვა იქნება! სარწყავი წყალი სანთლით საძებარი გახდება. – იტყოდა ბათუ და შემოიკრავდა თავში ხელს სოფელი. იცოდნენ, ბათუს ნათქვამ სიტყვას წყალი არ გაუვა.

ბოლო პერიოდში თითქმის აღარ ლაპარაკობდა ღმერთის კაცი. ბუნების ამხელა საიდუმლოებების დამნახავს, ხეების შრიალის მინორ-მაჟორის გამშიფრავს, ჭექა-ქუხი-

ლიდან ოზონის დაბადების პროცესის მნახველს რაღა უნდა ჰქონოდა სათქმელი? „მღილი ვყოფილვარ, მღილი,“ ამას თუ ჩაილაპარაკებდა თავისთვის ისევე ხშირად და გულიანად, როგორც ადრე „ღმერთო შენ მიშველეს“ იტყოდა.

ხან ისეც ხდებოდა, გამოვიდოდა სასაფლაოს გზასთან და ქადაგად დავარდებოდა. ბათუ ლაპარაკობსო და მთელი სოფელი წამში გროვდებოდა მის გარშემო. აი, ახლაც გამოვიდა, ას რაღაცა წლის ხეს ჩაეხუტა, გამოელაპარაკა და იქვე ჩამოჯდა, ქვაზე. ქალოც უკან მოჰყვა, მოგროვილ ხალხს გაენაზა, ბათუსთან მივიდა, გვერდით რომ ჩამოსჯდომოდა ამაყად, მაგრამ ბათუმ ვერც შეამჩნია, არც გვერდზე ჩაიჩოჩა, არაფერი, დატოვა ქალო ეგრე, ფეხზე მდგარი და გაკაპასებული.

– ჰაერი ავადაა, ხალხო, – თქვა და ყველა გაისუსა. – აიღებ და შენს მაგარ ძმაკაცს დანას დაარტყამ? არა, ხო? მაშ ხეებს რათა სჭრით?! რო ხედავდეთ როგო ძაბრივით ჩასდით შავი ჰაერი ჩასუნთქვისას და როგო გაქათქაბულს ამოისუნთქავენ, ერთი ფოთოლი რაა, იმასაც არ მოწყვეტდით. აჰა, შეხედეთ, როგორ ადის ზეით შხამები! ჰაერს უსუნეთ! საწვავის სუნს ვერა გრძნობთ, კაცო?.. ნავთის, ბენზინის, გაზის გემოს ვერა გრძნობთ?!

ხან ასე დაავიწყდებოდა ხოლმე, რომ სამყაროს დიდი საიდუმლოებების დანახვაში, შეგრძნებაში მარტოა. გახედავდა გაოცებისგან პირდაფჩენილ ხალხს, ერთს ამოიოხრავდა, მარტოობის ტკივილს გულში ჩხვლეტას აცდიდა და ისევ ალაპარაკდებოდა:

– მე ნასწავლი კაცი არა ვარ, გლეხურად ვიტყვი, რო ეს საწვავი, გამონაბოლქვი და უბედურება ზეით ადის, ყველაფერს წამლავს. მაგითაა გვალვაც, მდინარის დაშრობაც, ბუნების არევაც. ბუნების არევით კიდე, მოსავალის ამბავიც აირევა, ადამიანისაც.

უცებ მოვარდნილმა დამუხრუჭების ხმამ ცისკენ მზერაგაპარებული ხალხი ერთდროულად მიახედა გზისკენ. მანქანიდან, მაღალ თანამდებობაზე ახალდანიშნული დაბალი

კაცი გადმოვიდა, ახალი ფეხსაცმლის ჭრაჭუნით ბათუსთან წავიდა, რომ მისალმებოდა.

– მანქანა გიყიდია, ვიზიარებ. – უთხრა ბათუმ გამარჯობის ნაცვლად. მარჯვენა ხელი რომ ჩამოართვა, მარცხენა მხარზე მოუთათუნა, – დღეიდან შენც გააძლიერებ ჰაერის მოწამვლის საქმეს.

კაცს ღიმილი სახეზე შეაშრა. შეურაცხყოფილმა მხრის აქნევით მოიცილა ბათუს ხელი.

– რა, გინდა, ვერ გავიგე! ოცდამეერთე საუკუნეში ცხენით ვიაროთ?! გაზი არ ავანთოთ? ცეცხლი აღარ დავანთოთ? აბა, მაშინ გავიყინოთ და მოვკვდეთ!

– ბუნება თვითონ გვაძლევს, შვილო ყველაფერს. – ხმა დაუთბა ბათუს, – თანაც – სულ უფასოდ. ხეები რო არ დავჭრათ, გაზით რო არ გავბრუვდეთ, აბა, ნახე, ვენახის გასხვლის მერე რამოდენა წალამია! მაგის სითბო არის წამალი. ჩვენ კუთხეს წალამი აქვს, სხვისას – სიმინდის ფუჩეჩი, ვიღაცას – თხილის ნაჭუჭი და ჩენჩო. აგერ ჩვენ ჩვენი თვალთხევი გვაქვს, სხვას – უფრო დიდი მდინარე. ერთი რო წყლის წისქვილს ჩადგამს, მეორე – ქარისას... – გაჩუმდა, – მე რო ქარის ძალაზე თვალი ამეხილა, იცი როგო შემეშინდა? იცი რამოდენა ძალა აქვს?

ქალომ უსმინა ამათ ლაპარაკს და ერთი პირობა კი გაიფიქრა, ეს ცხვირმოუხოცავი ღლაპი როგორ ბედავს ჩემს ყველასთვის პატივსაცემ ქმართან ხმას აუწიოს, ახლა თუ ავუფრინე ამას ოფოფები, მერე ნახავს ყვირილი და წყევლა როგორ უნდაო, მაგრამ გაახსენდა, რომ ბათუზე ნაწყენია და კრინტი აღარ დაუძრავს მის დასაცავად.

– სხვათა შორის, გავიგე, შენს ბიჭსაც უყიდია მანქანა, ჩემთვის თუ არ შეიძლება, იმისთვის რა, ხსნილია? – კაცმა ჯერ ბათუს შეხედა ნიშნისმოგებით, მერე ხალხს მოავლო თვალი, ყველას სათითაოდ გაუღიმა. ყველას, ქალოს გარდა. „ახლა თუ ავუფრინე ამას ოფოფები!“ – ისევ გაიფიქრა ქალომ, მაგრამ ხმა არც ამჯერად ამოუღია.

– ჩემმა ბიჭმა რო მანქანა იყიდა, ის დენზე მუშაობს, – მშ-

ვიდად თქვა ბათუმ, – საყველაო საქმეში თავის წილ აგურს იმით დებს, რო მანქანის უკნიდან შხამებს არ აგზავნის ზეით! ეს დენიც კიდე, შვილო... – აქ ხმა აუკანკალდა და ცრემლი მოადგა ბათუს, აიხედა, მზეს თვალი მოუხუჭა, – აბა უყურე რამოდენა მზეა!

მზე მართლაც დიდი იყო და ძლიერი. მზემაც და ბათუმაც იცოდნენ, გრძნობდნენ, ეს თანამდებობის კაცი, გულის სიღრმეში არ იყო ცუდი ადამიანი. ეს კაცი სულ მალე მზის პანელებს იყიდის და მზის საჩუქრით, უფასო ელექტროენერგიით სასიამოვნოდ გააოცებს ამ ხალხს, ახლა რომ გასუსულები მისჩერებიან ორივეს. ეს კაცი და ეს ხალხი იმის მეასედსაც ვერ ხედავენ რასაც ბათუ და არაფერში გაემტყუვნებათ, ვერც ვერავის ამტყუვნებს ბოლომდე ბათუ. რაღაცნაიარად, სიბრალულს გრძნობს ადამიანის მოდგმის მიმართ. ხან თავის თავიც ებრალება ყველაფერ დაფარულის დანახვისთვის, ყველა უხილავი შავი ლაქის და ხინჯის დანახვისთვის. თან ისიც იცის, ღმერთმა რაკი გამოარჩია, ვალდებულია რაღაც შეცვალოს ადამიანებისთვის, სოფლისთვის, ხეებისთვის. ბათუ იყო ბუნების ელჩი დედამიწის ერთ პაწაწკინტელა წერტილში. ასეთი წერტილებით იწინწკლებოდა ერთი მუჭა დედამიწა. ბათუსნაირი ადამიანებით ნათდებოდა, ერთი ეგ იყო, ყოველი ადამიანი მარტო იყო თავის წილ ღმერთკაცობაში. ბათუსავით.

3

ბათუსთვის რჩევების საკითხავად საიდან აღარ მოდიოდნენ. უჯერებდნენ კიდეც. თითქოს ჰაერიც დაიწმინდა, ხალხიც გაკაჟდა, ამინდები ადამიანებს დაუმეგობრდნენ. ერთი ეს იყო, ქალოს კოშმარებს არაფერი ეშველა. გაიღვიძებდა გულგახეთქილი და ბათუს ხმელ მკერდზე ლოყამიდებულს დილამდე ბრაზი უტრიალებდა თავშიც და გულშიც. ყველას შველის, ყველას ეხმარება და აბა თუ ჩემს ცუდსიზმრიანობას უწამლოს რამეო!

ბოლო დროს მიჩუმდა ბათუ. დაიღალა. ჩაწვა, აღარ დგე-

ბა. თვალდახუჭული წევს, ხმას არ იღებს. სათქმელი სიტყვა აღარ დარჩა. თვალს მხოლოდ ბათუნას მოსვლისას ახელს და ისე უყურებს, თითქოს „პაპა გენაცვალოს შენა“ ეთქვას.

– პაპაა! ბათუნა ვარ, შენი შვილიშვილი. ხო გესმის ჩემი ხმა? მე ვიცი, რო ჩემი ხმა გესმის. შენ რო თუთიყუშის ბოლი დაინახე, მეც ვხედავდი მაშინ მაგას. მარტო მე და შენ ვხედავდით. ბათუები მაგრები ვართ, ხო მაგრები ვართ, პაპა?

როგორც კი ბათუნა ისეთ ამბავს გაიგებს, პაპამისს რომ გაუხარდება, მამას საგარეჯოში წაყვანას ეხვეწება. ჩავლენ და ეგრევე საწოლთან მირბის.

– პაპაა! გორში რო ქარის სადგური აუშენებიათ, იცოდი? რო გავიზრდები, ეგეთს დავდგამ თბილისში. იცი, როგორი მაგარი ქარი გვაქვს დიდ დიღომში? გორსაც მოუგებს, ამერიკასაც!

– პაპაა! თელავში რო წაგვიყვანეს მე და მამა, იცი, რა ვნახე? ვენახში გამოატარეს წითელი ტრაქტორი, მიდის ეგრე-ეგრე და წალამს აგროვებს. შიგნით ძაფი აქვს და რო მოაგროვებს ამ წალამს, არაა, შემოახვევს ძაფს და ეგრე ბურთივით დამრგვალებულს გადმოაგდებს უკნიდან. მაგით უნდა გაათბონ ბაღში პატარა ბავშვები. არც ჰაერს დავაბინძურებთ, გათბობის ფულიც დაგვრჩებაო. მერე კანფეტები მომცეს, ღმერთის კაცის შვილიშვილია ესაო. ბათუს რჩევა იყო წალამით გათბობა, პროექტი დავწერეთ და მოვიგეთო. ხო მაგარია, პაპა? ხო გესმის ჩემი ხმა? მე ვიცი, რო გესმის.

ესმის ბათუს, როგორ არა! ესმის ღმერთის კაცს. ზემოდან დასცქერის საწოლთან დახრილი შვილიშვილის თავს, უღიმის. მერე, ეზოში, კრამიტით გადახურულ საქათმესთან მდგარ ქალოს გახედავს, იმის ჭაღარა თმიდან ამოწვერილ შავად გამჭვირვალე ღერს ამოსწევს, ამოქაჩავს, თითზე ამოიხვევს, ამოაგორგლებს ღიმილით. იქვე, ჭიშკართან, ამათი ბიჭი მეზობელს თავისი მანქანის მუშაობაზე უხსნის რაღაცას. ახლა იმას გაუღიმებს ბათუ და უფრო ზემოთ ადის, სოფელს გადმოხედავს. აგერ, ის თანამდებობის კაცი, მაშინ

რომ უნებურად აწყენინა, მზის ახალნაყიდი პანელების ჩამოცლას აკონტროლებს ამაყად. ხედავს ბათუ იმისგან ამოსულ მბრწყინავ ოხშივარს, ისიც იცის, ახლა რომ გატრიალდა და გზას ფეხით აუყვა, ბათუსთან მიდის მახარობლად.

ახალი ცხოვრების დასაწყისში რომ გადმოეხედა ამსიმაღლიდან, არაფერი გამოჩნდებოდა, ახლა კიდე, დაწმენდილია ჰაერი. გზის გაყოლებაზე ახალდარგული ხეების კინკრიხოებსაც ისე უღიმის, როგორც წელან ბათუნასას გაუღიმა. მაღლა-მაღლა მიდის ბათუ, ქალოს ცუდი სიზმრების კვამლისფერი გორგალი ამის ხელში თანდათან დნება, იფანტება. მიფრინავს ბათუ და ამაზეღა ფიქრობს, ნეტა ღმერთსაც ისე ნათლად და მარტივად დაინახავს, როგორც დანარჩენ უჩინარ რამეებს ხედავდა იქ, დაბლა ადამიანებთან?

ოქსიგენი

გენა, აგერ უკვე, ორმოცდა ბევრისაა (როგორც მისი ცოლი, ასევე ორმოცდა ბევრი წლის სოფო იტყოდა) და დღემდე არ ასვენებს ფიქრი: რატომ დაარქვა პაპამისმა გიორგიმ ის, რაც დაარქვა, ვისი ჯავრი იყარა? გიორგი რომ დაერქმია, იქნებ გენა ახლა უფრო უკომპლექსო, ბედნიერი, მდიდარი და დაკუნთული ყოფილიყო?

ბაღში სახელის გამო დაცინვას მიჩვეული გენა სკოლაში რომ შევიდა, შიშით ელოდა სიის ამოკითხვას, კლასელების რეაქციას, მაგრამ მასწავლებელმა მის გვართან, სახელის ნაცვლად რაღაც გაუგებარი ჩამომარცვლა. გენას ხმა არ ამოუღია. პირველ მერხთან იჯდა და მასწავლებელმა სულ იოლად გადმოაწვდინა ხის ახალთახალი ჯოხი, მერხზე ისეთი ხალისით დაუკაკუნა, ახალი ნივთის პირველად გამოყენების სიხარულს რომ მოაქვს.

– ოქ-სი-გეეენ... – წაუმღერა, – ყურადღებით! როცა ამოგიკითხავ, უნდა თქვა: „ვარ.“

ეს გენას ცხოვრების პირველი, ყველაზე დიდი ელდა იყო. სახელი, რომელზეც სწუხდა, ვერც მოფერებითს მოუფიქრებ, ვერც შეამოკლებო, თურმე უკვე შემოკლებული და მოფერებითია იმისა, რაც სინამდვილეში ჰქვია.

„ოსინგენი... ონქისგენი... ოქსიგენი“ – საღამოობით, ქართულის საზეპიროებამდე ჯერ თავისი სახელის დაზეპირებაში მეცადინეობდა გენა.

– გამოცვალე საბუთები, დაირქვი ბოლოს და ბოლოს ეს

ოხერი გიორგი! – ჯერ კიდევ შეყვარებულობის პერიოდიდან ჩასჩიჩინებდა სოფო, – სადაც ამ ერთ ბეწო ქვეყანაში 171 490 ოფიციალური გიორგია, იქაც – 171 491-ე!

სხვათა შორის, არც გენას ცოლ სოფოსთვის დაურქმევია ბებიამის იამზეს სოფო, იამზე დაარქვა, მაგრამ ამან არ დაიზარა, საბუთები შეცვალა, სოფოდ გაფორმდა და თუკი ფეისბუქზე ბავშვობის რომელიმე, ვითომ გულუბრყვილო, სინამდვილეში – ენამწარე მეგობარი დაუკომენტარებდა: „მომენატრე, იამზეეე“ დაუნანებლად შლიდა. ჯერ კომენტარს, მერე – მეგობარს. მეგობარს – ჯერ „ფრენდებიდან“, მერე ცხოვრებიდან.

– ქალებმა იოლად იცით ფესვებიდან ამოგლეჯვა, – უპირატესობის შეგრძნებით უხსნიდა კაცი გენა, – აი, მოგიყვან ცოლად და გვარსაც უპრობლემოდ გამოიცვლი, ჩემსაზე გადმოხვალ, მაგრამ მე კაცი ვარ. რა სახელ-გვარიც მივიღე ოჯახიდან – ვერ გადავაგდებ!

სხვათა შორის, სოფო მის გვარზე არ გადავიდა, ჩემს უკეთესი ჟღერადობა აქვსო და გენამ სახელის კომპლექსთან ერთად, კომპლექტში, გვარისაც მიიღო.

სკოლაში ქიმიის შესწავლა რომ დაიწყეს, გენას იმ დღეს გაკვეთილზე დააგვიანდა. შევიდა თუ არა, ყველამ ერთად წამოიძახა: „მოვიდა!“

ისეთი გახარებულები მისჩერებოდნენ, გენა დაეჭვდა, ნეტა, ჩემი დაბადების დღე ხომ არააო, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ მისი დაბადების დღით აღფრთოვანებული კლასელები არასდროს უნახავს. „სხვა რაღაცაშია, საქმე.“ – დაასკვნა და თავის მერხთან დაჯდა, ცოტა გახარებული, ცოტა დაძაბული და ძალიან გაოცებული.

– აბა, რა წერია დაფაზე? – საზეიმოდ ჰკითხა ყურებამდე გაღიმებულმა ქიმიის მასწავლებელმა, რომელსაც მეტსახელისთვის „გაუცინარი ხელმწიფე“ აქამდე არასდროს ეღალატა.

გენა დაფას დააკვირდა.

– ჟანგბადი. – თქვა იმედგაცრუებულმა. სულ მცირე, ამას მოელოდა: „გენა, გვიყვარხარ!“

– და ლაათინურაად?!. – ჩაეკითხა ქიმიის მასწი.

და აი წამი, როცა გენამ საკუთარი თავი იპოვა: „Oxiqenium“ – ეწერა დაფაზე.

– ოქსიგენი! ოქსიგენი! – ერთმანეთს არ აცლიდნენ ბავშვები, – შენი სახელი!

გენამ იგრძნო, როგორ დაურბილდა გულის ლოდი, აუფფუვდა. ამ გაფუმფულებული გულიდან როგორ ჩუხჩუხით წამოვიდა თბილი სისხლი ძარღვებისკენ და მთელ სხეულში ჟრუანტლად დაუარა. თურმე მთლად რაღაც ჯანდაბაც არ დაურქმევია პაპამისს, აზრი ჩადო! თან რამხელა, სიცოცხლისთვის აუცილებელი აზრი – ჟანგბადი!

***

გენა კატმანდუში წასულაო! – სოფელში ხმა გავარდა და ყველგან, ვის დარაბებს შორისაც შევარდა, უკან შორისდებულად შემცირებული გამოაბრუნეს: „ვაა!“

– უძახე შენ ოქსიგენა და კი გაიქაჩა. – გენას ერთმა, უკვე თმაშეჭაღარავებულმა კლასელმა გიორგიმ მეორეს სიგარეტი უხალისოდ გაუწოდა.

– განა თავის ფულით წავიდა? სამსახურიდან გაუშვეს. – დაამშვიდა გენას მეორე, უკვე თმაშემელოტებულმა კლასელმა გიორგიმ და სიგარეტი ხალისიანად გამოართვა.

– მერე რა? სამსახური ხო აქ?!

უსიტყვოდ გააბოლეს.

გენას წარმატებულ კაცად თვლიდნენ სოფელში, იყო კიდეც, მაგრამ თვითონ თავის ამ სტატუსს გემოს ვერ ატანდა. მისი ყველა წარმატება კომპლექსებისგან, შიშებისგან გაქცევის მცდელობებს მოჰყვებოდა. გენას წარმოდგენით კიდე, ნამდვილი წარმატება სხვანაირი უნდა ყოფილიყო, „უფრო უდარდელ ფესვზე ამოზრდილი, განა შიშისაზე?!“

სამსახური მართლაც ჰქონდა, გარემოს დაცვის სააგენტოში, მაგრამ რიგითი იყო, უჩინო და უჩინარი. კატმანდუში, სა-

კუთარ შიშებთან საბრძოლველად, თავის ხარჯით, წლობით ნაგროვები ფულით გაემგზავრა. ორი ბრძოლა ჰქონდა მოსაგები შიშთან: ახლობლებისგან შორს, მარტო დარჩენისა და მისტიკასთან, შეუცნობელთან პირისპირ დარჩენის. მეორე, თითქოს უბრძოლველად ჩაბარდა. არაფერი მისტიკური იქ არ ხდებოდა.

და მაინც, გენას ცხოვრების მთავარი, ჯადოსნური ამბავი კატმანდუს ერთ ჩაბნელებულ ქუჩაზე დაიწყო.

***

კატმანდუდან წამოსვლის წინა დღეს მშვიდად გავიდა სასეირნოდ. მოედანზე ხალხი იყო შეკრებილი, გასხივოსნების მომლოდინე თვალებით რაღაცას შესცქეროდნენ. „ნეტაი თქვენ,“– გაიფიქრა და ჩაუარა. უკანა გზაზე რომ იგივე ხალხი იმავე პოზაში გაშეშებული დახვდა, დაინტერესდა, რაში იყო საქმე. იმ ფანჯარას ახედა, ყველა რომ მიშტერებოდა. ახედა თუ არა, იქიდან უცნაურად, საშიშად სახემოხატულმა გოგომ გამოიხედა ბასრი მზერით. გამოიხედა და მაინცდამაინც გენას გაუყარა თვალი თვალში.

„თფუი ეშმაკს,“ – გაიფიქრა დამფრთხალმა გენამ და თავის უკეთ დასაცავად, პირჯვრის გადაწერაც გადაწყვიტა, მაგრამ ყველა მისკენ რომ შეტრიალდა და „თეთრი შურით“ შესციცინეს, მიხვდა, ის მოხატული გოგო აქაური ქალღმერთი იყო, მისი მზერის დაჭერა კიდე ბედნიერების ნიშნად ითვლებოდა. პირჯვრის გადასაწერად გამზადებული თითებით უბრალოდ შუბლი მოიფხანა, ბარემ ოფლიც მოიწმინდა და გზა განაგრძო.

დაღამებამდე დაძაბული ელოდა „ბედნიერების მოხდენას“ მაგრამ არაფერიც არ მოხდა. როცა საქმე მისტიკას ეხებოდა, მხოლოდ გენას შეეძლო იმედგაცრუების ნაცვლად სიხარული ეგრძნო, თუკი „შეპირებულ კანფეტს არ მისცემდნენ.“

როგორც კი მოსაღამოვდა, გელამ კატმანდუს იდუმალ ქუჩებში გავლა გადაწყვიტა. სხვა იფიქრებდა, რომ გენა გულადია. სინამდვილეში სიბნელის შიშთან საბრძოლველად

გადიოდა. წარმატებულობისა არ იყოს, არც ამ გულადობას ჰქონდა „უდარდელი ფესვი.“

პირველივე ჩაბნელებულ მოსახვევს აუყვა. იქაურმა მძიმე ჰაერმა მსუბუქად ამოუსვა თითები ნესტოებში, სპეციფიკური სუნი და შიში ამოაკრა.

უცებ გენას სიბნელემ ისე უხეშად მოქაჩა მხარზე, გენა შიშისგან შეხტა. სიბნელეს გაეცინა. გაეცინა და თეთრმა კბილებმა გასცა, რომ სინამდვილეში სიბნელე კი არა, უბრალოდ შავი კაცია.

შავმა კაცმა რაღაც შესთავაზა, გენა მიხვდა, რომ მოსაწევი რამ ბალახი უნდა ყოფილიყო. არასდროს არაფრის მწეველმა გენამ სოფოსთვის სამაჯურის საყიდელი ფული ამოიღო და მისცა, აქაოდა, ამას გოიმი არ ვეგონოო. მერე საკუთარ კომპლექსიანობაზე გაბრაზდა და მოსაწევი სასწრაფოდ უკან დაუბრუნა.

გენამ კი დაუბრუნა მოსაწევი, მაგრამ კაცმა ფული – არა. ხელები ისე გაშალა, ქართულად მოთარგმნილი ნიშნავდა: „ეგრე არ მოსულა, ეგრე სადაა, ძმაო?!..“

გენას ისეთი გაწბილებული სახე ჰქონდა, კაცს შეეცოდა და თავის ბოღჩაში დიდხანს ურია ხელები. ბოლოს შავი სათვალე ამოიღო და მიაწოდა, თან ხელებით, მიმიკით, თვალის ჩაკვრით, სულ იოლად გააგებინა სათქმელი: „ამას რო გაიკეთებ, ტიტველა ქალებს დაინახავ. მე უკვე ვეღარ ვხედავ, ბებერი ვარ. ჰაჰაა.“

გენამ სათვალის მორგება თბილისში დაბრუნების შემდეგ-ღა გაბედა. სახლში მარტო იყო. სათვალე გაიკეთა, ფანჯარას ეცა გულაფანცქალებული და!.. ყველანი მაინც ისეთივე ჩაცმულები ჩანდნენ, როგორც უსათვალოდ. უფრო მეტად ჩაცმულებიც კი.

„რა გულუბრყვილო ვარ, ღმერთო!“ – გაიფიქრა საკუთარი თავით ქრონიკულად უკმაყოფილო გენამ და ცას ახედა. ახედა და ჰა! ცაზე შავი შლამის ფენაა გაწოლილი.

მოიხსნა – არაა, გაიკეთა – არის!

მოიხსნაა – არააა... გაიკეთაა – არიის!

შიშველ ქალებზე – ბოდიში, მაგრამ „ტიტველა ჰაერს“ კი ნამდვილად ხედავდა გენა. ეს „კრიალა ჰაერი“ სინამდვილეში ჭუჭყიან ტანზე შემოცმული ატლასის ხალათივით ჰქონდა ატმოსფეროს. გენას, შამანური სათვალის წყალობით, ამ შეფუთვის იქით შეეძლო შეეხედა. ხედავდა კიდეც „ხალათს შიგნით“ მოფუთფუთე ჰაერის დამბინძურებელ ნივთიერებებს, რომლებიც, ბედის ირონიით, ერთმანეთს მეტად პოეტურად ერითმებოდნენ:

(ნახშირბადის) **მოოქსიდი** და (გოგირდის) **დიოქსიდი**.

(მიწისპირა) **ოზონი** და **აზოტი** (დიოქსიდი).

იმ დღიდან გენას სახლიდან ხშირი გაუჩინარება, კორპუსის სახურავზე ასვლა და ღრუბლებზე დაკვირვება დასჩემდა. სოფო ეჭვიანობისგან ჩამოდნა, მაგრამ ღმერთმა ის, ქმრის ტიპაჟის გასაწონასწორებლად, პოზიტიურ ადამიანად ჩაიფიქრა და სოფოსაც ეს ეჭვიანობის ნიადაგზე დაფერთხილი კილოგრამები უხაროდა, რამეთუ მისი საყვარელი, დაპატარავებული ორი ჯინსიდან ერთი ისევ მოერგო! „ნეტა ცოტა ხანს ისევ გააგრძელოს ღალატი“ – ინატრა სოფომ და მეორე, პირველზე უფრო ვიწრო ჯინსი ჩაიხუტა.

გენამ დაკვირვების არეალი გააფართოვა: სოფლები, ქალაქები შემოიარა. თავის საიდუმლო არავისთვის გაუმხელია. არც სოფოსთვის. სოფოსთვის, მით უმეტეს – არ.

ამ შამანური სათვალიდან არა მხოლოდ ადამიანის თვალისთვის, ხელსაწყოებისთვისაც უხილავი ჰაერის დაბინძურების ხარისხი ჩანდა მკაფიოდ. მალე ციფრებიც გაჩნდა, პროცენტული ზუსტი გამოთვლებით. სათვალიდან ფურცელზე გადმოწერას ვეღარ აუდიოდა გენა. სამსახურში ახალ პროექტს ჩაუდგა სათავეში. რიგითი გენა მალე ბატონ ოქსიგენად იქცა. ამან ერთდროულად ორი კურდღელი დააჭერინა: სახელის კომპლექსიც მოეხსნა და რიგითობისაც. თითქოს ამოისუნთქა, მაგრამ ერთხელ, ქალაქის გადათხრილი გზის შეკეთების პროცესზე დაკვირვებისას, წამოშლილი მტვრის ნაწილაკებს თვალი ღრუბლამდე რომ ააყოლა, მოულოდნელად ახალმა კომპლექსმა წამოყო თავი:

„...და ტიტველ ქალებს რატომ ვერ ვხედავ? დავბერდი? იმ შამანმა ხო ეგრე ამიხსნა, მე ბებერი ვარ, მაგიტო ვერ ვხედავო?“

შიშებთან და კომპლექსებთან ბრძოლის გენერალმა გენამ ახლადგამოჩეკილ შიშ-კომპლექსს სასწრაფოდ, ძირშივე წაასხიპა ის ახლადწამოყოფილი თავი და ცალგვერდმომპალი ვაშლივით ჩამომჭკნარი ღრუბლის თვალიერება განაგრძო.

***

– გენა მაგრად გაიქაჩა, სუ ტელევიზორშია. – უთხრა გენას ერთმა, აწ უკვე გვარიანად გაჭაღარავებულმა კლასელმა გიორგიმ მეორეს, გვარიანად გამელოტებულს, მაგრამ რაკი ამჯერად სიგარეტი აღარ გაუწოდა, მეორეს მისი დამშვიდება დაეზარა.

გენას არა მხოლოდ „ქართულ ტელევიზორებში,“ გარემოს დაცვის უცხოურ ტელეარხებზე, პრესაში, საიტებზეც ნახავდით. მისი გამოთვლების სიზუსტე და მოვლენების წინასწარ განჭვრეტის უნარი მსოფლიო აღტაცებას იწვევდა.

მალე გენას საკუთარ კომპლექსებსა და შიშებზე გამარჯვების გარდა სხვა, ნამდვილი ოცნებაც გაუჩნდა: ეკოსოფლის აშენება. სადაც ადამიანები საყოფაცხოვრებო საჭიროებებს მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი გზით, მზის, ქარის, წყლის ენერგიით მოაგვარებდნენ. ასეთი ფორმით უნდოდა გენას მადლობა გადაეხადა განგებისთვის, რომელმაც შვიდ მილიანდ ბევრ ადამიანში სწორედ ის, ერთი უცნაურსახელიანი უბრალო ადამიანი გამოარჩია. „იქნებ ის შამანი ღმერთი იყო? იქნებ კატმანდუში ღმერთი ვნახე?“ – უცებ გაუელვა თავში და გადაწყვიტა, თუკი ამ ოცნებას აისრულებდა და სოფელს დაარსებდა, მისთვის „შამანი“ დაერქმია.

გენა სახლში ყოფნის მთელ დროს თავის ოცნების პროექტზე მუშაობას ახმარდა. სხვა არავინ და არაფერი აინტერესებდა. „მთავარია სახლშია“ – თავს იმშვიდებდა ცოლი სოფო, მაგრამ ფორმის შესანარჩუნებლად შიგადაშიგ მაინც ეჭვიანობდა.

გავიდა დრო და ბატონ ოქსიგენს, პროექტად გადათარგმნილი ოცნება დაუფასეს და დაუფინანსეს.

– ბიჭებო, – კლასელები შემოიკრიბა სოფელში საგანგებოდ ჩასულმა გენამ, – ეკოლოგია ცუდ დღეშია, ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავთ, ათასი მავნე ნივთიერებითაა გამოტენილი. ამდენი მანქანის გამონაბოლქვი, სამშენებლო მტვერი, ჭვარტლი, ნაგავსაყრელებზე დანთებული ცეცხლის კვამლი ჰაერს აბინძურებს. დაბინძურებული ჰაერით სუნთქვა კიდე, დედას უტირებს ადამიანის ჯანმრთელობას! მინდა აგე იქ, მაღლობზე ახალი ეკოსოფელი გავაშენო, გეპატიჟებით. არანაირი მანქანის გამონაბოლქვი, ელექროენერგია, კვამლი, იქ არ გვექნება. გვექნება მეტი ჯანმრთელობა და ნაკლები ხარჯ...

– მაიცა, – შეაწყვეტინა კლასელებიდან ყველაზე ჭაღარამ, გიორგიმ, – ბნელაში უნ ვიყვეთ?

– არა, რატომ? პროექტი დაფინანსებულია, მზის ეკოპანელებს დავამონტაჟებთ და ელექტროენერგია გვექნება, თანაც – უფასოდ!

– და ჭამა?! – ჰკითხა კლასელებიდან ყველაზე მელოტმა გიორგიმ, რომელიც ამასობაში ყველაზე ფერხორციანის ტიტულიც შეეთავსებინა.

– დავთესავთ, დავრგავთ, მოვაშენებთ, ხორბალს ჩამოვფქვავთ, პურს დავაცხობთ...

– დენი თუ არ იქნა, ხელით ფქვავ? – ჭაღარამ სხვებს გადახედა აქაოდა, ხომ მოვუხაზეო?!

– ქარის წისქვილს ჩავდგამთ, ან – წყლისას. – გენასთვის მოხაზვა ეგრე იოლი არ იყო.

– მანქანების გარეშე არ გამოვა ცხოვრება, – არ დანებდა ჭაღარა, – ტრანსპორტი საჭიროა.

– კი ბატონო, – დაეთანხმა გენა, – დენზე მომუშავე მანქანებიც არსებობს.

ჯიბრში ჩაუდგნენ, მაგრამ გენამ ინტერნეტის მონაცემები რომ აჩვენა, მსოფლიოში ყოველწლიურად 7 მილიონი ადამიანი კვდება ჰაერის დაბინძურების გამოო, - გატყდნენ.

***

„ბოდიში ღმერთო, ღმერთი ხარ და ერთი ცალი სიტყვის არასრულება არ გეწყინება“ – ღმერთი დაანამუსა გენამ და სოფელს თავისი სახელი დაარქვა.

პატარა ეკოსოფელი, სახელად ოქსიგენი, მალე მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. გამოუჩნდნენ მიმბაძველებიც, იმატა ეკოსოფლების ახალ-ახალმა პროექტებმა. ქალაქშიც ბევრმა ჩაანაცვლა ბენზინზე მომუშავე მანქანა დენზე მომუშავეთი. გენას სათვალიდან დანახული ცა ყოველწლიურად იცვლებოდა, იწმინდებოდა, კეკლუცდებოდა. მხოლოდ გენას აღსარება იყო უცვლელი:

„ღმერთო, მაპატიე, ჩემი სახელი რომ მძულდა. მაგ სახელმა ჩამომაყალიბა კომპლექსიან ადამიანად და ამ კომპლექსებთან ბრძოლის გამო გავხდი წარმატებული. მე რომ გიორგი მრქმეოდა, განა ამ სპეციალობას ავირჩევდი? მე რომ უშიშარი ვყოფილიყავი, განა კატმანდუში ჩავიდოდი?“

ერთ დღეს, როცა გელა წისქვილიდან შინ ბრუნდებოდა, როცა ბოლოსდაბოლოს ირწმუნა, რომ თავდაჯერებული, „უდარდელ ფესვზე ამოზრდილად ბედნიერი“ კაცია და აწი ვერანაირი კომპლექსი ვეღარ მოერევა, მის ეზოში უკითხავად შესული კლასელი, ახლა უკვე მთლად თმათეთრი გიორგი დაინახა. გამოხედა იმანაც ღობის იქიდან და ფერდაკარგულმა გამოსძახა:

–ბიჯოო!. შენი ცოლი გაგიჟდა! დაიხადა ყველაფერი და თავქვე ჩარბის!

გულგახეთქილმა გენამ დაღმართს ჩახედა. ჩახედა და არაფერი – სოფოს ცისფერი მაისური და თავის საყვარელი, ვიწრო ჯინსი ეცვა, პეპელას მისდევდა საჭერი ბადით.

გენას კლასელ თმათეთრ გიორგის კიდე, გენას შავი, შამანური სათვალე ეკეთა და „ტიტველა“ სოფოს თვალს ვერ აცილებდა...

ლევან ლორია

ხანდახან ღმერთებიც ტირიან

– ილაპარაკე, რომ დაგინახო!

– მასწავლებელო, თქვენ ბრმა ხართ?

– არა, ბრმა არ ვარ! მე ვხედავ ცას, ვხედავ ხეებს, ამ მწვანე ბალახს, მათ თქვეს თავის სათქმელი, შენ ვერ გხედავ!

– მე ალექსანდრე ვარ, მეფე ფილიპე მამაჩემია!

– მე ვხედავ მამაშენს, შენ კი ვერ გხედავ!

– მამაჩემი აქ არ არის ახლა და როგორ ხედავთ?!

– შენ თქვი მამაჩემი ფილიპეაო?!

– ვთქვი!

– ხოდა მე ვხედავ მამაშენს, შენ რომ დაგინახო, ჩემს კითხვას უნდა უპასუხო!

– და თუ ვერ ვუპასუხე?

– ჩვენი ბოლო გაკვეთილი იქნება დღევანდელი დღე!

– კითხვებზე პასუხი თქვენ უნდა მასწავლოთ! მამაჩემმა მითხრა არისტოტელემ ყველაფერი იცისო!

– ყველაფერი ღმერთებმაც არ იციან, ალექსანდრე!

– აბა რატომ არიან ღმერთები?

– უკვე გამოჩნდი, – გაეღიმა არისტოტელეს, – კითხვა მომეწონა. რამდენი წლის ხარ, ალექსანდრე?

– ცამეტის!

– ცამეტი წლისამ ბევრი რამე უნდა იცოდე!

– ვიცი, მაგრამ არა ყველაფერი, როგორც თქვენ!

– ისევ არ ჩანხარ, ალექსანდრე! ხო ვთქვი ყველაფერი ღმერთებმაც არ იციან-მეთქი!

– მაშ მამაჩემი მატყუებს?

– არ გატყუებს, მამაშენს თავისი სიმართლე აქვს!

– რამდენი სიმართლეა ქვეყნად?

– ქვეყნად იმდენი სიმართლეა, რამდენიც ადამიანი. ყველა ადამიანს თავისი საზომის აქვს, მაგრამ ჭეშმარიტებაა ერთი. როგორ ფიქრობ, ალექსანდრე, რა არის ყველაზე დიდი რაც ყველაზე მცირეშია?

– საღი გონება ადამიანის სხეულში.

– იცოდი პასუხი თუ ახლა მოიფიქრე?

– ვიცოდი.

– საიდან იცოდი?

– მამაჩემს უყვარს ეს სიტყვები და ისიც ვიცი, რომ თქვენგან ისწავლა!

– გილოცავ, ალექსანდრე, აი, უკვე ნამდვილად გხედავ!

ასე დაიწყო პირველი გაკვეთილი. თან საუბრობდა, თან სასახლის ბაღში სეირნობდა არისტოტელე ალექსანდრესთან ერთად და თავისი ბავშვობა ახსენდებოდა, როცა მაკედონიის მეფის ამანტასის სამეფო კარზე უფლისწულ ფილიპესთან ერთად ერთობოდა ათასგვარ თამაშებით, რომლებსაც უფრო ხშირად თვითონ არისტოტელე იგონებდა. ჯიუტ ფილიპეს ყველა თამაშში სურდა გამარჯვება დარჩენოდა, ამისთვის ყველა დაშვებულ თუ დაუშვებელ ხერხს იყენებდა. ალექსანდრეს მზერაშიც სიჯიუტე ჩანდა, ოღონდ ეს არ იყო ვირული სიჯიუტე – ასე მინდა და ასეა. ალექსანდრეს გამოხედვა, მანერებიც კი ფილიპესი ჰქონდა, მაგრამ იყო განსხვავება – მიზანსწრაფულობა, რომელიც ალექსანდრეში უფრო აღმატებული იყო. ამას პირველ გაკვეთილზე მიხვდა არისტოტელე – აშკარად მომავალი მეფეა, – ფიქრობდა ის, – თუმცა ამას სამეფოდ არც მაკედონია და არც საბერძნეთი არ ეყოფა.

მეორე გაკვეთილზე მიდიოდა სამეფო სასახლეში. დღეს მათემატიკაში უნდა გამოეცადა ალექსანდრე. გზაზე იხსენებდა პლატონის აკადემიაში გატარებულ ოც წელიწადს – მოსწავლეობიდან მასწავლებლობამდე. აგონდებოდა წარწ-

ერა აკადემიის შესასვლელში ,,მათემატიკის ცოდნა აუცილებელია“. თვითონ იოლად ჩააბარა აკადემიაში მისაღები გამოცდა – მათემატიკა ხომ მისი საყვარელი საგანი იყო. ,,მათემატიკა გონებას აწესრიგებს. რომ შეიგრძნო ბუნების სილამაზე, უნდა იცოდე მათემატიკა, ხოლო რომ გაუგო ბუნებას, უნდა იცოდე ფიზიკა!“ – ამ სიტყვებით დაემშვიდობა წინა გაკვეთილზე ალექსანდრეს. მომავალი მეფისთვის, ვინც აპირებს ხალხის და ქვეყნის ბედი ჩაიბაროს მათემატიკის ცოდნა უმნიშვნელოვანესი იქნება. შემდეგ უკვე ფიზიკაზეც გადავლენ. სამეფო სასახლისკენ მოკლე გზით გადაწყვიტა წასვლა. აქ დღისითაც კი ყველა ერიდებოდა სიარულს. ბნელი, ვიწრო ქუჩა იყო. აქ მხოლოდ ქურდები და მეძავები თუ დადიოდნენ. შენიშნა ვიღაც კაცი მოდიოდა მისკენ. არც შეუხედავს, უჩუმრად ცდილობდა გვერდი აევლო.

– არისტოტელე?!

მოესმა უცებ. შეჩერდა. ხმა ეცნო.

– არისტოკლე, შენ ხარ?! – უპასუხა არისტოტელემ. ის და არისტოკლე ერთად სწავლობდნენ პლატონის აკადემიაში. არისტოკლე პლატონის ერთ-ერთი ბრმა მიმდევარი იყო. საათობით შეეძლო პლატონის თეზისები თუ აპორიები ემეორებინა და ყველას პირად მტრად მიიჩნევდა, ვინც ოდნავ ეჭვს შეიტანდა საყვარელი მასწავლებლის ნააზრევში. ლაპარაკი კი, იცოცხლე, უყვარდა არისტოკლეს. დილიდან საღამომდე შეეძლო ელაპარაკა, მაგრამ თან ისე, რომ არც არაფერი ეთქვა.

– ანუ პლატონი მეგობარია და ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარი, ხომ სტარიგელო?

– როგორ ხარ, არისტოკლე! – კამათს თავი აარიდა და გაიღიმა არისტოტელემ.

– კარგად, კარგად... შენ კი ისევ ისე, როგორც აკადემიაში, კოხტად გამოწყობილი დადიხარ, ყველა თითზე ბეჭედი, მდიდრული მოსასხამი და ყველაზე ძვირი სანდლები!

– მეჩქარება ახლა, არისტოკლე! ისე, გამიხარდა შენი ნახვა!

– მე კი არ გამიხარდა! პატივს არ სცემდი ჩვენ დიდ მასწავლებელს! არადა ყველაზე უფრო შენ უყვარდი – გამორჩეულად! ძალიანაც კარგი, რომ მისი დაარსებული აკადემიის მმართველი სპევსიპე გახდა და არა შენ!

– პლატონის ძმისწული კარგი ადამიანია, იმედია აკადემიის ისეთივე წარმატებული მმართველი იქნება, როგორც პლატონი. ჩემგან მილოცვა გადაეცი! ღმერთებმა დაგიფაროს არისტოკლე!

თქვა არისტოტელემ და სანამ რაიმეს ეტყოდა თანააკადემიელი, გზა გააგრძელა. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოასწრო და უცებ ციდან შუქი ჩამოეშვა. მერე ხმა გაისმა, რომელიც ასევე ზეციდან მოდიოდა:

– წამოდი, არისტოტელე!

– ვინ ხარ? – იკითხა არისტოტელემ.

– წავიდეთ, გზაში მოგიყვები!

– სად?

– არ გაინტერესებს საუკუნეების შემდეგ ფიზიკოსები, ანუ ის მეცნიერები, რომელთაც შენ საფუძველი შეუქმენი, რა დღეში ჩააგდებენ დედამიწას?

– მაინტერესებს, მაგრამ მეფის პირმშოსთან გაკვეთილი მაქვს დღეს, როგორ გავუცდინო?

– ალექსანდრემ ცოტა ხნით დაისვენოს, ან ხმალსა და ჯირითში ივარჯიშოს – ეს აშკარად უკეთ გამოსდის ვიდრე ფიზიკა, ან მეტაფიზიკა!

– ანუ ჩემი შრომები იცით?

– ვიცი და თუმცა შენი ფიზიკა ძალიან შეიცვლება, შენ მაინც შემორჩები კაცობრიობის გონებას როგორც ფიზიკის მამა!

– ანუ, როგორც საშინელი მამა?

– ეჰ, საშინელება მერე იკითხე შენ. საწყალი დედამიწა რა დღეშია რომ იცოდე! შენ ოცნებობდი უკეთეს ქალაქზე, უკეთეს ქვეყანაზე, რომ ადამიანები ბედნიერები ყოფილიყვნენ, ახლა ფიქრი მოგიწევს უკეთეს დედამიწაზე, რათა დედამიწაც და

ადამიანებიც გადარჩნენ! შენ ასკლეპიოსის მოდგმისა ხარ! მამაშენი ნიკომაქოსი ხომ ექიმი იყო, ისე როგორც ბაბუაშენი ან დიდი ბაბუა? ახლა საშუალება გაქვს, მცირე დროით თუნდაც, წიანაპართა პროფესიას დაუბრუნდე, მკურნალი გახდე!

– სამკურნალო ვინ არის?

– დედამიწა! საშუალება გეძლევა უმკურნალო მას, ან რეცეპტი მაინც გამოწერო, რათა გადარჩეს!

– და როგორ წამოვიდე?

– უბრალოდ შუქს გამოჰყევი.

,,რა საოცარია და საკვირველი ეს ყველაფერი, თუმცა რა, ყოველი შემეცნება, ხო გაკვირვებით იწყება!“ – გაიფიქრა არისტოტელემ და სინათლეში შეაბიჯა. შუქს რომ თვალი შეაჩვია, აღმოჩინა, რომ დიდი კვერცხის ფორმის მქონე არც თუ ვიწრო საკანში იყო, რომელშიც გვერდი-გვერდ, მცირეოდენი დაცილებით ორი სავარძელი იდგა. რატომღაც დიოგენე სინოპელი გაახსენდა, კასრში მჯდომი, ოღონდ ის, ვინც ამ კასრში დახვდა, დიოგენე ნამდვილად არ იყო და არც ეს პატარა სამყოფი არ იყო დიოგენეს კასრი, რომელშიც მხოლოდ ერთი მხრიდან შედიოდა შუქი. პირიქით, არისტოტელეს ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ეს მომრგვალებული საკანი საერთოდაც შუქით ნაშენი იყო, ოღონდ შუქი, რომელიც თვალს არ გჭრის და არ გაბრმავებს, პირიქით, შუქი, რომელიც ენერგიას განიჭებს და ძალას გმატებს. ერთ სავარძელში დაახლოებით არისტოტელეს ხნის მამაკაცი იჯდა, რომელსაც თეთრი თმა და წვერ-ულვაში ჰქონდა. საკნის კედლებზე მინის მომრგვალებული ფანჯრები იყო, ხოლო სავარძლების წინ ოვალის ფორმის მაგიდა იდგა, რომლის ზედაპირზეც სხვადასხვა მოძრავი სურათი ერთმანეთს ცვლიდა.

– აბა კარგად მოეწყვე, შორი გზა გვაქვს! მჯეროდა, რომ უარს არ მეტყოდი! – თქვა კაცმა იგივე ხმით, რაც სულ ცოტა ხნის წინ ესმოდა.

– შეიძლება გავიგო ვის ვესაუბრები? – თქვა არისტოტელემ, როცა მეორე სავარძელში ჩაჯდა.

– ჩავთვალოთ მეტაფიზიკიდან ვარ! – გაეცინა კაცს, – თუმცა ეს არ არის მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანია თუ სად მივდივართ და რას ვაპირებთ!

– სად მივდივართ?!

– აიეტის ქვეყანაში. გახსოვს არგონავტების ისტორია?

– აიეტი, ოქროს საწმისი, იასონი, მედეა. ასკლეპიოსი მედიცინის ღვთაებაა, ზოგი ხალხი კი მედეას მედიცინის ქალღმერთად თვლის!

– კი, ტაძრებსაც აგებდნენ მის სახელზე. ამ ქვეყნის ერთ მუნიციპალიტეტში მოგიწევს სტუმრობა, სადაც ახლა სხვადასხვა პოლისების მმართველები იკრიბებიან, მათთან ერთად იქნებიან სტუმრები სხვადასხვა ქვეყნიდან!

– მიზეზი?

– იმსჯელებენ, როგორ გადაარჩინონ დედამიწა!

– დედამიწას რა მოუვიდა?

– სიცხე აქვს, ავადაა! რეცეპტი უნდა მოიფიქრო, ანუ მოგიწევს ამ შეკრებაზე სიტყვით გამოსვლა?

– აიეტის ქვეყანაში ბერძნული ეცოდინებათ?

– არა, შენ ილაპარაკებ აიეტის ქვეყნის ენაზე, ანუ ქართულად რომელიც უკვე იცი?

– როგორ თუ ვიცი?

– იცი, იცი! მოიცა, ახლავე დარწმუნდები! აიღე წიგნი, რომელიც შენს გვერდით თაროზე დევს, ეს არის ,,ვეფხისტყაოსანი“. მისი ავტორი შოთა რუსთაველია, იმ ქვეყნის შვილი, სადაც მივდივართ. აბა გადაშალე და სადაც მოხვდები იმ გვერდზე რომელიმე სტროფი წაიკითხე:

არისტოტელემ იქვე სხვა ნაშრომებიც შენიშნა: ერთს არისტოტელე – ფიზიკა ეწერა, მეორეს არისტოტელე – მეტაფიზიკა. მერე მითითებული წიგნი გადაშალა და წაიკითხა:

– ,,ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, მიწასა და წყალსა, ჰაერთა თანა ძრომასა“... ანუ ოთხივე სტიქიაა ერთ სტრიქონში! – თქვა უცებ და

მაშინ მიხვდა, რომ ქართულად კითხულობდა და ლაპარაკობდა.

– აი, ხედავ? – ქართულად უპასუხა კაცმაც და ასევე გააგრძელა საუბარი, – სანამ სიტყვით გამოხვალ მანამდე პატარა ექსკურსია ჩავატაროთ. ჯერ გაიგებ ფიზიკოსების გამო რა დღეშია დედამიწა! შეხედე ამ დაფას, წლების შემდეგ ადამიანები მას ეკრანს დაარქმევენ. ხედავ ცაში მფრინავი რკინის ჩიტი მიფრინავს, ახლა აღმოსავლეთის ერთ-ერთი ქალაქის თავზე ის საშინელ ტვირთს ჩამოაგდებს, სახელად ,,ბიჭუნას“. მართლა უწყინარი ბიჭუნა არ გეგონოს, ეს ატომური ბომბია, რომელიც მტვრად აქცევს მთელი ქალაქს. ამას რამდენიმე დღეში მეორე ისეთივე ბომბი და მეორე განადგურებული ქალაქი მოყვება.

ეკრანზე მართლაც ჩანდა ქალაქის თავზე აღმართული უზარმაზარი კვამლისა და მტვრის გროვა.

– საშინელებაა. ნუთუ ფიზიკოსების ბრალია ეს?

– გეთანხმები, საშინელებაა არისტოტელე, მაგრამ ზოგი ამ საქციელს გაამართლებს კიდეც, ამ იარაღმა ომი დაამთავრა და უფრო ნაკლები ხალხი დაიღუპაო! შენ არ ეუბნებოდი გუშინ ალექსანდრეს, ყველა ადამიანს თავისი სიმართლე აქვსო?! ჭეშმარიტება ნაკლებად აინტერესებთ ადამიანებს, ისევ თავისი საზომით ზომავენ! ქვეყნებიც ასეა, მათი მმართველი ტირანები ძირითადად ერთპიროვნულად განსაზღვრავენ პოლიტიკას!

– თუ საშუალება მექნება უკან დავბრუნდე ყველა ჩემი ნაშრომი უნდა დავწვა ფიზიკაზეც და მეტაფიზიკაზეც!

– ეს არაფერს არ უშველის, ამაო იქნება, არისტოტელე! ამით თუ ავნებ, თორემ უკეთესობისკენ ვერაფერს შეცვლი!

– ფიზიკოსებმა სასიკეთო რამეც გააკეთეს ანუ, ამის თქმა გნებავთ?

– რა თქმა უნდა და თან უამრავი რამ. ეს არის ახალი ტექნოლოგიები, რომლებმაც ადამიანის შრომა შეამსუბუქა და თან უფრო ნაყოფიერი გახადა. ადამიანები გადაადგილდ-

ებიან ცხენის გარეშე რკინის ყუთებით, რასაც ავტომობილი დაარქვეს, დაფრინავენ ასევე რკინის ყუთებით, რასაც თვითმფრინავები დაარქვეს! ადამიანი კოსმოსში გავიდა, რასაც შენ ეთერს ეძახი, თუმცა სამწუხაროდ ხშირად ახალი ტექნოლოგიების დანერგვა დედამიწის ჯანმრთელობის ხარჯზე ხდება. დაუნდობლად იჩეხება ტყეები, ნადგურდება მწვანე საფარი, რამაც უნდა უზრუნველყოს ჰაერში სიცოცხლისათვის საჭირო ერთ-ერთი კომპონენტის ჟანგბადის კონცენტრაცია. სწორედ ჰაერის დაბინძურება და სათბურის ეფექტი არის მიზეზი დედამიწის ტემპერატურის ზრდის, რაც თავის მხრივ იწვევს ღვარცოფს, გვალვას, გაუდაბნოებას, ტყის ხანძრებს, წყალდიდობას...

ეკრანზე უკვე ხრიოკად ქცეული, დახეთქილი მიწის საფარი ჩანდა, ხანაც ხანძრები და წყალდიდობები ცვლიდა ერთმანეთს. არისტოტელე ეკრანზე ხედავდა როგორ ნადგურდებოდა თაობების მიერ წლობით დაგროვილი სიმდიდრე...

აიეტის ქვეყნის ერთ-ერთ პოლისში, ოზურგეთში იყო არისტოტელე. ყველაფერს აკვირდებოდა. მოქალაქეების უმრავლესობა აჩქარებული ნაბიჯით მიმოდიოდა ქუჩაში, ზოგს მისი უცნაური ჩაცმულობ აკვირვებდა და ირონიულად იცინოდნენ. ორი ახალგაზრდას გამოელაპარაკა:

– მოქალაქეებო, ხომ ვერ მეტყვით სიმპოზიუმი თემაზე ,,ევროპის მდგრადი ენერგეტიკული კვირეული 2022“ სად ტარდება?

– რაი სად ტარდებაო? – ჩაილაპარაკა ერთმა.

– მსახიობია ეტყობა, ანუ გვაღადავებენ! – უპასუხა მეორემ.

– გვაშაყირებ ყაზახო?

– რა ბრძანეთ?

– ვინ ხარ ძამა შენ? – დაინტერესდა ისევ პირველი.

– არისტოტელე ვარ სტაგირიდან! აქ მოვედი რათა დედამიწას ვუმკურნალო!

– ვინ, ვარო?! – პირველი ბიჭი მეორეს მიუბრუნდა.

– დაყრუვდი ძამა? არისტოტელე ვარ და დედამიწას უნდა ვუმკურნალოო! – უპასუხა მეორემ.

– მსახიობია კი არა, რა მოწია ნეტა ამისთანა?! ამას კაი ბალახი ექნება რაცხა, ხო იცი?!

– ჯიბე არ აქვს, ბალახი სიდან ექნება? არ გავს მოწეულს!

– აბა მთვრალს, მით უმეტეს არ გავს! ჭაღარა კი შეპარვია, მარა ყინჩად დგას! თან ხომ იცი, რა ყნოსვა მაქვს, დალეული რომ იყოს, მივხვდებოდი!

– ისე, რავარი ბეჭდები უკეთია! ხო არ ავწიოთ, ჩემი კაი...

– შარია თუ ძმა ხარ, ყველგან კამერები აყენია!

– ბიჯო, მგონი თეატრშია რაცხა ღონისძიება, ვერტალიოტითაც ჩამოფრინდა დღეს ხალხი, იმაზე ხო არ ჩივა?

– ალბათ! მეც ვნახე აფიშა!

– კაი კაცი, გინდა არისტოტელე იყავი და გინდა პლატონი, არაა ბაზარი. ახლა გეტყვი რაფერ მიხვიდე. მოკლედ, გაყვები ახლა ამ გზას, შეგხვდება თონე და ლავკაა პატარა, ხილს ყიდიან, მოუხოვ მერე მარცხნივ გამოჩნდება თეატრის შენობა, ხოდა იქანეა რაცხა მაი სიმპოზიუმია, დასტურ გიჩივი.

,,აქაც პლატონი! “ – გაიფიქრა არისტოტელემ, თავის დაკვრით გადაუხადა მადლობა ბიჭებს და ნაჩვენებ გზას დაადგა. თუმცა ,,ლავკა“ ვერ მიხვდა რა იყო, თონეს ადვილად მიაგნო – ნავის ფორმის ქართულ პურებს გემრიელი სურნელი ასდიოდა. მერე თაროებზე ჩამწკვრივებული ხილის ყუთები დაინახა, მარცხნივ კი, გზის ბოლოს, დიდი შენობა ჩანდა, ალბათ ეს იყო თეატრი...

კართან სუფთად წვერგაპარსული ახალგაზრდა დახვდა. სიმპოზიუმი აქ ტარდებაო, – ჰკითხა.

– თქვენი მოსაწვევი?

– მე არისტოტელე ვარ!

– მე პლატონი ვარ, ოღონდ მოსაწვევი მჭირდება!

,,ისევ პლატონი“ – გუნებაში გაიცინა არისტოტელემ.

– რა ხდება გიორგი?

– ბატონო გოჩა, ვიღაც კაცია, მოსაწვევი მოვთხოვე და არისტოტელე ვარო!

– არისტოტელე თუა მოსაწვევი რად უნდა? მობრძანდით, ჩემო ბატონო! პატივცემულო, თუ შეიძლება თქვენი ქალაქი მითხრათ, რომ წამყვანს ჩავაწერინო!

– არისტოტელე სტაგირიდან! შეკრებაზე გამოსვლას ვაპირებ!

– ასევე ჩაგწერთ, ანუ ბოლო სიტყვა თქვენია!

... დარბაზში იჯდა არისტოტელე და უსმენდა გამომსვლელებს, რომლებიც იცავდნენ დიალექტიკის ყველა ნორმას, თან თითქოს შთაბეჭდილება დაგრჩებოდა დედამიწაზე ზრუნვაში აღამებს-ათენებს ეს ხალხიო. ერთი ფიქრი აწვალებდა, თუ ასე ყველამ ყველაფერი კარგად იციან, ყველა წუხს დედამიწის ბედზე, მაშინ რატომ არის დედამიწა ცუდადო. რამოდენიმე ხნის შემდეგ წამყვანმა მისი სახელიც წარმოთქვა. არისტოტელე წამოდგა და ნელი, დინჯი ნაბიჯებით მივიდა ტრიბუნასთან.

– მოგესალმებით აიეტის ქვეყნის მოქალაქენო, პოლისთა მმართველნო და ამ ქვეყნის სტუმარნო. მე, არისტოტელე სტაგირელი, შორი ქალაქიდან და უფრო შორი დროიდან მოსული, გულდასმით გისმენდით და მინდა გითხრათ, აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი – როგორ გიყვართ დედამიწა! ყველა ენა ნამდვილად არ ვიცი, თუმცა არც მეგულება სხვა რომელიმე ენა, რომელზედაც ჩვენი პლანეტის სახელში სიტყვა დედა ურევია და მისასალმებელია, რომ როგორც ყველა ღირსებით სავსე დროული მოქალაქე ვალდებულია მხცოვან დედას უვლიდეს, ისევე თქვენ აქ გამომსვლელნი თავს ვალდებულად თვლით მოუაროთ დედამიწას. თან ყველაფერი კარგად იცით: იცით თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ენერგიის განახლებადი წყაროების: წყლის, მზის, ქარის, ბიომასის მაქსიმალურად და ეფექტურად გამოყენება, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა. პარალელურად კი ქვანახშირის, ნავთობის, გაზის მოხმარებების შემცირება, რათა შემცირდეს ატმოსფეროში სათბური აირების კონცენტრაცია. ნება მომეცით კითხვა დავსვა: მაშინ რატომ არ აკეთებთ ამას, ან

აკეთებთ და მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით. მე ვნახე გორთან ქარის ტურბინები, ვნახე თბილისში სახლები მზის პანელებით, ვნახე ელექტრომობილები, რომლებიც არ გამოიყენებენ ბენზინს. მაგრამ ეს ისე მცირე რაოდენობით, რომ ნამდვილად სასაცილოა ის რასაც ამბობთ იმასთან შედარებით, რასაც აკეთებთ. კიდევ, რამაც გამაკვირვა და გული მომიკლა, ნაგვით სავსე გზის პირები – ამას ალბათ მტრები აკეთებენ, რომელნიც ჩუმად იპარებიან ამ ქვეყანაში – უფრთხილდით მტრებს! კიდევ, რაც ღრმად ჩამებეჭდა გონებაში იყო ასფალტამონახეთქი მწვანე ბალახი! რას აკეთებთ, თქვენ, ქალაქის მმართველნო? გასაგებია, იქ, სადაც რკინის რაშები დადიან ან ველობილიკია, უნდა იყოს ასფალტი ან ქვაფენილი, მაგრამ იქ, სადაც შეიძლება იყოს მიწა, სადაც შეიძლება გაიხაროს მწვანე ბალახმა, თქვენ ასფალტით ან ქვებით რატომ ფარავთ. დედამიწამ როგორ ისუნთქოს? ქვებით და ხრიოკით სავსეა სხვა უსიცოცხლო პლანეტები, ამით ვეღარავის გააკვირვებთ. აი, მწვანე ბალახით კი ნამდვილად გააოცებთ ყველას. მერე რატომ გიკვირთ წყალდიდობებები, ღვარცოფები, ცუნამები. სხვა საკითხია ატომური იარაღი, რომელსაც ზოგი ქვეყანა ფლობს. უსულო ჭურჭლად ქცეულო კაცობრიობავ? იმის მაგივრად, რომ დასხდეთ და თუ რამ სადავოა, ერთად მოილაპარაკოთ, მზადა ხართ ატომური იარაღით ერთმანეთიც და მთელი დედამიწაც ნაცარ-ტუტად აქციოთ? მე, როგორც ექიმთა შთამომავალს, მთხოვეს რეცეპტი დამეწერა, როგორ ვუშველოთ დედამიწას! მარტო დედამიწას არა, ადამიანებო თქვენ, გჭირდებათ შველა, იმიტომ რომ ავად ხართ! რეცეპტი და წამალი ერთია, გონს მოეგეთ, გიყვარდეთ არა სიტყვით, არამედ საქმით და ერთად მოუარეთ დედამიწას! ვამთავრებ ჩემს სიტყვას, გემშვიდობებით! დაე ყველა ღმერთმა დაგიფაროთ თქვენ, ამ დარბაზში მყოფნი, ეს ქვეყანა და მთელი დედამიწა!

– რა პერფორმანსია!

– ყოჩაღ გურულებს!

– ალბათ ადგილობრივი თეატრის მსახიობია!

ეს ხმები და ტაში აცილებდა არისტოტელეს. გამოვიდა თუ არა შენობიდან, იქვე შუქი შენიშნა. ახლა უკვე სიტყვის უთქმელად შეაბიჯა მასში. კაცი შუქის საკნიდან ეკრანზე რაღაცას უყურებდა. უცებ მოეჩვენა, რომ მარტო საკანი არ იყო შუქის, კაციც შუქისა იყო. მერე ეკრანს დაუკვირდა. ჯერ ხმა ეცნო, მერე თავისი თავი – სიტყვას ასრულებდა. ამ ტაშს რა ჯანდაბად მიკრავენ, ალბათ საშინელი გამოსვლა მქონდაო, – გაიფიქრა.

– არა, რატომ? მომეწონა გამოსვლა! რეცეპტიც! ვნახოთ არისტოტელე! მკურნალობის შედეგებს დაველოდოთ, ახლა კი უკან ვბრუნდებით! – თქვა კაცმა და გაიღიმა, თუმცა თვალზე ცრემლი ადგა.

მყისიერად ზუსტად იმ ადგილას აღმოჩნდა, სადაც რამდენიმე ხნის წინ იყო. შუქი არსად სჩანდა. ბნელ ქუჩას გახედა. არისტოკლეს რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოესწრო მხოლოდ, ანუ დრო თითქმის საერთოდ არ იყო გასული. ,,გამოდის, ხანდახან ღმერთებიც ტირიან!“ – გაიფიქრა არისტოტელემ და ახლა ძალიან მოუნდა არისტოკლეს ხმა გაეგო.

– არისტოკლე! – დაიძახა უცებ.

ის მობრუნდა. სახეზე გაკვირვება დაეტყო.

– გისმენ, არისტოტელე!

– არაფერი.. არაფერი... – თქვა არისტოტელემ, შებრუნდა და მეფის სასახლისკენ გზა განაგრძო..

ჯოჩა ღვინიაშვილი

ჩემი ყოფილი

ჩვენი სამსახური მზის პანელებს აწყობს, ყიდის და ამონტაჟებს. მე სამონტაჟო ბრიგადის ბრიგადირი ვარ.

ცხელოდა. მზისგან გათანგულს სამსახური ყელში მქონდა ამოსული და მინდოდა, დირექტორისთვის შვებულება მეთხოვა, მაგრამ რადგან შეკვეთების სეზონი იყო, ფეხს ვითრევდი, დარწმუნებული ვიყავი, შეფი უარს მეტყოდა და კუთვნილ შვებულებას შორს შემოდგომისკენ გადამიწევდა. მოველოდი, რომ უსიამოვნო საუბარი გვექნებოდა, მაგრამ სამშაბათ საღამოს მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ოთხშაბათს ბატონ გიორგის ჩემს თხოვნას მოვახსენებდი.

ჩემი დირექტორი, ეს გამხდარი, პედანტი კაცი, სამსახურში ზუსტად ცხრა საათზე მოდიოდა, ათის ნახევრამდე საბუთებში იქექებოდა და შემდეგ გაყიდვების მენეჯერებთან და სამონტაჟო ბრიგადის ბრიგადირებთან სხდომას მართავდა, საქმეზე გვანაწილებდა. მე ათის ნახევრამდე უნდა მომესწრო და ოთხშაბათს, როგორც კი კაბინეტში შევიდა, შევყევი და დავიწყე:

– ბატონო გიორგი...

უცებ გამაწყვეტინა:

– სულ გიოს მეძახი და ახლა გავხდი „ბატონი გიორგი“? გინდა, გამოვიცნო, რა გინდა? – შუბლი შეკრა და ქვეშიდან ამომხედა, – შვებულების სათხოვნელად ხარ მოსული, სხვა რა გენდომება? დასვენება უნდა მთხოვო... გელა, ახლა შეკვეთებს ვერ ავუდივართ და ოღონდ მაგას ნუ მთხოვ, ძმაო..

– თქვა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და გააგრძელა. – დღეს ის საქმე დამიმთავრე და ხვალ მონტაჟზე რაჭაში გაგიშვებ. გრილა, მაგარი ბუნებაა. გაგისწორდება.

გიორგი ფირმის დირექტორიცაა და დამფუძნებელიც. შვიდი წლის წინ, როცა მან ეს საქმე წამოიწყო, სულ ოთხი თანამშრომელი ვიყავით. ხელფასს გაჭირვებით გვიხდიდა. ამ საქმის პერსპექტივისა არ მჯეროდა და სხვა სამსახურის შოვნასაც მოვახერხებდი, რომ არა გიორგის უნარი, ადამიანები დაერწმუნებინა.

თვალწინ რაჭის მთა-გორიანი ტყეები დამიდგა. მხრები ავიჩეჩე, – კარგი, გიო, კარგი, – წავიბუტბუტე და კაბინეტიდან გავედი.

იმავე საღამოს სატვირთო მანქანა მასალებით დავტვირთე და მეორე დღეს, სისხამზე ორ თანამშრომელთან ერთად რაჭის გზას გავუყევი.

მე ბრიგადირიც ვარ და მძღოლიც, ორმაგ ხელფასს ვიღებ და ამისთვის გიორგის მადლიერი ვარ.

რაჭში რამდენჯერმე ვყოფილვარ, მაგრამ, რაც ზემო იმერეთიდან გზა გაიყვანეს, პირველად მომიწია წასვლა. მიხვეულ-მოხვეული გზა ტყიან ლანდშაფს საჩხერედან აღმა მიუყვება, წაბლის ტყეს რცხილიანი ცვლის, რცხილებს – იელი, მერე ყვავილებით გადაქსოვილი იალაღებია და შემდეგ გზა დაღმა რიონის ხეობაში ეშვება. ირგვლივ ბუნება დღესასწაულობს და, რაც მთავარია, გრილა.

თერთმეტ საათზე უკვე ადგილზე ვიყავით. მუმლაძის სახლი რომელიაო, ვკითხე პირველ შემხვედრს, რომელიც ადგილობრივად მოგვეჩვენა და არც შევმცდარვარ.

– რომელი მუმლაძისა, დიპლომატი როა? – კითხვა შემოგვიბრუნა დამხდურმა და წყალგაღმა ფერდობზე ხის სახლი დაგვანახა.

მივედით სახლთან, მივასიგნალეთ და მასპინძელიც გამოვიდა.

ფუმფულა კაცი იყო, ასე ჩემი ხნის... მოკლე შარვალი და

უსახელო მაისური ეცვა. ჭიშკარი გაგვიღო, მანქანის გასაჩერებელ ადგილზე მიგვითითა და გაგვეცნო:

– მე აკაკი მქვია. თქვენ, როგორც მივხვდი, „მზეკაბადონიდან“ ხართ.

სათითაოდ ისე ჩამოგვართვა ხელი, როგორც მხოლოდ ტელევიზორში მინახავს, დიპლომატები რომ ერთმანეთს ხვდებიან, დიდხანს რომ უჭირავთ ერთმანეთის ხელი, რათა ფოტორეპორტიორებმა მოასწრონ სურათების გადაღება.

ჩემს საქმეში რა, სად და როგორ ჯობს, ბრწყინვალედ ვიცი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა დეტალს სახლის პატრონს ვუთანხმებ.

– ბატონო აკაკი, მზის პანელები, როგორც წესი, სახურავზე დგება. სასურველია, სამხრეთის მხარეს უყურებდეს. თქვენი სახურავის ქანობი ისეთია, რომ ამის საშუალებას იძლევა. აი, რაც შეეხება აკუმულატორების ბაზირების ადგილს, ეს თქვენ უნდა გადაწყვიტოთ. კვადრატნახევარია ამისთვის საჭირო, – სხაპასხუპით წარმოვთქვი დაზეპირებული ტექსტი, მასპინძელს შევხედე და მივხვდი, რომ რაღაც ვერ გაიგო, მისთვის რაღაც მოულოდნელი იყო.

– ეს ხომ მზის ბატარეებია, აკუმულატორი რაღა საჭიროა, – წარმოთქვა უკმაყოფილო სახით.

– ბატონო აკაკი, მზის პანელებში სითბური ენერგია ელექტრო ენერგიად გარდაიქმნება, აკუმულატორებში მუდმივი დენის სახით აკუმულირდება, ტრანსფორმატორის საშუალებით მუდმივი დენი ცვლად დენად ტრანსფორმირდება და ვიღებთ ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო მოხმარების ელექტრო ენერგიას, – კიდევ ერთი დაზეპირებული წინადადება ვთქვი და კიდევ ერთხელ დაკვირვებით შევათვალიერე ჩემი მასპინძელი.

მიხვედრილი კაცი გამოდგა, – გასაგებია, გასაგებია, – წაიბუტბუტა, ჩაფიქრდა და მითხრა, – იქნებ აკუმულატორების ადგილი ერთად შევარჩიოთ, – არ დაელოდა ჩემს პასუხს და წინ გამიძღვა.

აივანი გავიარეთ და შემინული კარით მისაღებში შევედით.

ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს აქ ოდესღაც ვყოფილვარ და სულში ნოსტალგიური სითბო ვიგრძენი. ოთახის ბოლოში გობელენგადაკრული დივან-სავარძელი იდგა. ხის კედელზე სხვადასხვაფერად მოჭიქული ლარნაკები და ფიროსმანის „მეთევზის“ რეპროდუქცია ეკიდა. მარჯვნივ, ალბათ რესტავრირებული, ძველმოდური კომოდი იდგა. კომოდზე ორი ვერცხლის შანდალი ვარდისფერი სანთლებით და მათ შორის ოქროსფერ დასადგმელ ჩარჩოში ჩასმული სურათი შევნიშნე.

მახვილი თვალი არ მაქვს, უფრო ემოციებითა და იმპულსებით ვაზროვნებ, ვიდრე სურათ-ხატებით. მხოლოდ მაშინ მოსცილდა ჩემი თვალის ბადურას კამოდზე დადგმული სურათის ანარეკლი, როცა ბატონმა აკაკიმ სამზარეულოს გავლით საკუჭნაოში შემიყვანა და მკითხა, აქ ხომ არ დაგვედგა აკუმულატორებიო.

– კი, – ანგარიშმიუცემლად დავეთანხმე, უკან მისაღებისკენ გამოვბრუნდი, კომოდის წინ დავდექი და სურათს შევხედე. თვალს არ მოვუტყუებივარ – ბატონი აკაკისა და „ჩემი ყოფილის“ საქორწილო სურათი იყო.

ეკას თეთრი ფოჩებიანი, წელზე კორსეტივით მოჭერილი კაბა ეცვა. უხდებოდა. ბატონი აკაკი შავ კოსტუმში იყო გამოწყობილი, თეთრ პერანგზე შავი ბაფთა ეკეთა და კმაყოფილი სახე ჰქონდა. წყვილი საფეხმავლო ხიდის მოაჯირს მიყრდნობოდა, რომლის იქითაც მოჩანდა არხებით დაქსელილი ტყე-პარკი, ხოლო შორს გედებივით თეთრი იახტები.

აკაკიმ შემამჩნია, რომ სურათთან დიდხანს გავჩერდი და დაიწყო:

– ჩემი ქორწილის სურათია, მაშინ ელჩის მოადგილედ ვმუშაობდი. ლამაზი ქალაქია ამსტერდამი, ალბათ მოგეწონათ პეიზაჟი?

– კი, კი, ლამაზია , – წავიბუტბუტე და აივანზე გავედი.

ბიჭებს მანქანიდან მასალები გადმოჰქონდათ. მოაჯირს დავეყრდენი და მდინარის გაღმა მთა-გორიან ლანდშაფტს მივაპყრე მზერა. წიწოვანი ტყის უკაცრიელი სილამაზე შე-

მომცქეროდა. მწვანე ფერის უამრავი გრადაცია გორაკებს ხალებად ეყარა. შემდეგ ეს ყველაფერი ერთმანეთში აიზილა, გამუქდა, შავხვრელად იქცა და წარსულში გადამისროლა.

ეკა ჩვენთან სამსახურში გავიცანი. ორი თვე იმუშავა კონსულტანტად, რაღაც არ მოეწონა და წავიდა. საერთოდაც ის იმ კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც დიდხანს ვერსად ჩერდებიან.

თვალწინ კადრებად დამიდგა ჩვენი გაცნობის დღე, პირველი პაემანი, ურთიერთობებში მისი საოცარი უშუალობა, ერთად ცხოვრების ერთი წელი და ბოლო ღამე: – რას გავხარ? პირი გაიპარსე, კბილები გაიხეხე, ნივრისა და არაყის სუნად ყარხარ. ეს ბოლო ღამეა და იქნებ ერთმანეთს თავი კარგად დავამახსოვროთ.

ხუმრობა მეგონა, მაგრამ მაინც ვკითხე: – რა ბოლო ღამე?

– ჩვენ ერთმანეთი უკვე ამოვწურეთ. ხომ ხედავ, რომ ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს, ორივე საკუთარი ცხოვრებით ვცხოვრობთ. ერთმანეთს მხოლოდ ღამით ვხვდებით, რამდენჯერ შუაღამისას მოვსულვარ და არ გისაყვედურებია.

– მერე რა? ეს ნდობაა, ეს გაგებაა..

– არა, ეს გულგრილობაა! ფეხებზე დაკიდებაა! ხვალ მივდივარ, გტოვებ!

ბოლო ღამემ თავი დამამახსოვრა.

მეორე დღეს სამსახურში რომ წავედი, საწოლში დავტოვე. სახლში გვიან დავბრუნდი და შინ არ დამხვდა. ჩამოუხსნია კედლიდან მოჭიქული ლარნაკები, აუღია კომოდიდან ვერცხლის შანდლები, აუკრეფია თავისი ბარგი-ბარხანა და წასულა. ტელეფონი ავიღე, სიაში შევედი, „ჩემი კეკე“ მოვძებნე, დარეკვას ვაპირებდი, შემდეგ გადავიფიქრე და „ჩემი კეკეს“ მაგივრად „ჩემი ყოფილი“ ჩავწერე.

მთელი სამი წლის განმავლობაში ერთმანეთს ტელეფონით მოკითხვის წერილებს ვწერდით. ბოლოს ორი წლის წინ ერთადერთი სიტყვა მომწერა: – „ვთხოვდები“. მინდოდა დამეწერა, ღმერთმა ბედნიერი გამყოფოსო და ვერ შევძელი. ერთი კვირის

შემდეგ მის ტელეფონთან, მის მეილთან და ფეისბუქთან წვდომა დავკარგე... მოკლედ, ყველგან დამბლოკა.

ალბათ რამდენიმე წამი ვიდექი ასე გახევებული. შემდეგ შემოვბრუნდი და აკაკის ვკითხე: – მეუღლეს არ მოსწონს რაჭა?

– არა პირიქით, ძალიანაც მოსწონს, სახლი თავიდან ბოლომდე მან მოაწყო. ეს რაღაც მზის პანელებიც მისი ახირებაა. ახლა ონში წავიდა პროდუქტის მოსატანად.

– შეიძლება, ტუალეტში შევიდე? – ვიკითხე, არ დაველოდე ნებართვას და ტუალეტისკენ წავედი.

„მალე ეკა მოვა. ფუ შენი! წამოსვლამდე ეს ჭუჭყიანი კომბიზონი მაინც გამერეცხა, პირი გამეპარსა. რას ვგავარ“? – უკმაყოფილოდ ვათვალიერებდი საკუთარ თავს სარკეში.

ჩემმა ბიჭებმა კარგად იციან თავისი საქმე. სწრაფად გადმოალაგეს მასალები და საქმეს შეუდგნენ. მე ბრიგადირი მქვია, თორემ მათთან ერთად ფიზიკურად ვმუშაობ, უბრალოდ საქმეს ვხელმძღვანელობ და ხელფასი რაღაცა უმნიშვნელოდ მეტი მაქვს.

ძალიან არ მინდოდა, ეკას ვენახე და ერთი ფიქრი მქონდა, იქნებ საქმე მის მოსვლამდე დაგვემთავრებინა. სწრაფად ვმუშაობდი, მაგრამ პანელების სამაგრების მორგება გაჯანჯლდა, კრამიტმა გაართულა საქმე და სახურავზე ლატნების ჩამოკვრა მოგვიწია.

შუადღეს გადაცილებული იყო, პანელი რომ დავაყენეთ, ძირს ჩამოვედით და სადენების დაქსელვა და აკუმულატორების მონტაჟი დავიწყეთ. მთელი ეს ხანი აკაკი აივანზე იდგა და გზას გასცქეროდა.

„საყვარელი მეუღლე იგვიანებს“, – გავივლე გულში, მივუახლოვდი და ვკითხე:

– ბატონო აკაკი, გადამრთველი სად დავაყენოთ?

– გადამრთველი რა არის? – კითხვა შემომიბრუნა.

– ჩვეულებრივი დენიდან მზის ენერგიაზე გადამრთველი და პირიქით... ვფიქრობ, სამზარეულოში ყველაზე მოსახერხებელი იქნება.

– იყოს სამზარეულოში, – თქვა, მზერა დაბლა ჭალისკენ გადაიტანა და ისე ამოისუნთქა, თითქოს მკერდიდან მაჯლაჯუნა მოიშორაო.

„გამოჩნდა“ – გავიფიქრე, რაღაცნაირად გული ჩამწყდა და ჭალას გავხედე.

მაღალი გამავლობის თეთრმა მანქანამ ხიდი გადმოკვეთა და ჩვენსკენ წამოვიდა.

„რას ვიზამ, მომიწევს ჩემს ყოფილთან შეხვედრა“ – გავივლე გულში და თავში მისალმება-მოკითხვის ტექსტები დალაგდა და შემდეგ ერთმანეთში აიზილა, – „ჯანდაბას, თუ მიცნობს, ვიცნობ... არ მიცნობს, არ ვიცნობ... რაც იქნება, იქნება... ქმართან უხერხულობაში არ ჩავაგდებ, რა თამაშსაც ითამაშებს, მეც იმ თამაშს ავყვები.“

ამისი გაფიქრება იყო და დაიჭექა, თითქოს მთა ჩამოინგრაო, დაჰქროლა სუსხმა და გრგვინვა და ზათქი დაკოდილი დათვის ხმასავით წამოვიდა. შევკრთი, გაურკვევლობამ შემაძრწუნა და აივანს ვეცი. ჭალაზე ტალახის მდინარე შავი გველეშაპივით მიიკლაკნებოდა და გზაში ყველაფერს გლეჯდა და ყლაპავდა. შემდეგ ტალახი თანდათან გაიშალა და ჭალისკენ გაცურდა. თეთრი მანქანა ერთ წამს შეჩერდა და შემდეგ მთელი ძალით მოსწყდა ადგილს.

– ვაიმე დედა, – აღმოხდა კვნესა აკაკის და მე ფეთიანივით, ინსტიქტურად ჩავირბინე კიბე და ქვევით დავეშვი. არაფერზე ვფიქრობდი, არ მესმოდა ხალხის წივილი, არც ღვარცოფის ხმა. მივრბოდი ანგარიშმიუცემლად და თავაწყვეტით.

სამშვიდობომდე რამდენიმე მეტრი აკლდა, როცა მანქანას ტალახის ურჩხულის საცეცები მისწვდა და ზედ შემოეხვია. ეკა შეეცადა კარი გაეღო, მაგრამ მარცხენა კარს ლაფი სქლად მისდგომოდა. – მარჯვენა კარიდან გადმოდი, – ვყვიროდი და ხელით ვანიშნებდი. მანქანის ოთხივე ბორბალი უშედეგოდ ბრუნავდა. ბოლოს ტალახში შევვარდი. ჯერ კოჭებამდე, მერე მუხლებამდე... მალევე მივაღწიე, მინდოდა მარჯვენა კარი გამეღო, მაგრამ მანქანა შემობრუნდა და ტალ-

ახის ტალღამ მარჯვენაც გადაკეტა. მანქანაზე ავხოხდი და სახურავზე მოვექეცი. – ლუქი გახსენი! ლუქი! – ვყვიროდი და ზედ იდაყვს ვურტყამდი და ის იყო გადავწყვიტე, ჩამემტვრია, ლუქმა გახსნა დაიწყო.

ეკა შეშლილი, სასოწარკვეთილი თვალებით მიცქეროდა.

– ხელი მომეცი, საყვარელო, ხელი!

სიტყვა „საყვარელო“ წამომცდა.

ეკა ლუქიდან ამოვათრიე, ამ დროს მანქანა შეტოკდა და ჩვენ ორივე სახურავიდან კაპოტზე ჩავსრიალდით. ბამპერზე ჩავჩოჩდი, ტლაპოში ვისკუპე და ეკაც გავიყოლე. უჩვეულო სიმხნევეს და ძალას ვგრძნობდი. მხარქვეშ შევუდექი, წელზე ხელი შემოვხვიე და ნაპირისკენ ირიბად დინების მიმართულებას გავყევი.

მშრალზე რომ ამოვედით, თავი სამშვიდობოს რომ ვიგრძენი, მაშინღა მომეძალა დაღლა და მაშინღა გავიგონე ღვარცოფის ჭლექიანი მგლისებრი ყმუილი. რამდენიმე ნაბიჯი აღმა კიდევ ავიარე და ამ დროს წამოვიდა ახალი ტალღა, შემოვბრუნდი და დავინახე ტალახის ხახა თეთრ მანქანას როგორ ყლაპავდა.

ეკა ბალახზე დავსვი. თითქოს ახლაღა შემამჩნია, აქ რა გინდაო, მკითხა.

ალბათ მომეჩვენა, ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ამისი ხალისი არ უნდა ჰქონდეს: ეკას სახეზე ცინიზმი შევნიშნე.

– აქ შენმა მფარველმა ანგელოზმა გამომგზავნა, – სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და ეს სიტყვები წავილუღლუღე.

გაღიმება სცადა. – მფარველმა ანგელოზმა არა ისა... შეკვეთა მე მივეცი გიორგის და ვთხოვე, შენი ბრიგადა გამოეგზავნა.

თავი მაღლა ავწიე. აკაკი ძუნძულით გვიახლოვდებოდა.

– მერე რა საჭირო იყო, საყვარელო? – ვთქვი, ქალი ქმართან დავტოვე და ზევით წავლასლასდი.

ჰო, სიტყვა „საყვარელო“ ამჯერადაც წამომცდა.